

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ჟურნალი გამოდის

2016 წლის იანვრიდან,

გამოსკერძის სამწერ-

ჭავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

არაზ

21

2019

## რედაქტორი - მერაბ ბერიძე

## მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლია ზაზაშვილი  
ციური ლაფაჩი  
მალხაზ ლომსაძე  
ლერი ნოზაძე  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშკარიანი  
ლალი ბერიძე  
მაია ქუეჩიშვილი  
ასმათ ევსაია

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგება გაგნიძე, ქუთაისი

## ნომრის მეოხია მენარმე იური მელიქიძე

მდივანი: ზაირა გელაძე  
მენეჯერი: ნონა საანიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე  
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113  
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019  
ISSN 2346-836X

## მერაბ ბერიძე

### სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქრონიკები – 1990)

მე ისტორიული არა ვარ, მაგრამ მემატიანეობის პრეტენზია შეიძლება მქონდეს, რადგან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებიდან დღემდე ყოველთვის აქტიურ პოზიციაზე ვიყავი. ამას გარდა, აუცილებელია გარკვეული ანალიზის ჩატარება. მალე 30 წელი შეუსრულდება ჩვენს უნივერსიტეტს, რასაც სჭირდება შეფასება, განვლილი დროის გაანალიზება, უნივერსიტეტის როლისა და გზის გააზრება, რომ



მომავალს გაუადვილდეს კიდევ უფრო რთული, მაგრამ პერსპექტივული გზის დაგეგმვა-შესრულება. ავ-კარგის აწონ-დაზონვის გარეშე შეუძლებელია სერიოზული პროგნოზის გაკეთება.

ვისწავლოთ წარსულით! -ამ ტიპის დამოკიდებულება განსაკუთრებით საჭიროა უახლესი ისტორიაში გარკვევის უამს. 30 წელი ისეთი დროა, რომ ბევრი ადამიანი შეიძლება, დაინტერესდეს მისი შესწავლით. რაც მეტი მეცნიერი იმუშავებს უნივერსიტეტის ისტორიაზე, მით მეტი შედეგი გვექნება და მეტად მივეახლებით სიმართლეს, მეტად გავერკვევით ჯერ ზოგადად უნივერსიტეტის როლში თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში და შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის მისიაში.

დღეს, სამწუხაროდ, უნივერსიტეტს უყურებენ როგორც ბიზნესის საკეთებელ ორგანიზაციას, დაწესებულებას. ჩვენი განვლილი ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ასე არ უნდა დაისვას საკითხი, უნივერსიტეტი არ არის ჩვეულებრივი ორგანიზაცია. ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც შეიქმნა და ჩამოყალიბდა გრიგოლ ხანძთელის იდეებზე და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციებზე, რაც უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, მომავლის უნივერსიტეტია, ად-

გას იმ გზას, რომელიც გაიარა ევროპის საუნივერსიტეტო ცხოვრებამ, ამიტომ შორს უნდა ვიყოთ ყოველგვარი კარჩაკეტილობისა და საკუთარ ტაფაში წვისაგან.

პირველი თაობის, ვინც ჩამოვედით ახალციხეში, ბევრი წარმომადგენელი ცოცხალი აღარ არის, აღარც მე ვარ უასაკო. დრო მიდის „სიბერისა პატიოსნებად არა მრავალი უამი არს და არცა რიცხვი დღეთად აღრაცხელ, ხოლო მხცოვანებად არს გონიერებად კაცისად“ (გიორგი მერჩულე). ვფიქრობ მხცოვანების გონიერებას არა ვარ აცდენილი. მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ ცნობილი ფაქტია, ჩვენი წინაპრები ფიქრობდნენ, აუცილებელია სერიოზული საქმის მექთებელთა საქმისა და ცხოვრების აღნერა-დაფასება, რადგან საქმენი „მათნი უამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა და დავიწყებას“ (გიორგი მერჩულე).

საჭიროა ადამიანმა იზრუნოს მომავალზე. დღეს პიარითა და ანტიპიარით, ზოგიერთი სამსახურის ხელშეწყობით, შეიძლება ისეთი სახელი გადაეცეს შთამომავლობას, რომ საფლავზეც კი არავინ მოგაკითხოს, ამიტომ მართალი სიტყვა მაშინ უნდა ითქვას, როდესაც ამის ცოცხლად გადამოწმება არის შესაძლებელი.

ბავშვობიდან ვაკეთებდი მცირე ჩანიშვნებს ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. თავიდან ამას მთლად დღიურებს ვერ დავარქემვ, დღიურებად საკმაოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდა ეს ჩანაწერები.

ჩემს ამ შრომას ქრონიკების სახეც ექნება და მცირე ისტორია-ანალიზისაც. ვიდრე ქრონიკებს წარმოვაჩენ, იმ პერიოდის მცირე მიმოხილვას შემოვთავაზებ მკითხველს. ამჯერად საუბარი შეეხება მხოლოდ ერთ წელიწადს ეს არის 1990 წელი. ქრონიკების დროს ვიყენებ არა მხოლოდ ჩემს ჩანაწერებს, ესეც ჩავთვალე საჭიროდ, საქმის სიცხადისათვის. დიდ ადგილს დაიკავებს ზოგიერთი დოკუ-მენტის გამოქვეყნება, ზოგჯერ მხოლოდ მითითება.

ქართველებს გვჩვევია ხშირად დაწყებული სიახლის, საქმის შორიდან ყურება, ხელის წაშველების ნაცვლად ერთგვარი ნიჰილიზმი: „აბა, ვნახოთ, რა გამოვა, მიიყვანენ თუ არა დაწყებულ საქმეს ბოლომდე“. ამ ტიპის დამოკიდებულება კიდევ არა უშავს, მაგრამ უფრო ძნელი ასახსნელია, როდესაც ხელის შეშლასთან გვაქვს საქმე. ასეთი რამეც ხდებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, 1990 წელი გადამწყვეტი იყო უნივერსიტეტის ისტორიაში. მხოლოდ ჩამოვწერ იმ საკითხებსა თუ პრობლემებს, რომელთა

აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს. პრობლემათა საკუთარ თავზე აღების დეფიციტი ნამდვილად არის ჩვენს გარშემო, მაგრამ ჩვენ, შეიძლება ითქვას, ჭარბად გვქონდა. აი საკითხები, რომელიც დაისვა და გვიწევდა მათი გადაწყვეტა 1990 წელს:

1. დაიწერა სამინისტროს გადაწყვეტილება ახალციხეში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის შექმნის შესახებ;

2. ჩამოყალიბდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი.

3. გამოიყო შენობა და ფართობი ფილიალისთვის

4. შეიქმნა ადმინისტრაცია: დირექცია, ბუღალტერია...

5. შეიქმნა თსუ ახალციხის ფილიალის სამეცნიერო საბჭო.

6. შეიქმნა თსუ ახალციხის ფილიალის გაზეთი „მესხეთი“ (გამოვიდა პირველი ნომრები).

7. ჩამოყალიბდა სარეპეტიტორო მოსამზადებელი ფასიანი კურსები აბიტურიენტებისათვის.

8. შეიქმნა ბიბლიოთეკა, ორგანიზება გაენია წიგნების მოზიდვას მთელი საქართველოდან.

9. ჩამოყალიბდა ოთხი კათედრა და დაინიშნა მოვალეობის შემსრულებელი გამგეები;

10. დაიწყო სარემონტო სამუშაოები;

11. დაიწყო ზრუნვა ახალგაზრდა კადრებზე და სხვა.

ჩამოთვლილი თითოეული საკითხის შესახებ ცალკე წიგნი შეიძლება დაიწეროს. თითოეული მათგანი სამომავლოდ თავისი განვითარებით, თავისი გზით მიღიოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1990 წელს ახლად შექმნილი უნივერსიტეტის ცივ კედლებსა და აუდიტორიებში სხვა სული ტრიალებდა, სხვა იმედი სუფევდა, რაც სამწუხაროდ უნივერსიტეტის არსებობის სხვადასხვა პერიოდში ხშირად მინავლებულა და კოსმოპოლიტიზმის იაფი ფსიქოლოგით დამძიმებულა, რაშიც ცოტა როლს არ თამაშობდა ქვეყნის საერთო მდგომარეობა.

სახელმწიფოს ბევრი გადაწყვეტილებით თუ ბრძანებით და წერილით დაწყებულა დიდი საქმე. ასევე, ბევრი დოკუმენტი შეიძლება, დავასახელოთ, რომლის საფუძველზეც სერიოზული რამ უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ არაფერი გამოსულა. ერთ-ერთ დოკუმენტზე გვინდა ვისაუბროთ. ეს გადაწყვეტილება ორივე

ზემოთქმული აზრის დასადასტურებლად გამოდგება. ეს გახლავთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება №1-2, რომელიც გამოიცა 1990 წლის 6 თებერვალს.

ამ დოკუმენტით აშკარა ხდება, რა ძალა ჰქონდა და როგორი სტაპილური იყო განათლების სამინისტრო იმ დროს, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში.

ერთი დოკუმენტის ფარგლებში იქმნება 8 საგანმანათლებლო რგოლი თბილისის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რა იყო ეს, დროის ლოგიკურად მოტანილი აუცილებლობა თუ გარკვეული ზენოლით განხორციელებული ღონისძიება? ამ ყველა-ფერზე ვიდრე პასუხს გავცემდეთ, განვიხილოთ თვითონ დოკუმენტი: გადაწყვეტილებაში საუბარია რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ახალი სასწავლო დანაყოფების შესახებ. სასწავლო დანაყოფები არ არის არც ერთნაირი სტატუსისა და არც ერთნაირი დანიშნულების.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისია. დიდი ძვრებია მაშინდელ მთელ საბჭოთა კავშირში. ყველაზე დიდი ვნებათაღელვით გამოირჩევა საქართველო. აღმავლობის გზაზე დგას ეროვნული მოძრაობა, რომლის მრავალი წახნაგი სხვადასხვა მიზნისა და მიმართულებისაა. ბევრი რამ აუხსნელი და გაუგებარია. ვერავის წარმოუდგენია საბჭოთა იმპერიის დაშლა და დამხობა. კომუნისტური მმართველობა, მართალია, შელახული ავტორიტეტით ვეღარ ზეობს, როგორც ზეობდა, მაგრამ ძალა, ხელისუფლება მის ხელშია. ერთ მხარეს დგას ეროვნული მოძრაობა და მეორე მხარეს ხელისუფლება.

9 აპრილიდან ერთი წელიც არ არის გასული. რა შეუძლია გაუკეთოს ხელისუფლებამ ხალხს, რომ შეანელოს ანტისახელი-სუფლო აზვირთებული მოძრაობა. საშუალო ფენა, ქვეყნის ძირითადი ნაწილი, ჯერ კიდევ ღონივრად დგას ფეხზე, სწრაფვა განათლებისათვის პიკს აღწევს. ჯერ კიდევ არ არის მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები, არც სახელმწიფო და არც კერძო. უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში დიდი კონკურსებია. ჩვენი ახალგაზრდობა იმედით შესცემის მომავალს. აქედან გამომდინარე ახალი სასწავლო დანაყოფების შექმნა, ვფიქრობთ, კარგი

ნაბიჯია. მიზანიც კონკრეტულია: „საქართველოს სსრ მოსახლეობის მიერ ნარმოებისგან მოუწყეტლივ უმაღლესი განათლების მიღების ორგანიზაციის მიზნით, რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორატების წინადადების გათვალისწინებით“ მიიღო კოლეგიამ გადაწყვეტილება.

საჭიროა მაშინდელი ზოგიერთი ტერმინის დაზუსტება. **ნარმოებისგან მოუწყეტლად** სწავლა ნიშნავდა **დაუსწრებელ სწავლებას**. არც ეს ტერმინია დღეს განათლების სისტემაში გასაგები და აქტუალური. დაუსწრებელი სწავლა არსებობდა დასწრებულის საწინააღმდეგოდ, როდესაც მხოლოდ გამოცდების პერიოდში მოდიოდა სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში და აბარებდა გამოცდებს.

დღეისათვის მსგავსი დიფერენციაცია არ არის საჭირო. არავინ მიჯნავს დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებას, რადგან საქართველოს განათლების კანონიდან გამომდინარე არავითარი ვალდებულება სტუდენტს ლექციაზე დასწრებისა არა აქვს. მაშინდელი **დასწრებულის** სტუდენტი იყო რეალური სტუდენტი, მას მკაცრი აღრიცხვით ევალებოდა ლექციაზე დასწრება, არ ჰქონდა მუშაობის უფლება, ხოლო **დაუსწრებლის** სტუდენტი თან მუშაობდა და თან სწავლობდა, ამიტომ მისი სტუდენტობა ერთი წლით მეტ ხასს გრძელდებოდა, რომ აეთვისებინა პროგრამა. დღეს ამ ტიპის პრობლემები არ დგას, პირიქით – ბევრი სტუდენტი თან მუშაობს და თან სწავლობს. ამის გამო არავინ ეუბნება მას საყვედურს. აი, **სწორედ სწავლების დაუსწრებელი ფორმა შესთავაზა სამინისტრომ ახალ სასწავლო დანაყოფებს.**

სტრუქტურული ერთეული – სასწავლო დანაყოფი უნდა შექმნილიყო ფაკულტეტის **დონეზე**, რომელიც მაშინდელი უმაღლესი საგანმანათლებლო ადმინისტრაციის მიხედვით მხოლოდ ერთ მიმართულებას გულისხმობდა ძირითადად, ვთქვათ: **ფილოლოგის ფაკულტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი**, ამიტომ ერთგვარ გაუგებობას იწვევდა ფაკულტეტში სხვადასხვა საფაკულტეტო სპეციალობების გაერთიანება, მაგრამ, რადგან **სასწავლო დანაყოფი** დაუსწრებელი სწავლების ფორმას გულისხმობდა, ფაკულტეტი და დეკანი, იგულისხმებოდა, შეძლებდა საქმის გაძლილას. პროფესურას წელიწადში ორჯერ მოუწევდა შეხვედრა სტუდენტებთან, რისთვისაც სულ რამდენიმე ოთახიც საკმარისი იქნებოდა.

შესაბამისად მხოლოდ ორ **ფაკულტეტზე** იქნა განსაზღვრული კონტიგენტი. კერძოდ:

1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ფაკულტეტზე ახალციხეში:**

ქართული ენა და ლიტერატურა – 30 კაცი	
ისტორია	– 30 კაცი
სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა	
	– 40 კაცი

ასევე:

2. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგო-გიური ინსტიტუტის **ფაკულტეტი ქ. ბოლნისში:**

ქართული ენა და ლიტერატურა – 35 კაცი	
რუსული ენა და ლიტერატურა – 35 კაცი	
ისტორია	– 35 კაცი

დაწყებითი განათლების

პედაგოგიკა და მეთოდიკა – 35 კაცი

3. ერთი ფაკულტეტი იყო კონტიგენტის გარეშე –

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის **ფაკულტეტი ქ. ზუგდიდში**

4. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით გაიხსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის **სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი ახალციხის რაიონის დაბა ვალეში.**

5. ჩვენს რეგიონში კიდევ ერთი სასწავლო დანაყოფი შეიქმნა. ეს იყო საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის **სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა ბოგდანოვის რაიონში (სოფ. გორელოვკა).**

6. გადაწყვეტილება ავალებდა საქართველოს ზოოვეტერინალურ ინსტიტუტის რექტორს. გ. აგლაძეს ინსტიტუტის სასწავლო-ექსპერიმენტალური მეურნეობის შექმნას დმანისის რაიონში.

7. ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **მარნეულის (კაზრეთის) ფილიალშა.**

8. ამავე მარნეულის რაიონში ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის **საცდელი-საკონსულტაციო პუნქტი.**

როგორც ვხედავთ, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება ამბიციური ხასიათისაა. თითოეულ პუნქტს სჭირდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.

დღევანდელი ტერმინოლოგით თუ ერთგვარ კომპოზიტურ ტერმინს შევქმნით ამ ყველაფერს სოციალისტური კომერციალიზაცია შეიძლება ვუწოდოთ. განათლება წარმოდგენილია წარმოებასთან კავშირში; ასევე – პედაგოგთა დეფიციტის შესავსებად; სოფლის მეურნეობის, ვეტერინარიის მეცნიერულ რელსებზე გადასაყვანად და სხვა.

საფაულტეტო დაუსწრებულ სწავლებას ერთგვარი საშიშ-როება ახლდა, მოსალოდნელი იყო საუნივერსიტეტო განათლების პროფანაცია, ამიტომ უნივერსიტეტის რექტორთან აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელთან პირველივე შეხვედრის დროს პრინციპულად დავაყენეთ საკითხი სწავლის დასწრებული ფორმის შესახებ. ამ საკითხზე მანამდე წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა პრო-რექტორთან, ბატონ თემურ ხუროძესთან. ბატონი ნოდარი დიდი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს ახალციხეში ახალი სასწავლო დანა-ყოფის შექმნას, რამაც კიდევ უფრო წაგვახალისა და **ფაკულტეტის ნაცვლად მოვითხოვეთ ფილიალის გახსნა**. ბატონმა ნოდარმა ორი-ვე მოთხოვნას დაუჭირა მხარი, მიუხედავად იმისა, რომ გადა-წყვეტილება ამის უფლებას არ იძლეოდა. შეთანხმება შედგა გა-ნათლების მინისტრთანაც.

ამის შესახებ ჯერ კიდევ 1991 წელს ვწერდით: „თავიდანვე უნივერსიტეტის პოზიცია ამ საქმეში გამოკვეთილი იყო. თუ გვინ-და, გავამართლოთ მიზანი, რისთვისაც იხსნება უმაღლესი სასწავ-ლებელი ახალციხეში, აუცილებელია სწავლების დასწრებული ფორმა. განათლების მაშინდელ მინისტრთან საუბრით და ზეპირი შეთანხმებით გადავწყვიტეთ, მძიმე გზას დავდგომოდით – დაგ-ვეწყო არაფრისგან, ჩამოგვეყყალიბებინა ახალციხეში შესაბამისი დონის უმაღლეს სასწავლებელი.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, როდესაც ასეთი საქმე კეთდება, ჯერ შენობა მომზადდება, გაეწყობა საჭირო ინვენტარით და მხო-ლოდ შემდეგ დაკომპლექტდება პროფესურით თუ სტუდენტობით. ჩვენთან ასე არ მოხდა და ვერც მოხდებოდა. ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი პირობები არ გვაძლევდა საშუალებას, რომ არ დაგვესწრო მოვლენებისათვის, გვეცადა მანამ, ვიდრე აგვიშენ-დებოდა, გაგვირემონტდებოდა სასწავლო კორპუსი, გვექნებოდა

პროფესურისათვის და სტუდენტებისათვის საცხოვრებელი ბინები. დავინაც ისე, როგორც დაწყებულა ბევრი საქმე საქართველოში“ (გაზეთი „მესხეთი“ №5, 1991 წ.).

ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, რომ ოფიციალურ ფორმალურ მხარეს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ საქმის საქვეყნოდ, სასიკეთოდ წარმართვას თუნდაც არაოფიციალური ფორმულირება დასჭირდება.

როგორც ვნახეთ, ჩვენი დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნას გვამცნობს განათლების მაშინდელი სამინისტროს ზემოთ მოხმობილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც თავის დროზე – 1990 წელს, ვყალიბდებოდით, როგორც **დაუსწრებელი ფაკულტეტი**. მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკების საფუძველზე გააგრძელა **დაუსწრებელი ფაკულტეტი** სტატუსის მქონე ახალმა სასწავლო დაწაყოფმა როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა.

მე რამდენადაც მახსოვს, ამ ცვლილების თაობაზე არც განათლების სამინისტროში და არც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი ბრძანება ან გადაწყვეტილება არ ყოფილა.

ამ შემთხვევაში არ იყო მხოლოდ ტერმინოლოგიური პრობლემა. ფაკულტეტი, როგორც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავას საერთო რედაციით) გვამცნობს, გერმანულათინური წარმოშობის სიტყვაა და არის „უმაღლესი სასწავლებლის ცალკეული განყოფილება, რომელზედაც ისწავლება გარკვეული სამეცნიერო დისციპლინები“. ოდნავ განსხვავებული განმარტება აქვს **მიხეილ ჭაბაშვილის** „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“, რომლის მიხედვითაც ზემოთ მოყვანილ განმარტებას ემატება, რომ ფაკულტეტზე ისწავლება **მომიჯნავე დისციპლინები**. ჩვენ სწორედ ფაკულტეტის ამ მნიშვნელობას ვეყრდნობოდით და ცოტა არ იყოს უხერხეულადაც გვეჩვენებოდა ისტორიის, ფილოლოგიისა და ეკონომიკის სპეციალობების ერთ ფაკულტეტში მოქცევა.

სტატუსითა და თავისი მნიშვნელობით ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო ფილიალი, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდებოდა შვილს – „რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სხვაგან და აქვს ერთგვარი

დამოუკიდებლობა“ (მ. ჭაბაშვილი). თან ჩვენ უკვე გვქონდა მაგალითი სოხუმის ფილიალის სახით.

ფილიალმა თავის ადგილზე დაალაგა ყველაფერი. მის ფარგლებში უკვე ცალკე ფაქულტეტებად ჩამოყალიბდა ახალციხეში ფილოლოგიის, ისტორიის და ეკონომიკის დისციპლინები. ფილიალად ყოფნაშ შექმნა ერთი შესანიშნავი ტერმინი – **დედაუნივერსიტეტი**. ეს უნივერსიტეტი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1989 წლის 9 აპრილმა საზოგადოებას დაანახვა, რომ საუკუნის ბოლო 10 წელი ადვილი გასავლელი არ იქნებოდა. დუღდა ეროვნული სული, რომელიც აშკარად ჩანდა, რომ მოქარბებული ჰქონდა ახალგაზრდობას, ისიც იკვეთებოდა სამომავლო პორიზონტად, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი გენოფონდი შეიძლება, გამოყენებული ყოფილიყო საზარბაზნე ხორცად. თბილისიდან უმაღლესი განათლების პერიფერიებში გატანა ერთგვარ იმედს იძლეოდა. განათლებაში ჩადებულიყო ჩვენი ქვეყნის პერსპექტივა. ჩვენ შემდეგ უნივერსიტეტში შეიქმნა კიდევ სხვა ფილიალები. ახალციხის ფილიალი თავიდანვე დაადგა თბილისის უნივერსიტეტის გზას.

მართალია, დაუსწრებელი ფაქულტეტის ფილიალად შეცვლა რაიმე იურიდიული აქტით არ გაფორმებულა, მაგრამ მისი შექმნა მოხდა ბრძანებით. ეს იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს **ნოდარ ამალიობელის** 28 თებერვლის ბრძანება №3/179.

ბრძანება სამი პარაგრაფისგან შედგება და სწორედ პირველი პარაგრაფი გვამცნობდა ამ ამბავს:

„შეიქმნას ა/ზ 16.02-დან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი ქ. ახალციხეში შემდეგი სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა (30 კაცი), ისტორია (30 კაცი), ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით 40 კაცი)“.

მართალია, ბრძანება 28 თებერვალს დაიწერა, მაგრამ გახსნის თარიღად მითითებულია 16 თებერვალი, ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ახალციხესთან მიწევდა მე, როგორც უკვე ფილიალის ხელმძღვანელს, ურთიერთობა, ერთხელ რაიკომის მდივანმა მკითხა კიდეც, მაჩვენე დანიშვნის ბრძანებაო. მე დიდ ყურადღებას არ

ვაკცევდი რომელიმე ფაქტის იურიდიულ მხარეს, ჩემთვის ყოველ-  
თვის მთავარი იყო სიტყვა, შეთანხმება. თვით სამინისტროშიც  
გადაწყვეტილებამდე დიდი ხნით ადრე მიმდინარეობდა მოსამზა-  
დებელი სამუშაოები, ამიტომ ახალი საგანმანათლებლო რგოლის  
შექმნა იმდენად დიდი ამბავი იყო ქვეყნის ცხოვრებაში, რომ მის  
იურიდიულ გაფორმებამდე ზოგიერთი პრობლემის მოგვარება  
მთელი სერიოზულობით მიმდინარეობდა.

ამავე ბრძანების მე-2 პარაგრაფით დავინიშნე ფილიალის  
დირექტორად: „დაინიშნოს ა/წ 16.02-დან თბილისის ო. ჯავახიშ-  
ვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფი-  
ლიალის დირექტორად ტოპონიმიკის ს/კ ლაბორატორიის უფროსი  
მეცნიერ თანამშრომელი მერაბ იოვიმეს ძე ბერიძე, ხელფასით  
თვეში 325 მან.“

სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც  
თსუ სტუდენტური და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა საქმიანობა  
დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოსთან (სამეცნიერო  
კონფერენციები, სკოლებში ინტენსიური გასვლები გაკვეთილების  
ჩასატარებლად, ტერასების აღდგენითი სამუშაოები, კოლმეურ-  
ნეობისთვის დახმარება სამეურნეო საქმიანობებში, მუშაობა ძეგ-  
ლების არქეოლოგიურ გათხრებში, კულტურული ღონისძიებები,  
თეატრებისა და ანსამბლების სამხრეთის რაიონებში ჩაყვანის  
ორგანიზება და მრავალი სხვა), რამაც დიდწილად მოამზადა აზრი  
ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, აქტიურად ვიყავი  
ჩართული. ამან განაპირობა კანდიდატურის უალტერნატიონა.  
ამ გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური როლი ჰქონდათ უნივერსი-  
ტეტის რექტორს, პრორექტორებს, პარტიულ ხელმძღვანელობას.

ვმუშაობდი თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ  
ტოპონიმიკის ლაბორატორიაში 1973 წლიდან, გამოკვეთილი იყო  
სამეცნიერო და აკადემიური კარიერა, მაგრამ მესხეთში უნივერსი-  
ტეტის გახსნა ყველაფრის საპირნონედ იქცა.

მე-3 პარაგრაფი თბილისის სამსახურის ნახევარ შტატზე გა-  
დაყვანას ითვალისწინებდა. მაშინდელი კანონმდებლობით ორ  
მთელ შტატზე მუშაობა არ შეიძლებოდა: „გადაყვანილ იქნას ა/წ  
16. 02-დან ტოპონიმიკის ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეც.  
თანამშრომელი მერაბ იოვიმეს ძე ბერიძე შემთავსებელი უფრ. მეც.  
თანამშრომლის 0,5 შტატში“.

რეალურად ვეღარ ვმუშაობდი ტოპონიმიების ლაბორატორიაში იმ ნახევარ შტატზეც, ვეღარ ვღებულობდი მონაწილეობას საზაფხულო ექსპედიციებში, კონფერენციებში და სხვა. ფილიალის ჩამოყალიბებასა და ფეხზე დაყენებას დიდი დრო, ენერგია და ძალა სჭირდებოდა.

ბრძანების დაწერამდე სპეციალური საოჯახო თათბირი მოვაწყვეთ. მე, მეუღლემ და შვილებმა. ჩემი ახალციხეში წამოსვლა ერთად გადაწყდა. ვიცოდით, რომ ეს დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ქვეყანას, სამშობლოს სჭირდებოდა და უნდა გაკეთებულიყო. დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. უფროსი ვაჟი 16 წლისა იყო, უმცროსი — 11-ისა. საბურთალო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, 90-იან წლების კრიმინალური დაჯგუფების ეპიცენტრში მდებარეობდა. სამი ვაჟი უნდა დამეტოვებინა და წამოვსულიყავი. ბიჭებს ავუხსენი შექმნილი ვითარება, ვუთხარი, რომ ქვეყანას სჭირდებოდა, მესხეთს სჭირდებოდა ჩემი წასვლა სამხრეთ საქართველოში. შევთანხმდით რომ ტრადიციული უფროს-უმცროსობა არ დაირღვეოდა და უფროსი ძმის სიტყვას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთელი პასუხისმგებლობა კი მეუღლეს უნდა აეღო და ასეც მოხდა.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებას საფუძვლად პქონდა საქ. სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგის 1990 წლის 6 თებერვლის ჩვენთვის უკვე ცნობილი გადაწყვეტილება №1-2.

ფილიალის ჩამოყალიბება უკვე ნიშნავდა ახალი სტრუქტურული ერთეულის სრულფასოვნად ჩამოყალიბებას. თუ დაუსწრებელ ფაულტეტს დასჭირდებოდა დეკანი და რამდენიმე ტექნიკური პერსონალი, რომელიც გამოცდების პერიოდში დაკავდებოდნენ, სხვაგვარი მოთხოვნები გახდა საჭირო სტაციონარის შექმნისას. ახალციხეში იქმნებოდა სრულფასოვანი უნივერსიტეტი შემცირებული მასშტაბებით და ადმინისტრაციით. სამინისტროს გადაწყვეტილება ვეღარ აკმაყოფილებდა ახალ მოთხოვნებს. თითოეული საშტატო ერთეულის მოპოვებას სჭირდებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და შესაბამისი ადმინისტრაციული როლების დარწმუნება, მოთხოვნის დასაბუთება. ეს უკვე საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვდა. ფილიალი, როგორც შვილობილი, ასევე ვალდებული იყო დედა-უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ტრადიციები გაეგრძელებინა,

დამოკიდებული ყოფილიყო მასზე კადრობრივად. შეიქმნა დირექტორის თანამდებობა რექტორის ნაცვლად, ხოლო პრორექტორის ნაცვლად – მოადგილე. შემთხვევითი არ იყო, რომ მოადგილედ სასწავლო დარგში მუშაობა შევთავაზეთ **სერგო მელიქიძეს**. სერგო ნარმოშობით ჯავახი იყო, დაბადებული და გაზრდილი ბორჯომში. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ტრანსიმიგის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, ერთად გვიწევდა ექსპედიციებში ყოფნა ზაფხულობით, თანაც **სერგო მელიქიძე** ნამუშევარი გახლდათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში კანცელარიის გამგედ, ჯერ კიდევ აკადემიკოს **ილია ვეკუას** დროს, მას ჰქონდა გამოცდილება, რაც საკანცელარიო-ადმინისტრაციული ტრადიციების ფილიალში გადმონერვაში მოვცეხმარებოდა.

1990 წლის 16 მაისს აკადემიკოს **ნოდარ ამალლობელის** ხელმოწერით დაიწერა ბრძანება №3/366; „დაინიშნოს ა/წლის 4/V-დან **სერგო ილიას ძე მელიქიძე** თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილედ – სასწავლო ნაწილის უფროსად, ხელფასით თვეში 100 მან“. სერგოს შეუნარჩუნდა მთელი შტატი თბილისში.

სერგო მელიქიძე სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამ თანამდებობაზე. ჩვენ ბევრი საქმე გავაკეთეთ ერთად, ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ, რომ ფილიალი დამდგარიყო ფეხზე. მისი გარდაცვალების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავხსენით პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორია.

უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ახალციხეში ბევრი თანამდევი პროცესი ახლდა. პროფესიულის გაუქმების შემდეგ ბევრი ადამიანი დარჩა უმუშევარი. ჩვენ გვევალებოდა მათი დასაქმება შეძლებისდაგვარად. პირველ რიგში საჭირო იყო ფილიალში საბუღალტრო საქმიანობის მოგვარება და ბუღალტერიის შექმნა. ასევე პრინციპული იყო სამეურნეო საქმიანობის ნარმართვა შესაბამის დონეზე, რომ შექმნილიყო ინფრასტრუქტურა, ჩატარებულიყო სარემონტო სამუშაოები და სხვა. მთავარი ბუღალტრიის თანამდებობაზე ისეთი პიროვნება უნდა მოსულიყო, რომელსაც ექნებოდა სოლიდური გამოცდილება საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობაში. მაშინდელი ბუღალტერია მთლიანად კერძო პროფესიონალიზმსა და ინიციატივაზე იყო დამყარებული. საქმეს აძნე-

ლებდა ორმაგი პასუხისმგებლობა როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ასევე განათლების სამინისტროსთან. ვეძებდით შესაბამის კადრებს. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც საქმე განსაკუთრებულ თავდადებას, შრომას მოითხოვდა. პრაქტიკულად სამუშაო დრო არ იფარგლებოდა 8 საათით. ხშირად იძულებული ვიყავით, გვიანობამდე დავრჩენილიყავით უნივერსიტეტში, ამიტომ როდესაც პროფესიულის მთავარი ბუღალტრის კანდიდატურაც შემომთავაზეს, მე ვთქვი: სირთულეებიდან და განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გვირჩევნია, მამაკაცი იყოს მეთქი. მახსოვს **რუსუდან სტეფანიანის**, პროფესიულის მთავარი ბუღალტრის, ირონიული ნათქვამი: „რატომ მამაკაცი, „შტანგის“ აწევა ხომ არ არის საჭირო? შრომა არასდროს დამზარებია და ბუღალტერს რაც სჭირდება, ყველაფერს შევასრულებ მაღალ დონეზე“. ამ ნათქვამა გადაწყვიტა რუსუდანის ფილიალში მოსვლა, რაზეც დამეთანხმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა.

1990 წლის 3 ივლისს დაიწერა რექტორის ხელმოწერით ბრძანება მთავარი ბუღალტრისა და ფილიალის დირექტორის ახალი მოადგილის დანიშვნის შესახებ:

„დაინიშნოს ა/წლის 5 ივლისიდან **რუსუდან ცოლაკის ასული სტეფანიანი-არბოლიშვილი** თსუ ახალციხის ფილიალის მთავარ (უფროს) ბუღალტრად, ხელფასით თვეში 145 მან.

დაინიშნოს ა/წლის 5 ივლისიდან **სიმონ ივანეს ძე თელიაშვილი** თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილედ, სამეურნეო ნაწილის უფროსად, ხელფასით თვეში 185 მან.“

სიმონ თელიაშვილი გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით და პროფესიონალიზმით. 1990 წელს განსაკუთრებით ჭირდა ტრანსპორტი, ყოფილა შემთხვევა, როდესაც იგი ფეხით ჩამოსულა ვალიდან ახალციხეში, რომ 9 საათზე სამსახურში ყოფილიყო. სამწუხაროდ მან ოჯახური პორობების გამო დიდხანს ვერ იმუშავა ამ თანამდებობაზე, ხოლო რუსუდან სტეფანიანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უნივერსიტეტში მუშაობდა.

ყველაზე რთული მაინც შეიქნა ადგილის გამოძებნა, სად უნდა განთავსებულიყო ფილიალი. განიხილებოდა ორი შენობის საკითხი – ტექნიკურისა და პროფესიულის. მართალია, ტექნიკურის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა წინააღმდეგობა

გასწიეს და არ უნდოდათ ადგილის გამოყოფა, მაგრამ შეიძლებოდა საბოლოოდ საქმის ისე მოგვარება, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით ესეც დადებითად გადაწყვეტილიყო, მაგრამ პროფსასწავლებელს ადგილმდებარეობას სხვა ხიბლი ჰქონდა. იგი მდებარეობდა ქალაქის განაპირას, ჰქონდა გარშემო ვრცელი ტერიტორია, ამიტომ მეტი პერსპექტივა ჩანდა მის სასარგებლოდ, რაზეც დაგვეთანხმა როგორც რაიონის ხელმძღვანელობა, ისე სამინისტრო.

1990 წლის 13 აპრილს სახალხო განათლების მინისტრმა **გ. ენუქიძემ** ხელი მოაწერა ბრძანება №172-ს, ახალციხის №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის გაუქმებისა და მათ ბაზაზე ახალციხის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის შექმნის შესახებ:

„ახალციხის №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები ფუნქციონირებენ ახალციხის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ბაზაზე, ორივე სასწავლებელი ამზადებს ერთსა და იმავე პროფესიის მუშათა კადრებს, იმის გამო, რომ ახალციხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არ ესაჭიროება იმ რაოდენობის მუშათა კადრები, რამდენიც მზადდება ყოველწლიურად ორივე სასწავლებელში მიღებული სპეციალობის მიხედვით, გაძნელებულია კურსდამთავრებულთა განაწილება და დამაგრება.

№122 პროფტექნიკური სასწავლებელი (ერთწლიანი სწავლების ვადით) გახსნილია №101 სასწავლებლის კომპლექსში. მას არ გააჩნია სპეცსაგნებში პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობის ჩასატარებლად სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები და მანქანების ტექნიკური მომსახურების პუნქტი.

ახალციხის კუპაზალციხის რაიონულ კომიტეტსა და ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნია №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის შეერთება და №101 სასწავლებლის სასწავლო კორპუსის ერთ ბლოკში განთავსდეს ქ. თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

ეს გახლავთ ერთგვარი პრეამბულა ბრძანებისა. თავად ბრძანების მე-6 მუხლი კი გვამცნობდა შემდეგა: „**ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სასწავლო კორპუსის ერთ**

**ბლოკში დროებით, იჯარით განთავსდეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალი.**

ადვილი ნარმოსადგენია, რა იყო ეს ერთი ბლოკი. ეს არის დღევანდელი პირველი კორპუსის ოთხი სართული ფასადის მხარე მხოლოდ, რომლის ოთხივე სართულზე განთავსებული იყო ტუალეტები, ოღონდ არა მოქმედი, წყლისა და ნორმალური კანალიზაციის გარეშე. აშენარა ჩანდა სამინისტროს გადაწყვეტილების კვალი. უნივერსიტეტმა კი დაარქვა ახალ დაწესებულებას ფილიალი, მაგრამ გადაწყვეტილების „დაუსწრებელი ფაკულტეტი“ რჩებოდა ძალაში. შენობა არ იყო გათვლილი პერსპექტივაზე, რაც კარგად ჩანს ბრძანებაში, რომ გადმოგვეცა ერთი გაუბედურებული ბლოკი, ისიც დროებით და იჯარით. თავიდანვე განწირვისათვის გათვლილმა ამ საქმემ დაგვაფიქრა (ჯერ დირექტორის გარდა არც ერთი ადმინისტრაციული ერთეული არ იყო შექმნილი), მაგრამ უმცედობის დრო არ იყო. ჩამოსული არ ვიყავით დამარცხებისთვის. აღმოგჩნდით პირისპირ რაიონის პარტიულ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან. ასევე რთულდებოდა კარგად დაწყებული ურთიერთობა პროფსასწავლებელთან, რადგან არავის უნდოდა დროებით, იჯარით შემოკედლებული ორგანიზაცია, რომლის მომავალი ერთობ ბუნდოვნად და უპერსპექტივოდ ისახებოდა.

სამაგიეროდ სჯეროდა ახალგაზრდობას, იმათ ვინც უნდა მოსულიყვნენ ჩვენთან სასწავლებლად, სჯეროდა საზოგადოებას და ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც უთხრეს, რომ აი, თქვენ უნივერსიტეტი და ვნახოთ, რას იზამთ!

აქ უპრიანია, ალბათ, ითქვას, რომ იმ რვა საგანმანათლებლო ერთეულიდან, რომელიც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებაშია და ზოგიერთი ფილიალიდან, რომელიც ამ გადაწყვეტილების შემდეგ შეიქმნა, მხოლოდ ჩვენ შემოვრჩით ისტორიას. მაშინდელი დაუსწრებელი ფაკულტეტიდან დაწყებული, შევქმნით მეორე ფილიალი ახალქალაქში – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალი და დღევანდლამდე მოვედით როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამას კი ბრძოლის დიდი გზა დასჭირდა.

როგორც იქნა გადაწყდა ფილიალის ადგილსამყოფლის საკითხი. არა ნაკლებ მნიშვლენოვანი აღმოჩნდა ადმინისტრაციისა და

პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებლის პრობლემა. მაშინდელი აღმასკომის თავჯდომრის თთარ ჭინჭველაძის ძალისხმევითა და შესანიშნავი ქართველი კაცის გრიგოლ ლაზიაშვილის დახმარებით დაგვითმეს სასტუმრო „მესხეთში“ ადგილები. სასტუმროში ცხოვრება, ბუნებრივია, სამუდამოდ ვერ გაგრძელდებოდა, საჭირო იყო ზრუნვა საერთო საცხოვრებელზე. სექტემბერსა და ოქტომბერში ნორმალურია, მაგრამ ზამთარში ძალიან ძნელი პირობები შეიქმნა სასტუმროში. არ ჰქონდა სასტუმროს გათბობა, ღუმელს არავინ დაგვადგმევინებდა, ამიტომ ფიზიკური ჯამრთელობის ხარჯზე უნდა მომხდარიყო 1990-1991 წლის ზამთრის გადატანა და ასეც მოხდა.

სასტუმროს საერთო ტუალეტი და ხელსაბანი ჰქონდა. იყო ერთი „ლუქსი“ საპატიო სტუმრებისთვის. თავდაპირველად პატივი მცეს, იქ შემიშვეს, მაგრამ თბილისიდან ჩამოვიდა პარტიის ცეკას წარმომადგენელი მივლინებით, მომიბოდიშეს და რამდენიმე კაციან ნომერში გადამიყვანეს. არ ვიცი, ვინ იხდიდა მაშინ ჩვენი ცხოვრების ფულს, შეიძლება არც არავინ იყო დამფინანსებელი და სახელმწიფო უფასოდ გვაცხოვრებდა.

ადგილის, ცხოვრების პრობლემები წარმოშვა ჩვენი ფილიალად ჩამოყალიბებამ და დასწრებულმა სწავლებამ, რაც არ ჰქონდა ხელისუფლებას გათვლილი. ახალი დაწესებულება, უნივერსიტეტი, მოითხოვდა კადრების მოზიდვას თბილისიდან. ეს არ იყო ჩვეულებრივი საკადრო საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ადგილზე მარტივად მოხდებოდა, ასევე განსხვავებული უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის მართვის საკითხი. საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ადმინისტრირების საკითხს ისე, როგორც სხვა პრობლემებს, მარტივად ვეღარ გადაწყვეტდა პარტიის რაიკომისა და აღმასკომის კომიტეტებისა.

ჩვენს წინაშე კი დადგა ფილიალის საკანცელარიო, იურიდიული, ადმინისტრაციული და სხვა სახის მრავალი პრობლემა, რომელთა გარეშე არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მართალია ძირითადი მოთხოვნები უნდა გადაწყვეტილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ადგილობრივი საუნივერსიტეტო მმართველობის გარეშე თბილისთან ურთიერთობის წარმართვაც არ გამოვიდოდა.

შევქმენით სამეცნიერო საბჭო თბილისის უნივერსიტეტის ანალოგით. ეს საბჭო უნდა ყოფილიყო ჩვენი კოლექტიური მმართველობის ორგანო და ასეც იყო წლების განმავლობაში.

ხშირად, ზოგი რამის გაკეთება გვიწევდა იურიდიული მხარის გაუთვალისწინებლად, უფრო სწორად, ნაწილობრივი გათვალისწინებით, ან დავიწყებდით რომელიმე პრობლემის მოგვარებას და თბილისთან კონსულტაციის შემდეგ ვაძლევდით სწორ მიმართულებას, თუ რამე ბოლომდე არ იყო კანონის ფარგლებში მოქცეული. ამჯერადაც ასე მოხდა. შევქმენით ფილიალის სამეცნიერო საბჭო, თვით სახელწოდებაც ცოტა უცნაურად ჟღერს, რატომ სამეცნიერო? მაგრამ ასე იყო თსუ-ში - დიდი სამეცნიერო საბჭო. ჩვენთან ამ საბჭოს წმინდა სამეცნიერო დატვირთვა არ ჰქონია. იგი დღევანდელი აკადემიური და ნარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციებს ასრულებდა. რა თქმა უნდა განვიხილავდით სამეცნიერო პრობლემებსაც, ოლონდ ადმინისტრირების კუთხით. არ მომხდარა საბჭოს არჩევნები, არ ჩავთვალეთ საჭიროდ, რადგან მას ფორმალური ხასიათი ექნებოდა. ალბად შეიძლებოდა დაგვემტკიცებინა თსუ-ს დიდ სამეცნიერო საბჭოზე, მაგრამ არც ეს შეცვლიდა საბჭოს არსს, თანაც ჯერ არ გვქონდა ფილიალის არც წესდება, არც დებულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა თითოეული რგოლის მუშაობა. ამ ყველაფერზე ვმუშაობდით. მთავარ საქმედ მიგვაჩნდა, სწორი ანალიზის შედეგად გადაგვედგა ნაბიჯი, მის იურიდიულ მხარეს ზოგჯერ ვერ ვაქცევდით ყურადღებას, იმდენად დაძაბული და დაჩქარებული ტემპი იყო. ჩვენ ხომ ერთადერთი ფილიალი ვიყავით, ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა შეგვექმნა დროის მიერ შემოთავაზებული პრობლემების გადაწყვეტის პირობები.

თსუს წესდება ვერ გაითვალისწინებდა ახალციხის ფილიალს როგორც უნივერსიტეტის ერთეულს, რადგან ასეთი რამ მანამდე არ ყოფილა. უკვე ფილიალის საბჭოს მე-4 სხდომაზე შეიქმნა ჯგუფი დირექტორის მოადგილის კ. კაკიტაძის ხელმძღვანელობით, რომ მომზადებულიყო თსუ წესდებაში შესატანი ცვლილებები. საბჭოს მე-5 სხდომაზე 1990 წლის 13 დეკემბერს ჯგუფის ხელმძღვანელმა ნარმოადგინა წესდებაში შესატანი ცვლილებანი და საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

1990 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა საბჭოს პირველი სხდომა. სხდომის საკითხები ასახავს მაშინდელ პრობლემებს და მიმართულებებს.

დღევანდელი გადასახედიდან პრაქტიკული და დემოკრატიულია საბჭოს საქმიანობა. მოვიყვანთ ამონაწერს პირველივე სხდომის ოქტომბერი, რომლის მიხედვით აშკარა ჩანს ზემოთქმული აზრის სისწორე: „მოისმინეს: **მერაბ ბერიძის** გამოსვლა იმის შესახებ, რომ ფილიალის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იყვნენ ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელები და თვითონვე დაასახელა სამი წარმომადგენელი: ნუგზარ პარუნაშვილი, საქალაქო საბჭოს თავჯდომარე, თემურაზ მალრაძე - მესხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. ამასთან **გ. ბერიძემ** დასვა საკითხი, საბჭოს შემადგენლობაში აგრეთვე შეყვანილი უნდა იყვნენ თსუ ახალციხის ფილიალის სტუდენტები და რომ საბჭოს ყველა წარმომადგენელი უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებით“ (ოქმი №1, 1990 წლის 5 ოქტომბერი).

ამ ტიპის გადაწყვეტილება შემთხვევითი არ არის ჩვენი მაშინდელი ფილიალის მისიდან გამომდინარე. ადგილობრივი ხელისუფლება, თეატრი (კულტურა, ხელოვნება და ა.შ. რასთანაც ასოცირდებოდა თეატრი) და სტუდენტობა.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენი პირველი წაკადი, მიღებული სტუდენტობა მართლაც წარჩვენი იყო. საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა ფილიალში სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე. იმავე ოქტომბის ვკითხულობათ: „მოისმინეს: ინფორმაცია თსუ ფილიალში ერთი კვირის მუშაობის შესახებ. ანგარიში გააკეთეს შემდეგმა პედაგოგებმა: **გ. ნერეთელმა, კ. კაკიტაძემ, ლ. ბერიძემ.** თითქმის ყველამ ერთნაირად აღნიშნა ის ფაქტი, რომ ფილიალში მეტად მონდომებული და კარგი სტუდენტობაა. ისინი დიდ ბედნიერებად მიჩნევენ ასეთ სტუდენტებთან მუშაობას და თუ ამის შემდეგ სტუდენტობა შეიცვლება (ცუდის მხრივ), ეს უკვე თვით პროფესორ-მასწავლებელთა დანაშაული იქნება“. ამ ტიპის დამოკიდებულება ძალიან სერიოზულია და მნიშვნელოვანი.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ სამეცნიერო საბჭოს უკვე მე-3 სხდომაზე წარმოდგენილ შემადგენლობას, საბჭოს წევრებს: **მ. ბერიძე (თავმჯდომარე), ს. მელიქიძე, ტ. ფუტკარაძე,**

კ. კაკიტაძე, ს. თელიაშვილი, რ. სტეფანიანი, მ. ანდრიაშვილი, ნ. ახალკაცი, გ. კვინიკაძე, ლ. სიგუა, შ. ინასარიძე, თ. ინასარიძე, ლ. ბერიძე, გ. წერეთელი, უ. გურგენიძე, ზ. კიკაძე, ო. ლამბაშიძე, ა. ათანელაშვილი, ა. ურდულაშვილი, ს. ვაშაკიძე, ა. მარჯაშვილი, მ. თარხნიშვილი, მ. ხუციშვილი, ო. ჯავახიშვილი, მ. ლომსაძე, გ. მურადაშვილი, მ. ხითარიშვილი, ო. ხუციშვილი, გ. ბარბაქაძე (1990 წ. 16 ნოემბერი, ოქმი №3).

საბჭოს 29 წევრიდან ბოლო 9 სტუდენტური ხმა განსაკუთრებით აქტიურად ისმოდა ფილიალში. ჩვენ ერთად ვწყვეტდით წამოჭრილ პრობლემებს. სტუდენტები არასოდეს მხოლოდ პასიური მსმენელები არ ყოფილან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოს შემადგენლობაში პროფესორ ზურაბ კიკაძის ყოფნას. იგი რეგულარულად დადიოდა ჩვენთან ლექციებზე და აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის მართვაში. საბჭოში შემოვიყვანეთ ახალგაზრდა კადრები, ადგილობრივი პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ უცხო ენებს, რამაც თავისი გარკვეული შედეგი გამოიღო. დაწესებულების ამ ტიპის მმართველობა ახალი იყო ახალციხისათვის და რეგიონისათვის საერთოდ, ამიტომ ყოველ წაბიჯზე ვაწყდებოდი მოულოდნელობებს.

ახლადშექმნილ ფილიალში სამუშაოდ წამოვიდა საქმისათვის თავდაებული ბევრი ადამიანი, ბევრიც რომანტიკოსი. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ხშირად მაქსიმალისტური ნაბიჯების გადადგმას ვცდილობდით. თბილისისათვის ახალციხის, როგორც საგანმანათლებლო სივრცის აღქმა ასოცირდებოდა გარკვეულ თავისუფლებასთან, იმასთან, როს გაკეთებაც შეიძლება თავლიტის ან სხვა მსგავსი ორგანიზაციების მიერ იზღუდებოდა თბილისში. ფილიალის შექმნის დღეებიდანვე მხარში ამოგვიდგა ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი. მისი ინიციატივით უნდა შექმნილიყო საინტერესო პრეცენდენტი, გამოცემულიყო უურნალი ფილიალის ბაზაზე, ოლონდ მას უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი ბალანსი. ეს დროის მიერ მოტანილი ფინანსური და იურიდიული სიახლე ჩანს. ზ. ფირალიშვილმა გამოიტანა, საკითხი: „მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენს საინიციატივო ჯგუფს (ფილოსოფოსის მეცნიერებათა კანდიდატები: ზ. ფირალიშვილი, გ. ნოდია, ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ვასაძე, ფსი-

ქოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი **რ. საყვარელიძე**, ფილო-სოფოსები: **ზ. სარალიძე** და **ლ. იაკობაშვილი**) გაუჩნდა აზრი, ორგანიზება გაეწია პერიოდული ზოგადჰუმანიტარული გამოცე-მისათვის. გამოცემის სამუშაო სახელია „ლოგოსი“. მასში უმთავ-რესად გამოქვეყნდება ის პირველ ხარისხოვანი ზოგადჰუმა-ნიტარული ლიტერატურა, რომლის დეფიციტიც ახლა ძალაშე დიდია.

თსუ ახალციხის ფილიალთან ამ გამოცემის შექმნა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან თუ განხორციელდება ის, რაც ჩვენ ჩაფიქრებული გვაქვს, ამ კონკრეტული თვალსაზრისითაც გამოაჩენს ფილიალის მნიშვნელობას.

ამასთან, სამისოდ, რომ შევძლოთ თავისუფლად მოქმედება, აუცილებლად მიგვაჩინა, გამოცემას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბალანსი“ (ოქმი №2 1990 წლის 26 ოქტომბერი).

როგორც მახსოვს, ეს ამბიციური პროექტი ვერ განხორციელდა ჩვენთან საგამომცემლო საშუალებების უქონლობის გამო.

1990 წლის 10 ოქტომბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა საბჭოს 5 სხდომა. ამ სხდომებმა მთლიანად მოიცვა, ასახა ის განსახილველი საკითხები, რომელთა განხილვისა და გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფილიალის მართვა.

თავიდანვე წამოინია ისეთმა აუცილებელმა საკითხებმა, როგო-რიცაა: ფილიალის საკათედრო სისტემის შექმნა. საბიბლიოთეკო სამუშაოები, სასწავლო გეგმაში შესატანი ცვლილებები. მოსამზა-დებელი კურსების მასწავლებელთა ანაზღაურება. ფილიალის შე-ნობის პროექტის განხილვა, კათედრების შექმნა. მოსამზადებელი კურსების ფინანსური მდგომარეობა. გამოცდებისათვის მზადება, კათედრის გამგეთა დროებითი დანიშვნა. თსუ წესდების პროექ-ტის განხილვა და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თსუ მესხეთის ფილია-ლის გაზეთის გამოცემას. საბჭოთა პერიოდში თითოეულ რაიონს თავისი გაზეთი ჰქონდა. მართალია სარაიონო გაზეთები ემსახუ-რებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, მაგრამ მათში ხშირად ისეთი მასალები იბეჭდებოდა, რომელიც ასახავდა კულტურულ, ისტო-რიულ, ეროვნულ ყოფას მაშინდელი საზოგადოებისა. 90-იანი წლების დასაწყისი რაიონული გაზეთების გაუფასურების პერიო-

დია, საჭირო იყო ახალი ტიპის არა სარაიონო, არამედ რეგიონისალური ფუნქციის შეთავსება. ჩვენს ფილიალს მაგალითად ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი, მისი როლი ეროვნულ მოძრაობაში, სტუდენტურ ცხოვრებაში, ამიტომ პრინციპულად დავაყენეთ გაზეთის გამოცემის საკითხი.

1990 წლის დეკემბერში გამოვიდა გაზეთის „მესხეთის“ ორი წლიური, რითაც საფუძველი ჩაეყარა არაპარტიულ, არარაიონულ, თავისუფალ პრესას სამხრეთ საქართველოში. 90-იან წლებში გაზეთების გამოცემის ბუმია. ჩვენს შემდეგ ბევრი გაზეთი გამოვიდა როგორც რეგიონში, ისე საქართველოში საერთოდ, მაგრამ ბევრმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას და დაიხურა. განსაკუთრებით რთული იყო საგამომცემლო საქმე. გაზეთი უნდა აკრეფილიყო სტამბაში, მომზადებულიყო ტყვიის კლიშეები და ისე დაბეჭდილიყო. ფოტოების კლიშეებს ვამზადებინებდით თბილისში. გვემბარებოდა ასპინძისა და ახალციხის სტამბები.

რედაქტორად დავამტკიცეთ **ნუგზარ ზაზაძე**, რომელიც გამოირჩეოდა თავისი კუთხისა და ქვეყნის ცოდნითა და სიყვარულით. დიდი გამოცდილება ჰქონდა საგაზეთო საქმეში.

1990 წლის 13 დეკემბრის ოქმი №5 გვამცნობს ფილიალის დირექტორის ინფორმაციას: „უკვე გამოვიდა ფილიალის გაზეთ „მესხეთის“ პირველი წლიური. გაზეთი გამოვა თვეში ორჯერ. მისი ფუნქცია სპეციფიკურია. ეს არ არის მხოლოდ საუნივერსიტეტო გაზეთი. უკვე გამოჩნდა რუბრიკა „ჯავახეთის პრობლემები“. წამოიჭრება მწვავე პრობლემური საკითხები. ჩვენ გვაქვს რეგიონალური პრესის პრეტენზია და უნდა გავამართლოთ კიდეც. გაზეთის გამოშვებაზე მუშაობს **ნუგზარ ზაზაძე**. იგი ისტორიკოსია, აქვს საგაზეთო მუშაობის გამოცდილება, ნამუშევარია გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად. ჩემი წინადაღებაა, დავამტკიცოთ იგი გაზეთის რედაქტორად. გაზეთს ჰყავს თავისი სპონსორი, საშენ მასალათა კომპერატივი „მესხეთი“, რომლის თავმჯდომარეა **გია გურგენიძე**. გადაირიცხა გაზეთის ოფიციალური ლირებულება 250 მანეთი“.

ამონანერიდან კარგად ჩანს მაშინდელი პათოსი და შემართება. 1990 წელს გამოსული „მესხეთი“ დღევანდლამდე ასრულებს თავის

მისიას „მესხეთის უნივერსიტეტის“ სახელით. იგი არის ჩვენი უნივერსიტეტის უპირველესი მემატიანე.

ფილიალში სამი სპეციალობის შემოღება დროის მოთხოვნით, შრომის ბაზრით იყო ნაკარნახევი. როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობას ღებულობდა ახალგაზრდა, მას დასაქმების ფართო შესაძლებლობა ჰქონდა. პირველ რიგში მას შეეძლო ემუშავა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ხუთწლიანი სწავლის დროს სტუდენტი გადიოდა სასკოლო პრაქტიკებს მთელი დატვირთვით, ხდებოდა სერიოზული შეფასება ამ პრაქტიკებისა, ამიტომ კურსდამთავრებული მზად იყო სკოლაში შესასვლელად. არ სჭირდებოდა, როგორც დღეს არის, უაზრო ტრენინგების, გამოცდების ჩაბარების და სხვა მრავალი ბარიერის გადალახვა, რომ სკოლაში შესულიყო. ამასთან ერთად ამ სპეციალობით კურსდამთავრებულს შეეძლო ემუშავა გაზეთში. ჯერ კიდევ დიდი ყურადღება ექცეოდა გაზეთის ენას და საერთოდ ქართულ ენას, ამიტომ შეეძლო მას ყოფილიყო სტილისტი, კორექტორი, ემუშავა უურნალისტად. არც შემოქმედებითი ცხოვრება იყო ჯერ ჩამკვდარი, მწერალი, პოეტი, ლიტერატორი საერთოდ თავისი ხელფასით, პონორარით ლუკმას შოულობდა. ამ ყველაფერს ემატებოდა ჩვენი უნივერსიტეტის უმთავრესი მისიის - ისტორიული და თანამედროვე მესხური დიალექტის მეცნიერული შესწავლა, კიდევ უფრო მიმზიდველი ხდებოდა ეს სპეციალობა. ასევე იყო ისტორიისა და ეკონომიკის სპეციალობები. ხუთწლიან სწავლებას თავისი სერიოზული უპირატესობები ჰქონდა. უმაღლესი განათლება იძლეოდა განათლებას და არა „შესავალს“ განათლებაში, როგორც დღეს არის, მაგრამ ამას ხუთი წელი სჭირდებოდა, თანაც ფაკულტეტებს დეკანატური სტრუქტურის ამოქმედება სჭირდებოდა, რაც დროის საქმე იყო. აქედან გამომდინარე, წინა პლანზე წამოიწია კათედრების როლმა. კათედრა ჩვენთვის მიმართულების ტოლფასი შეიქნა. კათედრის გამგეს უნდა შეესრულებინა დეკანის ფუნქცია და სამეცნიერო საქმიანობის კოორდინირების ფუნქციაც. საათობრივი დატვირთვა კათედრის ძირითადი საქმიანობა გახლდათ. რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობას, ე.ნ. წლიურ თემებს, ყავლგასული იყო საუნავერსიტეტო ცხოვრებაშიც და ერთგვარ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ვფიქრობდით, კათედრებს აქტიური როლი ეთამაშა

კონფერენციების, სესიების სამეცნიერო სემინარების მომზადება ჩატარებაში. კათედრის თითოეული წევრის სამეცნიერო ინტერესები წარგვემართა რეგიონის კვლევის სამეცნიერო ინტერესების მიმართულებით.

საბჭოს 5 ოქტომბრის სხდომაზე „მოისმინის ფილიალის დირექტორის ინფორმაცია ფილიალში საკათედრო სისტემის შექმნის თაობაზე. აღინიშნა, რომ კათედრების შესაქმნელად საჭიროა სულ ცოტა ხუთი თანამშრომელი, მათგან ორი მეცნიერებათა კანდიდატი მაინც. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შესაქმნელად არსებობს პირობები, კერძოდ ამჟამად ფილიალში მუშაობს ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი, ორი ლაბორანტი“ (ოქმი №2, 1990 წლის 5 ოქტომბერი).

დედაუნივერსიტეტში ლიტერატურის ცალკე და ენის ბევრი კათედრა არსებობდა, მაგრამ ჩვენ საამისო პოტენციალი არ გაგვაჩნდა. ფილიალის მასშტაბებიდან გამომდინარე, გავაერთიანეთ ენა და ლიტერატურა.

ასევე აღმოჩნდა, რომ შეიძლებოდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრის შექმნა. გია კვინიკაძემ 16 ნოემბერს საბჭოს სხდომაზე გამოიტანა საკითხი და აღინიშნა, რომ კათედრის მომავალი წევრებიდან სამი მეცნიერებათა კანდიდატი და ერთი მეცნიერებათა დოქტორია. ფილიალი მზად იყო კათედრის შესაქმნელად.

აქვე გამოითქვა აზრის სახით სადირექტოვო დებულება, რაც ფილიალის ერთ-ერთ უმთავრეს მისიასაც წარმოადგენდა: „აღნიშნულმა კათედრამ უნდა იტვირთოს მეტად ძნელი საქმე და უნდა შეასრულოს სამსრეთ საქართველოს ეკონომიკური ცენტრის ფუნქცია და წარმართოს მრავალმხრივი ეკონომიკური კვლევა რეგიონში“.

ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიისათვის საინტერესოა ფილიალის სამეცნიერო საბჭოს 1990 წლის 30 ნოემბრის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს 19 წევრი და რომელზეც ფილიალის დირექტორმა გამოიტანა საკითხი კათედრის გამგეთა დროებითი დანიშვნის შესახებ: „მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფილიალში უკვე შეიქმნა ორი კათედრა - ქართული ენისა და ლიტერატურისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა. რომელიც უკვე დაამტკიცა უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ. გამოცხადებულია კონკურსი კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსის

შედეგების შეჯამებამდე კი დროებით ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ დაინიშნოს ტარიელ ფუტკარაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრის გამგედ კი გია კვინიკაძე. ორივე მეცნიერებათა კანდიდატია და ინტენსიურად აგრძელებენ მეცნიერულ მუშაობას.

კათედრის გამგებად დასახელებულ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი“.

**ტ. ფუტკარაძესთან** მისი სტუდენტობიდან მოყოლებული მქონდა ურთიერთობა. საქმისადმი ერთგულებითა და პროფესიული დამოკიდებულებით გამოიჩინა იგი, ამიტომ მისი ფილიალში მუშაობა სერიოზული მხარდაჭერა იყო ჩვენთვის. მალე იგი პოლიტიკაში წავიდა და მხოლოდ 21-ე საუკინის 10-იანი წლებიდან თანამშრომლობს უკვე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად.

**გ. კვინიკაძე** მისაღები გამოცდების დროს მოვიდა ჩემთან და გამოთქვა სურვილი ფილიალში მუშაობისა. გია ბორჯომში ცხოვრობდა, მისთვის და ჩვენთვისაც ხელსაყრელი აღმოჩნდა ეს შემოთავაზება. იგი დიდხანს ხელმძღვანელობდა კათედრას. 21-ე საუკინის დასაწყისში გადავიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მზადდებოდა საფუძველი უცხო ენათა კათედრის შესაქმნელად ჩვენ არ გვქონდა იმის ფუფუნება, რომ თითოეული ევროპული ენისათვის ცალკე კათედრა შეგვექმნა. ფილიალში ისწავლებოდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ზენოლა, რომ ერთუცხოენოვანი გამხდარიყო საქართველოს სკოლა. მოსწავლეები სხვადასხვა სკოლაში ეუფლებოდნენ სხვადასხვა ენას. მესხეთში დიდი ტრადიცია გვქონდა გერმანული და ფრანგული ენების სწავლებისა. მასწავლებლებად ადგილობრივი პედაგოგები მოვიწვიეთ ძირითადად. ეს კათედრა უნდა მომსახურებოდა ყველა სპეციალობას. 1990 წლის 13 დეკემბერს შეიქმნა ენათა კათედრა ფილიალში და კათედრის გამგის თანამდებობაზე დროებით დაინიშნა **ევგენი მშვიდობაძე**, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რომელსაც საკანდიდატო მინიმუმის საგნები ჩაბარებული ჰქონოდა და მალე უნდა შემდგარიყო დისერტაციის დაცვა.

ჩვენი ფილიალისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიის კათედრის შექმნას. იმავე 13 დეკემბრის სხდომაზე გამოვიტანეთ საკითხი საქართველოს ისტორიის კათედრის შექმნის თაობაზე. ოქმში ვკითხულობთ: „მთელი პასუხისმგებლობა უნდა იტვირთონ კათედრებმა. ფილიალში ფუნქციონირებს უკვე ორი კათედრა. ყველა პირობა არსებობს საქართველოს ისტორიის კათედრის შესაქმნელად. გვყავს მეცნიერებათა დოქტორიცა და მეცნიერებათა კანდიდატიც. ვთხოვთ ბატონ ვალერი სილოგავას, რომ დროებით იმუშაოს კათედრის გამგის თანამდებობაზე. მოგეხსენებათ, იგი კარგი მეცნიერია, 7 წიგნის ავტორია. ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე აქვს მას გაკეთებული სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებით. იგი ჩვენთან უკვე თანამშრომლობს, მოსამზადებელ კურსებზე ამეცადინებს აბიტურიენტებს“.

ვალერი მეცნიერებისათვის იყო დაბადებული. მართალია, იგი ჯერ აკადემიურ თანამდებობაზე არ მუშაობდა, მაგრამ ეს ნაბიჯი გადავდგით. მან დიდხანს იმუშავა კათედრის გამგის თანამდებობაზე. ბევრჯერ უთქვამს – მე ბევრი რამ მომცა ახალციხეში მუშაობამ, ჩემი მეცნიერული პროდუქციის დიდი ნაწილი სწორედ ახალციხეში შევქმნიო.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილია პროფესიონალური ვალერი სილოგავას სახელობის კაბინეტი, ახალციხეში არის მისი სახელობის აღმართი.

ფილიალის არსებობის პირველი წელი დასრულდა საკათედრო სისტემის შექმნით.

საზოგადოებამ ფილიალის გახსნა ეროვნულ საქმედ აღიქვა. რაც საერთო საზოგადოებროივ განწყობაში ჯდებოდა. ეროვნულობა, ქვეყნის სამსახური მოქალაქეთა ღირსების ნიშნად იქცა, ამიტომ თანამდებობაზე მყოფი ჯერ კიდევ არსებული საწარმო დაწესებულებათა ხელმძღვანელები გაგებით ეკიდებოდნენ ჩვენს თხოვნას, მიმართვას დახმარებისა და თანადგომის შესახებ.

თითოეული ადრესატის მდგომარეობიდან, ტრადიციიდან, ზოგჯერ გვარიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ მიმართვებს ვწერდით, რომ უფრო რეალისტური ყოფილიყო ჩვენი თხოვნა. მაგალითად 1990 წლის 28 აგვისტოს მივმართეთ თბილისის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის დირექტორს ბატონ გიორგი ბაგრატიონს: „ლრმად პატივცემულო ბატონო გიორგი!

თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ მესხეთის ძირძველ მიწაზე, საიდანაც სათავეს იღებს საქართველოს უპირველესი გვარი ბაგრატიონი, გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი სამი ფაკულტეტით. ფილიალი ჩამოყალიბდა პროფექციულის შენობაში. დაიწყო შენობის ძირფესვიანი რემონტი, ჩატარდა პირველი გამოცდები, შევიძინეთ ბევრი საჭირო ტექნიკური და სპორტული საქონელი.

მიუხედავად, მთავრობის მხარდაჭერისა, უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი განიცდის ფინანსურ სიძნელეებს. გვაქვს თქვენი თანადგომის იმედი. თუ სურვილი გექნებათ, რომ დაგვეხმაროთ, თანხა შეგიძლიათ გადმორიცხოთ შემდეგ მისამართზე:“

თუ ამ შემთხვევაში ადრესატის გვარს მივაქციეთ ყურადღება, სხვაგვარი ტექსტი მომზადდა ბათუმის ტყავფეხსაცმელების სამრეწველო-სავაჭრო ფირმის დირექტორის ალიმ მაჯვალაძის სახელზე: „ლრმად პატივცემულო ბატონო ალიმ! ალბათ თქვენთვის უკვე ცნიბილია, რომ ახალციხეში გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიზანია ისტორიული მესხეთის პროვინციების – სამცხის, აჭარის, ჯავახეთის... კულტურული აღორძინება. ნიშანდობლივია, რომ წელს პირველივე მასალები გამოცდების შემდეგი სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ახალციხის, ხულოს, ასპინძის, შუახევის, აღიგენის და ქედის მცხოვრებლები შეადგენენ.

სასწავლებელი დაბინავდა პროფექციულის შენობაში. მისი რემონტისა და მატერიალური ბაზის მოსაწყობად მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრები არაა საკმარისი. თუ კი თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, დაგვეხმაროთ, თანხა შეგიძლიათ გადმოგვირიცხოთ შემდეგ მისამართზე“...

ვცდილობდით ადრესატისათვის ყურადღებამისაქცევი ფაქტების მოხმობით მათი დაინტერესება გაგვეაქტიურებინა.

ეს იმ შემთხვევაში, თუ საამისო საფუძველი გვექნებოდა. მიმართვები, ბუნებრივია მზადდებოდა უშუალოდ ფილიალის დირექტორის მიერ.

მაშინდელი დოკუმენტაცია იქმნებოდა საქმიდან გამომდინარე. იყო შემთხვევები, როდესაც ბიუროერატი მოხელის ყურნაგდებულობა, რომელიც აზიანებდა საქმეს ჩვენი კატეგორიული ტონის

საფუძველი ხდებოდა და არც ამას ვერიდებოდით. 1990 წლის ოქტომბერში ვწერდით ახალციხის რაიონის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს – ყოველგვარი შესავლის გარეშე: „მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სალაროში ტელეფონის უქონლობის გამო ჩართული არ არის სიგნალიზაცია. მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში ფილიალი იხსნის პასუხისმგებლობას. გთხოვთ გაითვალისწინოთ.

**რამდენჯერმე მოგმართეთ ტელეფონთა ახალი ნომრების თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი რეაგირება ჩვენს თხოვნას არ მოჰყოლია. თქვენი დახმარების იმედი გვაქვს.“**

საბიბლიოთეკო საქმის მოგვარება მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ კერძო შემოწირულობები დიდ როლს თამაშობდა საბიბლიოთეკო ფონდის შექმნაში. ფილიალის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან შევქმნით ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა **მადონა გოგოლაძე**. მართლაც განსაკუთრებული მხარში დგომა გამოიჩინა საზოგადოებამ. ჩვენი ბიბლიოთეკის შექმნას გამოეხმაურა მთელი საქართველო. პირველ რიგში აქტიურობდა უნივერსიტეტის პროფესურა, თანამშრომლები. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონი ლევან მენაძე, რომელიც დიდ ხანს კითხულობდა ჩვენთან ლექციებს და ყოველ ჩამოსვლაზე ექვსი წიგნი ჩამოჰქონდა. ეს თემა კიდევ გაგრძელდება მომავალ წლებთან დაკავშირებით, ამჯერად კი ორ მაგალითს მოვიყვანთ:

ერთი ხეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორს, პატრიოტსა და ეროვნულ საქმისადმი თავდადებულ ადამიანს ქალბატონ **ნათელა ქუთელიას**, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოქმაურა ჩვენი ბიბლიოთეკის შექმნის საქმეს, რასაც გვამცნობს ბიბლიოთელკის ხელმძღვანლის სამადლობელო წერილი: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის თანამშრომლები უღრმეს მადლობას გიძღვით ესოდენ დიდი თანადგომისა და დახმარებისათვის. თქვენ მიერ მოძღვნილი მეტად საჭირო წიგნები ამიერიდან საპატიო ადგილს დაკავებს ჩვენი ბიბლიოთეკის თაროზე“ (22. 10. 1990).

ასეთივე შინაარსის წერილია, გაგზავნილი სოფელ ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მეექვსე ბ კლასის სახელზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფილიალის ბიბლიოთეკის შექმნა საერთო საქვეყნო საქმედ იქცა. პირველ რიგში ჩვენი წიგნადი ფონდის გაზრდაზე ზრუნავდნენ დიდი ბიბლიოთეკები. მათთან ერთად ხდებოდა საჭირო ლიტერატურის შერჩევა.

ფილიალის დირექტორის 1990 წლის 15 ნოემბრის თარიღით გაგზავნილი წერილი ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ქალბატონ გულიკო წიკლაურისადმი სწორედ ამ ზრუნვის მაჩვენებელია: „ღრმა პატივცემულო ქალბატონო გულიკო! თქვენი ა. წლის 6/XI-ის №620 მომართვის თანახმად გაცნობებთ, რომ ჩვენ, თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის მთელი კოლექტივი, დიდი მადლიერებით მივიღებთ ყოველგვარ შემონირულ ლიტერატურას, რაც ასე სჭირდება ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას“.

უნივერსიტეტის გამარჯვება ახალციხეში ერთმა ფაქტორმაც განაპირობა. ეს იყო საზოგადოების წევრთა პიროვნული განწყობა, უშუალო მეგობრობა, რომელიც ბევრ ახალციხელსა და ჩემს შორის იყო. ჩვენმა თაობამ ნამდვილი მეგობრობა იცოდა, რადგან ჩვენ არ გავფუჭებულვართ პარტიული „მეგობრობით“. კომუნისტური პარტიის წევრობა, რადგან მოწინააღმდეგე პარტია არ არსებობდა, პარტიულ მეგობრობას არ ნიშნავდა, მით უმეტეს მე-20 საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც კომუნისტებმა ამონურეს თავიანთი თავი და შესაძლებლობანი, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა მათი ურთიერთობა. მეგობრობა ჩვენთვის პირველ რიგში ნიშნავდა ბავშვური და ახალგაზრდული ურთიერთობის გაგრძელებას.

კომერციული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები გამოირჩეოდნენ კომუნისტების დროსაც. ერთ-ერთი ასეთი კაცი იყო ნუგზარ ალდგომელაძე, რომელიც პირველი მიესალმა ჩემს დაბრუნებას მესხეთში. ნუგზარი და მისი ოჯახი თავდაუზოგავად ედგა უნივერსიტეტს მხარში. ბევრჯერ, სხვას რომ ყველაფერს

თავი დავანებოთ, გვემასპინძლა უცხოელი თუ თბილისელი სტუმრებისათვის. არც თანამშრომლებს ულხინდათ და ნუგზარის თანადგომას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

დღეს პატრულთან ურთიერთობა მოჩვენებითი ოფიციალურობით გამოირჩევა. გავუჩერებივარ ჩემს ყოფილ სტუდენტებს, საჭესთან როდესაც ვიჯეექი (მათ, ჩემი ხელმოწერით რომ აქვთ დიპლომი) და უთქვამთ: „რა ვქნათ, ბატონო მერაბ, კი ვიყავით თქვენი სტუდენტები, მაგრამ წესი წესია, დვედი რომ არ გიკეთიათ, უნდა დაგაჯარიმოთ“. მეც რა მეთქმის, წესი წესია, გავიღიმებ ხოლმე და ვართმევ ქვითარს. ერთი-ორჯერ ვუთხარი: „ბიჭებო, წესი წესი კი არის, მაგრამ მშობლები არ დააჯარიმოთ, ყოველ შემთხვევაში არ ჩაუშვათ, არ დააბეზლოთ მაინც, გადასასვლელი არ იყო და დაარღვია ფეხით მოსიარულეთა უფლებებით“.

9 აპრილის შემდეგ მილიციამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მაშინდელ საზოგადოებაში, ეროვნულობის, ქვეყნის, მოსახლეობის დაცვის სიმბოლოდაც იქცა. მანქანის ჩაბურულ ფანჯრებს არ იყო ამოფარებული. მილიცია 1990 წელს მკვეთრად ეროვნული იყო, ამიტომ ვოვა ზედგინიძის, ჩემი სტუდენტობის მეგობრის, მხარში დგომა უნივერსიტეტს განსაკუთრებით სჭირდებოდა. ვოვა, როგორც მილიციის მაშინდელი უფროსი, უნივერსიტეტის დამფასებელი და მხარდამჭერი გახლდათ. მასაც ხომ უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

განსაკუთრებით უხაროდა ქალაქის ინტელიგენციას და ეს ბუნებრივიცაა. კეთილი განწყობით გამოირჩეოდნენ ექიმები. პირველივე ზამთარს გავცივდი და მოვხვდი საავადმყოფოში. არ იყო გათბობა, ყინავდა. როცა შუქი მოვიდოდა მცირე ელექტრო-ღუმელების იმედზე ვიყავი.

საოცარი მხარში დგომა იცოდა პაატა მაისურაძემ, იგი ბოლომდე იხარჯებოდა მეგობრულ ურთიერთობაში. დღეს ცოტა რთულია ამის გაგება, მაგრამ ნამდვილად ხდებოდა ასე: მოსულა პაატა და უთქვამს: ვიცი ქართველებს იმის მონესრიგებულობა არ გვაქვს, გეგმიური პროფილაქტიკური ღონისძიებები რომ ჩავატაროთ, შეიძლება ფილტვებში რამე გაქვს, შენი ხველება არ მომწონს.

არანაკლები გულისხმიერებით გამოირჩეოდა ექიმი **საშა**  
მარტინოვი და მისი ოჯახი. მის პროფესიონალიზმთან ერთად ყუ-  
რადღება და სითბო მოგარჩენდა ადამიანს. თან თავისსავე დაყენე-  
ბულ შავ ლვინოს დაგაგემოვნებინებდა უნივერსიტეტის სადღეგრ-  
ძელოდ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს **სულიკო ხმალაძისა** და მისი  
მეუღლის ეთერი ზედგინიძის დიდი მხარში დგომა. დღეს ახალცი-  
ხეში ბევრი სასტუმროა, მაგრამ მაშინ ოფიციალური სახელმწიფო  
სასტუმროს გარდა არაფერი ფუნქციონირებდა. სულიკოს სას-  
ტუმრო რაბათში სხვა იყო უნივერსიტეტისათვის კონფერენ-  
ციების, მოსული უცხო თუ თბილისელი სტუმრების დროს. მათ  
სახლში წლების განმავლობაში ყოველგვარი საფასურის გადახდის  
გარეშე ცხოვრობდნენ ჩევნი ბერძენი პედაგოგები **კულა გალანი**  
და **ანდონის ცობანგეორგიუ**. ეს უდიდესი დახმარება იყო უნი-  
ვერსიტეტისათვის.

90-იანი წლების ახალციხე წარმოუდგენელია ისეთი ბოჭემური,  
ამასთან ერთად ტრადიციული ადამიანის გარეშე, როგორც **ომარ ჯაყელია**. ომარს ეკონომიკური შესაძლებლობაც მოსდგამდა და  
უშურველი მასპინძლობა იცოდა. ბევრჯერ დახმარებია უნივერ-  
სიტეტს საწვავით გაჭირვების ჟამს.

იური გელაშვილის საკალმახე მეურნეობა ერთ-ერთი პირველი  
კერძო საჩვენებელი თევზსაშენი და ლიფტსიტების გამოსაყვანი  
იყო. აქედან ბევრი სხვა საკალმახე მარაგდებოდა ლიფტსიტებით.  
ბევრი უცხოელი აღფრთვანებულა ამ შესანიშნავი ადგილით,  
მისი თევზით. დღეს, როგორც ვიცი, მხოლოდ ახალქალაქის თევზი  
იყიდება ახალციხეში. ეს შესანიშნავი ბიზნესი დაკარგა ახალციხემ.  
იური არა მხოლოდ პატრონი იყო თევზის ერთ-ერთი უმსხვილესი  
მეურნეობისა, შესანიშნავი სპეციალისტიც გახლდათ და უნივერ-  
სიტეტისათვის მისი მხარში დგომა განსაკუთრებული ფასეულო-  
ბით გამოირჩეოდა.

პარტიული დაპირისპირება ყოველთვის ახლდა 90-იანი წლების  
საქართველოს. ყველას კარგად ახსოვს ზვიადისტების  
განსაკუთრებული ერთგულება მრგვალი მაგიდის მიმართ, მაგრამ  
ჩვენთვის მთავარი იყო ადამიანი, პროფესიონალი, საქმის მოყვა-  
რული. ამიტომ, როდესაც ზოგჯერ რომელიმე პარტიულ მოხელეს

წასცდებოდა პარტიული რწმენით გამორჩევა, უნივერსიტეტი იდგა პიროვნული და ეროვნული ლირსებების სადარაჯოზე.

**ზურა მერა ბიშვილი** თავის დროზე როგორც ადმინისტრატორი ეხმარებოდა უნივერსიტეტს, როდესაც ამის უფლება აღარ ჰქონდა და აღარ მუშაობდა ადმინისტრაციაში, მოვიყვანეთ ჩვენთან სამუშაოდ. თავისივე გაკეთებული სიკეთე თვითონვე დახვდა და მოგებული კი ჩვენი ახლადჩამოყალიბებული უნივერსიტეტი დარჩა.

## ახლა კი უშუალოდ მაშინდელი 1990 წლის ჩანაწერები – ქრონიკები

**27 თებერვალი.** ახალციხეში პირველად ჩავედი უნივერსიტეტის ფილიალთან დაკავშირებით. ყველა დიდი ინტერესით და სიხარულით შეხვდა ახალ ამბავს. არის რამდენიმე შენობა, რომელთა სელმძღვანელები მზად არიან ყოველგვარი დახმარებისათვის, განსაკუთრებით აქტიურობდა ერთ-ერთი პროფის დირექტორი **თამარ სამშონიძე**. თბილისიდან ჩასულები ვიყავით: **თემურ კიკნაძე** (განათლების სამინისტრო), **რაჭდენ ხიტირი** (სამშენებლო სამართველო) და მე. ახალციხეში დაგვხდნენ: რაიკომის პირველი მდივანი **თემურ მოსიაშვილი**, მეორე მდივანი **ლია ხმალაძე** და აღმასკევის თავჯდომარე **ოთარ ჯინჭველაძე**. ტექნიკუმის დირექტორია ჩემი ძველი ნაცნობი, მამაჩემთან ერთად რომ თევზაობდა ხოლმე – **გოგი კაპანაძე** (ადრე იყო მუზეუმის დირექტორი). ტექნიკუმი გ. მგელაძის გამგებლობაშია. საჭიროა შეთანხმება **გ. მგელაძესა და გ. ენუქიძეს** შორის. საამისოდ პირველ მარტს ვაპირებ შესვლას ორივესთან.

**1 მარტი.** დავურეკე თემურ კიკნაძეს, მძიმე მდგომარეობა გვაქვს სამინისტროში, ამიტომ ვერ წავედით დღეს და გადაიდო საკითხი.

**2 მარტი.** განათლების სამინისტრო ვერ ავიღეთ. გაფიცული თუ გაბუტული აპიტურიენტები უსხედან მინისტრსა და მოადგილებს. არის იდეა, რომ დამატებით გამოცხადდეს დაუსწრებელზე მიღება, ოლონდ გადასახადით.

დღეს ვნახე ეკონომისტების დეკანი **ავთანდილ სილაგაძე**, ეკონომიკური ფაკულტეტის სახელწოდების ფორმულირება შეიძლება ასე: ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა სოფლის მეურნეობის დაგეგმის სპეციალობით.

მისაღები გამოცდები: 1 მათემატიკა, 2 საქართველოს ისტორია, 3 გეოგრაფია, 4 ქართული წერა.

40 კაცის მიღება ეკონომიკის ფაკულტეტზე არასწორად მეჩვენება. სჯობს თავიდანვე გამოვაცხადოთ ორი ჯგუფი – 50 კაცი, ვიდრე შემდეგ დაინტერია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ 30 კაციანი ჯგუფები ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე არაპრაქტიკულია. 30 კაცი არც ერთი ჯგუფია და არც... საჭიროა დაკავშირება მიმღები კომისიის მდივანთან **თემონლაიშვილთან** და დროზე მომზადება გამოცდებისათვის. საჭიროა ქსეროქსის საქმის მოგვარება და სასწრაფოდ ზოგიერთი დეფიციტური წიგნის გადაღება. **ავთანდილ სილაგაძე** მოგვცემს გადასაღებ წიგნებს. მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: 1 შენობის მოგვარება და ადმინისტრაცია, 2 კადრები სასწავლო პროცესისათვის, 3 ბიბლიოთეკის მოწყობა და საჭირო ლიტერატურის შეგროვება, 4 მისაღები გამოცდები.

**3 მარტი.** ვუყურე ჩანაწერს ტელევიზით მაჰმადიანი მესხების თაობაზე. ბევრი საფიქრალი აღმერა. საშინელება დაატრიალა ერთად შეყრილმა მოსახლეობამ, სასამართლოები და დაკითხვები მოუწყვეს ინტელიგენციას. როგორ გაწირეს **შოთა ლომისაძე!** ვინ მერე? იმათ, ვისაც საქვეყნოდ აგური აგურზე არ დაუდიათ. ხალხს **შოთა ლომისაძის** წიგნების დაწვისაკენ მოუწოდეს. სამწუხაროდ მათ შორის ბევრი ჩემი ნაცნობი იყო. მხოლოდ ახლა გამიჩნდა პირველი ეჭვი უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, გაიმარჯვებს საუნივერსიტეტო განათლება ასეთ გარემოში?

**5 მარტი. გურამ ენუქიძესთან** ვიყავით **თემურ ხუროძე** და მე. დავუკავშირდები და მოველაპარაკები **გურამ მგელაძესო**, თქვა ენუქიძემ. ველოდები.

**10 მარტი.** ტექნიკუმი ცუდად შეხვდა აზრს შენობის ფილიალისათვის გადაცემის შესახებ. ასეც ველოდი. გააკეთეს საწინააღმდეგო ხელმოწერები.

საჭიროა პროფების შეერთება, რასაც მშირდება **თ. კიკნაძე**. ესე იგი გვერდს ავუვლით ტექნიკუმს.

**6 აპრილი.** ვაკეთებ იმას რასაც ადმინისტრაციული ორგანოები უნდა აგვარებდნენ წესით. ოთხშაბათს (დღეს პარასკევია) ვიყავი ახალციხეში. **თოარ ჯინჭველაძის** კაბინეტში მოვიდა გ. კ., შემოსვლისთანავე თქვა: „უნივერსიტეტი როგორც იქ არის ბუდე

დროშის ფრიალისა და არეულობისა, ახლა აქ უნდა იქცეს ასეთივე ბუდედ“. ტექნიკუმის წერილი მივიდა სხვადასხვა ინსტანციაში. ფაქტობრივად ახალციხის ტექნიკუმი წინააღმდეგი გამოვიდა უნივერსიტეტის ფილიალისა. რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი, ქალაქის საბჭოს თავჯდომარე **პარუნაშვილი** და სხვანი მივიდნენ ტექნიკუმის თანამშრომლებთან, ცხარე კამათი ჰქონიათ. შეიქმნა მოჯადოებული წრე: რაიკომი – აღმასკომი – განათლების სამინისტრო – აგრომრენვი. ყველა ვნახე, ყველას შევხვდი, ყველა მიესალმება, ადგენს, ავალებს, იბრძის, მაგრამ არავის სულ მცირე რამის დათმობაც არ უნდა. დღეს მოჯადოებულ წრეში ჩაერთობა რექტორი, რომელიც დაურეკავს ენუქიდეს, შეთანხმდებიან. ცოტ-ცოტა გვიანდება კიდეც.

**12 აპრილი.** საბოლოოდ ყველაფერი გადაწყდა. მოგვცეს პროფესიულის მთავარი კორპუსი. დღეს, 12 აპრილს, დაიწერა ბრძანება. მოვილაპარაკეთ თავჯდომარეების თაობაზე: მათემატიკაში – ზურაბ შენგელია, ქართულში – ლეილა გეგუჩაძე, ისტორიაში – იულინ გაგოშიძე, რუსულში – დათო გოცირიძე. უცხო ენებში ჯერ არ ვიცი.

**17 აპრილი.** ფილიალის გახსნას ოფიციალურად ითხოვენ 26 აპრილს. 27-ში იხსნება კომპარტიის კონფერენცია. უნდათ, რომ ფილიალის გახსნით შეიქმნან ფონი. გადაიტანონ ამაზე უმთავრესი აქცენტი. მე მინდა 26 მაისს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**19 აპრილი.** გუშინ **თემურ ხუროძეს** ვუთხარი, რომ 26 აპრილს არ შეიძლება მეთქი ფილიალის გახსნა. ტყუილიც ვთქვი (ლმერთი შემინდობს ამ ტყუილს), თითქოს ახალციხელი არაფორმალები ჩამოვიდნენ და მოითხოვეს, პარტიული კონფერენციის გახსნას არ დაამთხვიოთო, თან დაკავშირდეთ, რომ 26 მაისს სჯობია ამ საქმის მოგვარება. **თ. ხუროძემ** დაურეკა ენუქიდეს, უთხრა ეს ამბავი, ისიც დათანხმდა. მერე უნდა დალაპარაკებოდა **მოსიაშვილს**, მე წამოვედი.

დღეს **ვახტანგ გოგუაძეს** უთქვამს **ხუროძისთვის**, **ზვიად გამსახურდია** წამოვა ახალციხეში გახსნაზე (იგულისხმებოდა 26 აპრილი). დღესვე წასულია **გამსახურდია** ახალციხეში მიტინგის ჩასატარებლად. მე მაინც კატეგორიულად (და ამაში ასევე კატეგორიული იყო **თ. ხუროძე**) მოვითხოვე 26 მაისი. ველაპარაკეთ **თ.**

**მოსიაშვილს** ტელეფონით. **თ. ხუროძემ** უთხრა 26 მაისის ამბავი. არაფერი თქვა პირველმა მდივანმა. მოვითხოვე მომავალი სასწავლო კორპუსის შენობის პროექტის გამოგზავნა. დამირეცა **ნინო მელაძემ** („სახალხო განათლებიდან“) ინტერვიუზე, მაგრამ კვლავ უარი ვუთხარი.

**20 აპრილი.** ველაპარაკე ახალციხეში **ლ. ხმალაძეს.** **თ. მოსიაშვილს** დაერეკა, ვიდრე უნივერსიტეტში მივიდოდი და მერე მე დავუკავშირდი. პროექტი, რომელიც მინდოდა, არისო **ნათლიაშვილთან** საპროექტო განყოფილებაში, ალბათ განათლების სამინისტროში. ორშაბათს მივაკითხა.

შევხვდი **გვანცა კოპლატაძეს,** შევთავაზე გამოცდებზე ჩემთან დარჩენა, მოეწონა, არ ვაპირებდი უნივერსიტეტში წელს არავითარ შემთხვევაში ყოფნას გამოცდებზე და თან მიზეზი მექნება, რომ შენთან მოვდივარო. სჯობს, რამდენიმე კაცი ერთად შევიკრიბოთ და შევიმუშაოთ საგამოცდო წერითი კრიტერიუმები. ამას წინათ **ლეილა გეგუჩაძეს** ვესაუბრე, კარგი მოსაზრებანი აქვს. გვანცამ დღეს განმიცხადა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ბიბლიოთეკას ვუტოვებ ახალციხის ფილიალსო. **გ. კოპლატაძე** მეორეა უკვე, ვინც ბიბლიოთეკას მპირდება, პირველი ვახტანგ გურგენიძეა.

**21 აპრილი.** დღეს დილით უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მივაწოდე ინფორმაცია საბჭოს წევრებს ფილიალის გახსნის თაობაზე. მოკლე სიტყვაში ვთქვი, რომ გაიხსნა ფილიალი დაუსწრებელი ფაკულტეტის ნაცვლად, როგორც ივარაუდებოდა სამინისტროს ბრძანებით. დღეს არის მხოლოდ დასწრებული 3 ფაკულტეტი და რომ ახალციხის ფილიალი უნდა იქცეს სამეცნიერო-კულტურულ ცენტრად სამხრეთ საქართველოში. ერთმა მათემატიკოსმა აღნიშნა, რომ საჭიროა მათემატიკის ფაკულტეტის გახსნაც, რადგან მათემატიკის მასწავლებლები აკლიათ სამხრეთში. მე ვუპასუხე: ახალციხეში და სამხრეთში საერთოდ სკოლებში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ნებისმიერ სკოლაში თბილისში. ჰუმანიტარული პროფილის გაძლიერება ვარაუდობს არაქართულ სკოლებში ქართულის გაძლიერებას მეთქი.

**ნოდარ ამალილობელმა** თქვა, რომ მთავარია, დავიწყოთ და შემდეგში აუცილებლად გაიხსნება სხვა ფაკულტეტებიცო. წიგნების თაობაზე განცხადება გააკეთა **ციალა სვანიძემ.**

**23 აპრილი.** დილიდანვე ტელევიზიაში მივედი. ბოლოს და ბოლოს უნდა დაგვემთავრებინა ფილმი მესხებზე. საყოფაცხოვ-რებო ვიდეო გაფუჭებული აღმოჩნდა და კვლავ გადაიდო. დავბრუნდი უნივერსიტეტში. **ელგუჯასთან ლონდამ** დამახვედრა ამბავი, რომ **ლია ხმალაძემ** დარეკა ახალციხიდან პროექტთან დაკავშირებით. ჩავედი საპროექტო განყოფილებაში. იქ არ ჰქონდათ პროექტი მოვტრიალდი სამინისტროში, არ დამხვდა **იზა ისაშვილი**, თათბირზე აღმოჩნდა. ეტყობა მოადგილე იყო ერთი ქალი, რომელმაც დამაკავშირა ტელეფონით **ბოლოთაევასთან** და ბოლოს **ხიტირის** ტელეფონის ნომერიც მომცეს. ასე ვიარე საღა-მოს 6-საათმდე და ვერ გავარკვიე, არის თუ არა სადმე პროექტი, ან საერთოდ საჭირო არის თუ არა პროექტი.

**26-27 აპრილი.** დილით ადრე ჩამოვედი ახალციხეში. გუშინ კოტებ მითხრა, მივდივართ და საჭიროა, რომ შენც იქ იყო 11 საათზე. მოვიდნენ **გ. ენუქიძე, კ. გაბაშვილი** და **კ. ქორიძე**. ახალი თაობიდან ორი მოადგილეა ენუქიძესთან. კოტეს სიტყვას ენდობა ენუქიძე. მივედით მე და **გ. ენუქიძე** პროფესიაში. ორივე პრო-ფესიული თანახმაა უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე. მე და **გ. ენუქიძე** ვიყავით ზიკილის და ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში. ლამე სახლში დავრჩი ასპინძაში. მეორე დღეს ახალცი-ხეში ჩატარდა პარტიული კონფერენცია. ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, სომეხ-ქართველთა კონფლიქტს შეეხებოდა. აქამდე არ უნ-და მისულიყო საქმე. ერთი სომები შოთერია დაჭრილი. ამან შეიძ-ლება ქართველებიც დალუპოს და სომხებიც. კონფერენციის მეო-რე ნაწილიდან ნამოვედი. კონფერენციაზე განცხადების გაკეთება უნდოდა სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს. არ მისცეს საშუა-ლება. უაღრესად უსიამოვნო სიტუაცია.

ყველაფრის მიუხედავად ჭარბი ოპტიმისტური განწყობით ვარ სავსე:

### **28 აპრილი.**

მე თუ მოვდივარ და ჰა, მოვდივარ,  
თავმდაბალი და თავდადებით შენად მოვდივარ,  
გეახლო მინდა, გემონო მინდა და  
დაგიკოცნო კალთები მთათა...  
შევეხმიანო, აბულის მთიდან შევეხმიანო  
ჩემ წინ გადაშლილ საქართველოს,

აწმყოს და წარსულს.

მე თუ მოვდივარ, მართლა მოვდივარ,

ვიცი, მელიან,

მიმელის ალბად მოულოდნელი სისავსე და დაბნეულობა.

მოეჩვენება ზოგს სიმართლედ, ზოგს კიდევ ყალბად.

ეს რჩეულობაც, მიახლებაც, მოხვევაც მთათა

არ ემგვანება სვლას, ნავალს სხვათა!

ჩემი მიზანი არის ზე ასვლა სიშლეგის გარსით,

ჩემი მიზანი რთულია და სიგიურ ახლავს!

**26 მაისი.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ოფიციალურად გახსნის თარიღი.

**30 მაისი.** (ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძის ჩანაწერი). დღეს 30 მაისია, პირველი საქმიანი დღე მერაბის უნივერსიტეტში მოღვა-ნეობისა. გადმოვდგი ფეხი და მრავალი ჩანაფიქრის და სურვილის შესრულება ვუსურვე გულში. ღმერთმა ქნას შეუსრულდეს. მოულოდნელი აღმოჩნდა შენობის მდგომარეობა. ღმერთო, დიდებულო! უნივერსიტეტი და მერე ეს?!... ვიჯექი ტროტუა-რისთვის განკუთვნილ მოზაიკური ფილებით მოპირკეთებულ ე.ნ. მოსაცდელში – ვესტიბულში და ამ გაგანია სიცხეში მართლაც სასიამოვნო სიგრილე მივლიდა სხეულში. საკმარისია, რამდენიმე საათი გასტანოს, რომ ყანკალს დაგაწყებინებს მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის. ეტყყობა, წვიმიან ამინდში არც წყალი აკლია შენობას, იმისთანა ნესტისა და შმორის სუნი დგას. საკმაოდ განიერი, ეგზომ ეფექტურად გამომყურე ფანჯრების ჩარჩოების გარშემო მზის სხივებიც სწვდება შენობას. გარეთ, როცა მესხეთისათვის დამა-ხასიათებელი მშრალი მცხუნვარე მზე ჭახჭახებს, რა უშავს, თუ ღრიფოებიდან მაინც შემოვა ფანჯრებდალურსმულ დაგუდულ შენობაში. მაინც რა ოსტატურად იციან ჩვენმა მშენებლებმა, არქიტექტორებმა ცბიერებისა და რეალურობის ერთმანეთთან ჰარმონიულად შეხამება: გარედან ეფექტური, ჰაეროვანი, თანა-მედროვე... შიგნიდან ცივი, ჩაგუდული, უსინათლო, უჰაერო შენო-ბა. გული ბრაზით და ცოდვით ამევსო! იციან ვინ გააგზავნონ ყამირზე. ეს ალბათ საქართველოსთვის ყველაზე უფრო ძნელი გასატები ყამირია. შემეცოდა ჩემი ოჯაზი. რაში სჭირდებოდა ჩემს ქმარს ეს ყველაფერი... შესანიშნავად ვიყავი თბილისში. მდიდრები

არ ვყოფილვართ, ჩვენ მიერ შექმნილი ჩვენი ცხოვრება ძალიანაც მაწყობდა. მქონდა სავსე ოჯახი, მყუდრო და მშვიდი ცხოვრებით. სავსე ჩემი შვილებით, თორემ სავსე სხვა გაგებით არასოდეს ყოფილა ჩემი ოჯახი, ინტელიგენტი კაცის ნორმალური ოჯახი.

ახლა? – ეს არის უდიდესი თავდადება, უდიდესი და უღალატო სიყვარული ერისა და საქართველოსი, მე ვიტყოდი, რომ ეს ფანატიკოსი კაცის მოქმედებაა. თავისი პირადი ცხოვრება, ოჯახი, შვილები, მეუღლე, შესანიშნავი სამსახური ბოლოს და ბოლოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასნავლებლობის დატოვება მხოლოდ ისეთ კაცს შეეძლო, როგორიც მერაბ ბერიძეა. გაოგნებული ვარ, როგორ უნდა დაიძლიოს ყველაფერი ეს, ახალგაზრდობის დარჩენილი წლები ისევ რაღაცის მშენებლობამ უნდა წამართვას. გაიგებს კი ხალხი მის მოქმედებას? ალბათ – ვერა, რადგან საზოგადოების უდიდეს ნაწილს მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს და ვერც წარმოიდგენს, კაცმა თავისი ბედნიერება რატომ უნდა ანაცვალოს ხალხს. სადღაც მეც მინდა მჯეროდეს, რომ ხალხი მხარში ამოუდება, მაგრამ ჯერ ამას ვერ ვგრძნობ. სანამ ადამიანი გაიხდის იმ საშინელ ქურქს, გამოიცვლის ტყავს და სულსაც რამეს უშველის, მანამდე თავდადება და კეთილშობილება ადამიანს ყოველთვის მოჰგვრის ირონიულ ღიმილს. მეშინია, მერაბი თეთრი ყვავი არ გამოჩნდეს. ალბათ ბევრის მოთმენა და გადაყლაპვა მოუწევს. არ ვიცი, მერე რა იქნება?

დღევანდელმა მერაბმა ის ქოთქოთა მერაბი გამახსენა, უნივერსიტეტში რომ მდივნობდა. თავისი საქმით გართულს დაავინიყდა, აქ რომ ჩამომიყვანა. სადღაც კუთხეში მჯდომი ვერც დამინახა, ისე გაუჩინარდა. ველოდებოდი, რომ ალარ გამოჩნდა, გარეთ გავიხედე. მანქანა დაძრა და სადღაც წავიდა, მაშინ კი წამოვხვტი და გამოვეყიდე, ფეხსაცმელი ზედ შუაზე გადაწყდა. ძალიან მეწყინა, ამევსო გული ცრემლებით და ბრაზით, ფრთხილად, თან ისე, რომ გაბრაზება არ დამტყობოდა, გამოვედი ეზოდან, მივიხედ-მოვიხედე, გავერკვიე საით უნდა გავდგომოდი გზას, გადავწყვიტე მანქანა გამეჩერებინა და ავტოსადგურში წავსულიყავი, რომ ეზოში მერაბი და მასთან ერთად ვიდაცები გამოჩნდენ. ნაზი ხმით და მოკრძალებული, ღიმილიანი ბოდიშით მერაბი გამოვიძახე... „თუ შეიძლება, ერთი წუთით“, და ვიფეთქე:

– მე უკვე მივდიოდი!

- სად?
- სად და სახლში, აქ რა გინდა, რა დაგიკარგავს, წამოდი შენც ახლავე.

მერაბი, ეტყობა, ჩემს ისტერიკებს არ მოელოდა და გაოგნდა, სიტყვა გაუწყდა, დაიბნა კიდეც.

– აბა, რა გეგონა? როგორ გინდა? მე მართლა მეგონა, სადღაც მოდიოდი, რაღაც გხვდებოდა, რა გინდა აქ? მე უნდა წავიდე, ავტობუსს მივასწრებ, 10 საათზე უკვე თბილისში ვიქნები და საერთოდაც აქეთ არც კი გამოვიხედები. მგონი არ ვყვიროდი, ისე ვლაპარაკობდი. მერაბს სახე ნელნელა გაუფითრდა თვალები შუბლზე აუვიდა, პირი გაუშრა და ჰოი, საკვირველებავ, ჩემ წინ იდგა ისევ სტუდენტი მერაბი, „დამნაშავე“ ჩხუბის შემდეგ. შევხედე და ვიგრძენი, რომ მეც იმ წუთში ისევ კაფანდარა, სასაცილო, ჭირვეული გოგონა ვიყავი. ეს გარდასახვა იყო წამიერი და ვიგრძენი ისევ ის ძველი, ოღონდ განახლებული გრძნობები, განცდები, – რაც უფრო ვბრაზდებოდი და ვანჩხლდებოდი, მით მეტი სითბოთი და სიყვარულით მევსებოდა გული. შევხედე და დამავიწყდა ყველაფერი, ღმერთო ჩემო, როგორ მაბრაზებ და როგორ მიყვარხარ, – აღმომხდა და სიბრაზემაც გადამიარა. რა მეშველება ეს რა შარში გავებით.

**9 ივნისი.** ახალციხეში ჩავიყვანე ნოდარ კაკაბაძე, შოთა ბადრიძე, ია ფხაკაძე და ც. ხვედელიძე – კომისიათა თავმჯდომარეები. მცდარად გამოუქვეყნებიათ გაზიერები ცნობა შეხვედრის შესახებ. ნორმალურად წარიმართა შეხვედრა, იყო ბევრი შეკითხვა. ცოტა ადრე მყავდა ლეილა გეგუჩაძე და ზურა შენგელია.

**10 ივლისი.** თითქოს ყველა კონტური გამოიკვეთა. ახალციხე-ლებმა დაიჯერეს, რომ ფილიალში მხოლოდ ცოდნა გავა, თუმცა ბევრი მაინც გვისინჯავს კბილს. ვინ არ მოდის, აი, ეს წუთია, დილის 8 სთ-ზე, გავისტუმრე აჭარელი გოგონა ქედის რაიონიდან. დაუსწრებელი მეგონაო. ჩავაბარებ დასწრებულზე, თუ პრატექცია (ასე თქვა!) იქნებაო. სკოლას ამთავრებენ ბავშვები და ცოდნის ნაცვლად „პრატექციას“ ეძებენ. გუშინ სახალხო ფრონტის სამი წარმომადგენელი მოვიდა, ერთი მათ შორის უფროსი იყო. გამოცდებში გვინდა მონაწილეობის მიღებაო. საერთოდ თავხედი ახალგაზრდები იყვნენ. კატეგორიული უარი ვუთხარი, ძალიან გაუკ-

ვირდათ. ყველანაირად ვეცდებით მონაწილეობის მიღებასო. მგონი აქციების მოწყობას აპირებდენ, როგორც ჩანს, სახალხო ფრონტს ფუნქცია ნაკლები აქცია და საქმეს ეძებს. ცოტა ადრე განათლების განყოფილების გამგე იყო – უუუნაძე, მან შტატებში ჩხრეკა მოინდომა, სამსახურში ვის იღებთო. უხეშად გავაჩერე. პრეტენზიული კაცი ჩანს, თანაც უფრო სხვისი სიტყვით მოქმედს ჰგავდა. ეტყობა ცოტა უფრო დიდებმა დაავალეს საქმის გარკვევა. ხალხს, ახალგაზრდობას მოსწონს ჩემი მიმართულება, თუმცა ბოლოს რა იქნება, ძნელი განსაჭვრეტია. თუ ობიექტურობა გავატარეთ სკოლას გამოვასწორებთ.

**16 ივლისი.** (ფილიალში გამოცდების დაწყების წინ მშობლების და აპიტურიენტების წინაშე წარმოთქმული სიტყვა). მეგობრებო, მოგილოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში გამოცდების დაწყებას. თქვენთვის, მომავალო სტუდენტებო, მომზადდა საგამოცდო დარბაზები. ბევრმა თქვენგანმა უკვე იშრომა, თავისი წელილი შეიტანა, რომ კარგად ჩატარებულიყო გამოცდები ფილიალში.

დღეს 16 ივლისს მისაღებ გამოცდებს ფილოლოგის ფაკულტეტზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერით ჩააბარებს 220 აპიტურიენტი, მათ შორის 202 გოგონა და 18 ვაჟი. ტრადიციულად უჭირს ვაჟების მოზიდვა ფილოლოგის ფაკულტეტს. საშუალოდ ერთ ადგილზე 7-ზე მეტი ახალგაზრდა იბრძვის. ჩვენთან დღეს აბარებს 215 ქართველი გამოცდებს, 3 სომები, 1 ოსი და 1 ბერძენი. ყველაზე მეტი – 60 აპიტურიენტი ფილოლოგის ფაკულტეტზე მოვიდა ახალციხიდან, ასპინძიდან – 29, ბორჯომიდან – 14, ადიგენიდან – 27, შუახევიდან – 12, ქარელიდან – 11, ახალქალაქიდან – 9, ხაშურიდან – 6, ქუთაისიდან – 6, თბილისიდან – 6, ქედიდან – 5, ხარაგაულიდან – 5, რუსთავიდან – 4, ქობულეთიდან – 3, გორიდან, თერჯოლიდან, ზესტაფონიდან, ბათუმიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან. როგორც ხედავთ, მთლად საქართველო მოსულა გამოცდების ჩასაბარებლად მესხეთში.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისია მაღალი პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ობიექტურად ჩატარდეს გამოცდა. მინდა გაუსვა ხაზი შემდეგ გარემოებას: მიმღები კომისია განსაკუთრებულად მკაცრი იქნება სიყალბის მიმართ. არავის ეპატიება

შპარგალების ხმარება. ვინც ეცდება შპარგალების გამოყენებას, მოიხსნება გამოცდებიდან, გაუფორმდება ორიანი და გამოეთიშება გამოცდებს. არა აქვს მნიშვნელობა, აღმოჩენილი შპარგალეა უშუალოდ თემას ეხება თუ – არა. ასეთ აბიტურიენტს გამოვაცხადებთ რადიოთი, სხვამ რომ აღარ გამოეოროს მსგავსი რამ. მშობლებს, ახლობლებს ვთხოვთ სიმშვიდეს, სიწყნარეს. ეცადეთ, რომ თქვენმა შვილებმა ნორმალურ პირობებში გამოავლინონ თავიანთი ცოდნა. წარმატებას გისურვებთ!

**25 აგვისტო.** ყველა ყალყზე დგას, არავის სიკეთე არ უნდა. პროფესიები არაფერს თმობენ, მშენებლები აფერისტობენ. ამას წინათ კარები შევანგრიე აუდიტორისა. მოვშალე ჭირის ბუდე – ტუალეტები. არეულია ყველაფერი, სწავლა შეიძლება, 17-ში დავიწყო.

**1 სექტემბერი.** ახალციხელებს უყვართ წერილების წერა მაღალ ინსტანციებში. განათლების სამინისტროში დამაბეზღეს, თითქოს არავინ ამყავს პროფესიან თანამშრომლად. იძულებული ვიყავი დღეს, გამეგზავნა საპასუხო წერილი მინისტრის მოადგილისათვის.

„ღრმა პატივცემულობატონო კახა,

ჩვენი იმდღევანდელი საუბრიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ ზოგიერთი ოფიციალური პირის განცხადება სრულად მოკლებულია საფუძველს. დღეს უნივერსიტეტის ფილიალს ჰყავს თანამშრომლად პროფესიული 14 ყოფილი მუშაკი. თუ დარჯები ავიყვანე სხვები, ეს იმის გამო, რომ ყოფილმა ყარაულებმა ვერ გაართვეს თავი.

ამასთან ერთად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფილიალის ფუნქციონირება დგას საშიშროების წინაშე. როგორც ახალი პროფსასწავლებლის ახალი მომართვიდან ჩანს (როგორც ირკვევა, ეს მიმართვა სამინისტროში გარკვეული ზენოლის შედეგად დაიწერა). ფილიალს არ ექნება არც ერთი ადგილი სტუდენტთა საცხოვრებლად. ჩვენი ფილიალის სტუდენტთა დიდ პროცენტს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან მოსული სტუდენტობა წარმოადგენს, თუ ჩვენ ისინი ვერ უზრუნველყოფა საცხოვრებლით, გამორიცხულია სასწავლო პროცესი.

პროფტექსასწავლებელი გამუდმებით იმიზეზებს აუდიტორიების ნაკლებობას, ასეთ შემთხვევაში მე შემიძლია, შევთავაზო მათ სასწავლო ოთახების გარკვეული რაოდენობა.

ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია ფილიალის სასწავლო კორპუსის იჯარით აღება, რადგან ჩვენ ამ შენობის რემონტზე ვხარჯავთ საკმაოდ სოლიდურ თანხას და როგორც თქვენთვის ცნობილია, ასევე დიდი ფული გვექნება გადასახდელი მის მოპირკეთებასა, ეზოს მოწყობასა და ინტერიერის რემონტზე. გამოდის, რომ სხვისი სახლი გვიკეთებია და უაზრო ნაბიჯი გადაგვიდგამს, რისთვისაც დამატებით გადასახადი უნდა ვიხადოთ კიდევ.

ჯერჯერობით მოუგვარებელია მასწავლებელთა სახლის პრობლემაც.

ფილიალი ვერ მოახერხებს (მისგან აბსოლიტურად დამოუკიდებელ მიზეზების გამო) სწავლის დაწყებას 3 სექტემბერს. მოსალოდნელია შემდგომი პროცესის ჩამდაც, რისთვისაც მე პირადად და ფილიალის დღევანდელი კოლექტივი ვიხსნით პასუხისმგებლობას.

მოკლედ, თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს შემდეგ კონკრეტულ საკითხებში: უნდა გადაეცეს ფილიალს ბალანსიდან ბალანსზე სასწავლო კორპუსი, სულ ცოტა საცხოვრებელი კორპუსის ერთი სართული მაინც, ბენზინის ბაკები და დამხმარე ნაგებობანი.

ყურადღებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას“.

დღესვე (1 სექტემბერის) გავუგზავნე წერილი პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანს თემურ მოსიაშვილს. მართალია, დიდი რყევებია პარტიაში, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს:

ღრმად პატივცემულო ბატონო თემურ, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ახალციხის ფილიალის გახსნა სამხრეთ საქართველოს შუაგულში – ახალციხეში რესპუბლიკის მომავლისაკენ, მისი კეთილდღეობისაკენ გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯია. ეს საქმე მსხვერპლს მოითხოვს, ადვილად არაფერი კეთდება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი თანადგომა, მთლიანად გულიანია და მამულიშვილური. ვიცი, რომ მთელი შეგნებით ეკიდებით ჩვენთვის დახმარების საქმეს, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ დაწყებული ბოლომდე არ მივიდა.

სამწუხაროდ, შემიძლია, გაცნობოთ, რომ, როგორც დაგეგმილი იყო, 3 სექტემბერს ვერ ვიწყებთ სასწავლო პროცესს. დამნაშავის და მიზეზის ძებნას აზრი არა არქვს ამ ეტაპზე. დღეს მთავარია 17-ში მაინც მოხერხდეს ფილიალში სტუდენტების მიღება.

საამისოდ საჭიროა დარჩენილი ორი კვირის განმავლობაში თავაუღებელი მუშაობა, თქვენი აქტიური მხარდაჭერა, ზოგიერთი მშენებლის ბუტიაობისა და უსაფუძვლო პრეტენზიების მოშლა. მე ვიცი, რომ ეს საქმე ჩემი გასაკეთებელია, ვიცი, რომ ყველაფერი, რაც ფილიალს ეხება, თავად მან უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ დღეისათვიოს, რამდენადაც ახალციხის ტერიტორიაზე ჩამოვყალიბდით, რაიონის ოფიციალური ხელმძღვანელობის აქტიურობის გარეშე გვიჭირს.

დღეს ეჭვიც მიჩნდება, ხომ არ იყო თავს მოხვეული ახალციხისათვის ამხელა სასწავლებელი, ხომ არ არის მოუმზადებელი რაიონი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის საერთოდ?! თუ თქვენც ასე ფიქრობთ, გთხოვთ დასაბუთებას...

თუ თქვენ თანახმა ხართ და გსურთ ნამდვილად, რომ ფუნქციონირებდეს მესხეთში ახალციხის ფილიალი, 17 სექტემბერს უნდა დავიწყოთ სასწავლო პროცესი.

მუშახელის, სტუდენტობის მხარში დგომის იმედი მაქვს და იქნებ ისინიც გამოვიყენოთ დარჩენილი დროის განმავლობაში.

დახმარებისა და თანადგომისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

**3 სექტემბერი** (სტუდენტებთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვა). დღეს 3 სექტემბერია, უნდა დაწყებულიყო სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში. ვერ დაიწყო. მიზეზების ძებნას აზრი არა აქვს, რადგან პასუხი საამისოდ ყველას ერთი ექნება: არეულია ქვეყანა, არაფერი თავის წესსა და რიგზე არ არის, ამიტომ არა გვაქვს ცემენტი, არა გვაქვს ბლოკი, აგური, და ა.შ. სინამდვილეში არა გვაქვს პასუხისმგებლობის ელემენტარული გრძნობა, არ გვიყვარს სამშობლო, მშობლები, საქმე, არ გვინდა, რომ იყოს წესრიგი გარშემო. არავის მცირე მსხვერპლის გაღება მაინც არ სურს.

**რა გვინდა?**

სუფრაზე და ყანწით ხელში ყველანი ძლიერები ვართ, ამიტომ როგორც სუფრის ხალხს, ჭამპურებს სჩვევიათ, გვინდა მხოლოდ

კუჭისმიერი სიმაძლრე და მეტი არაფერი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გვინდა დაქცევა ქვეყნისა, გვინდა მოყვასის მოსპობა და მტრის მომრავლება-მომძლავრება, რადგან მოყვასი პირში გვეუბნება ჩვენს ავს, მოყვასი არ იქრთამება, ამიტომ ხელს გვაძლევს მოყვასის სიკვდილი, სიკეთის მოსპობა. სამწუხაროა, მაგრამ ასეა!

რა ვენათ?

შევიყვაროთ მოყვასი ჩვენი, ვიზრუნოთ სიკეთის ქმნაზე, შევუნდოთ მონინააღმდეგებს, შევუნდოთ სულით წამხდართ. დღეიდან ფილიალს თავისი სტუდენტობა ჰყავს. დასაწყისი ყოველთვის ძნელია. თუ ჩვენ – პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა ვიქენებით ერთად, ყველაფერი გაადვილდება. გაადვილდება სწავლა და ცხოვრება. მოგაგონებთ ჩვენი დიდი მასწავლებლის დავით გურამიშვილის სიტყვებს: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ – ტკბილი...“ ერთად ვიქენებით იმაში, რომ არ გვექნება საცხოვრებელი, როგორც საჭიროა, არ გვექნება კომფორტი, მაგრამ გვექნება გული, ენერგია და რწმენა, რწმენა იმისა, რომ გავიმარჯვებთ, მივალთ ბოლომდე. თქვენმა თაობამ, თაობამ ფილიალში მოსული ახალგაზრდებისამ, უნდა იხსნას მამული. მამულში მოიაზრება არა მარტო მესხეთი, არამედ მთლად საქართველო. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ყველას, რომ შეიძლება დაიწყო არაფრისგან და შექმნა უდიდესი რამ, რასაც დაეყრდნობა შთამომავლობა. ჩვენ ერთად ყოფნით გავიმარჯვებთ. ერთად ყოფნა ძმაბიჭობასა და უაზრო ფამილიარულობას არ ნიშნავს. გვექნება განსაზღრული ურთიერთდამოკიდებულება, გვეცოდინება ვინ ვინ არის. არ ვაპატიებთ ერთმანეთს იმას, რაც ღუპავს საქართველოს. პირველ რიგში – არა კომპეტენტურობას. თქვენმა პედაგოგმა უნდა გასწავლოთ თქვენ თავდადება, მოგცეთ ცოდნა და მიიღოს სამაგიეროც. არავითარი დანდობა სიზარმაცეს, არავითარი დანდობა უცოდინარობას. თქვენ ამისი გამოცდილება გამოცდებიდან უკვე გაქვთ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ასევე გაგრძელდება. დღეს ვერ ვიწყებთ სწავლას, მაგრამ სტუდენტობა ამიერიდან, დღეიდან არ უნდა მოაკლდეს უნივერსიტეტს. დღეისათვის არა გვაქვს იმის საშუალება, რომ ყველა ვისაც ბინა არა აქვს, დავაკმაყოფილოთ საერთო საცხოვრებლით, ამიტომ შორი რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შეუძლიათ, 17 სექტემბრამდე დაუბრუნდნენ მშობ-

ლებს და მიეხმარონ ზამთრის სარჩოს დაბინავებაში. 17 სექტემბრისთვის ჩვენ მათ მიუცემთ საცხოვრებელს. ასპინძის, ახალციხისა და ადგიგენის, აგრეთვე ბორჯომის რაიონებიდან მოწყობილ სტუდენტებს კი ევალებათ დილით 10 სთ-ზე გამოცხადდნენ უნივერსიტეტში. გვექნება შრომითი ორკვირეული. ამ ორი კვირის განმავლობაში, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული გავაკეთებთ. იმედია ისინიც, ვისზეც არის დამოკიდებული დანარჩენი ყველაფერი, ასევე გააკეთებენ თავიანთ საქმეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში ყველას თავისას მოვთხოვთ და მოვთხოვთ სტუდენტურად, პრინციპულად, სიმართლის პოზიციებიდან. შეიძლება ადამიანს აპატიო ღალატი იმში, შეეშინდაო, ოჯახში, მეგობრობაში, ყველაფერში თუკი ქრისტიანული პოზიციებიდან შევხედავთ საქმეს, მაგრამ არავის ეპატიება ღალატი მომავლის აღზრდის საქმეში.

დღეს ჩამოთვლილი რაიონების სტუდენტები ჩვენი შეხვედრის შემდეგ დარჩებიან და მოვილაპარაკებთ მომავალ შრომით საქმიანობაზე. წარმატებას გისურვებთ!

**4 სექტემბერი. შევხვდი ოთარ ლამბაშიძეს, შევთავაზე უნივერსიტეტში მუშაობა. ბატონი ოთარი ჩვენთვის დიდი ძალა იქნება. მე მას დიდ პატივს ვცემ, როგორც არქეოლოგს და როგორც პიროვნებას. მასთან მიმუშავია სტუდენტობის დროს გათხრებზე და კარგად ვიცნობ.**

**11 სექტემბერი.** შევუთვალე ნუგზარ ზაბაძეს და ჩამოვიდა ასპინძიდან. შევთავაზე გაზიეთის რედაქტორობა. გაეხარდა, მითხრა, ყველაფერს გავაკეთებო. ნუგზარმა თუ მოინდომა, არ გაუჭირდება, ასპინძიდან სიარულიც არ არის ძნელი.

**29 სექტემბერი.** რაც მეტს ითხოვს ფილიალი, მეტი პრობლემა ჩნდება. უჭირს ახალციხეურ ფსიქოლოგიას რეალურ ძალასთან, სიახლესთან შეგუება. გაჩნდა იმედი, ვიდრე ახალი საქმეა უნივერსიტეტის გახსნა, რომ რაიონმა დააფინანსოს ერთი საცხოვრებელი კორპუსი მიზნობრივად. ნინააღმდეგობა გამოიკვეთა იქ, სადაც არ ველოდი. მიეწერ ნერილი კიდევ ერთ ორგანიზაციას, რომელიც ტერიტორიის დათმობის ნინააღმდეგია:

„მესხეთის სახელმწიფო თეატრის როლი სამხრეთ საქართველოს ბოლოდროობინდელ ისტორიაში (ვიდრე ყველა „გაპატრიოტდებოდა“ თეატრალუები საქმეს აკეთებდნენ) ყველასათვის ცნობილია.

ასევე ნათელი უნდა იყოს, რომ განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. ამ ორი დაწესებულების (თუ ამ ტრაფარეტულ სიტყვას ვიხმართ) შენარჩუნებისათვის აუცილებელია ელემენტარული ადამიანური პირობები. საამისოდ ქალაქ ახალციხის ხელმძღვანელობამ თეატრისა და ფილიალის ხელმძღვანელობასთან ერთად (მიუხედავად იმისა, რომ დღეს თქვენ უარზე ხართ, თავის დროზე თქვენც საქმის კურსში მთლიანად ბრძანდებოდით) შეარჩიეს ადგილი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად.

კორპუსში ჩასახლდება 10-10 ოჯახი-უნივერსიტეტელებიდან და თეატრალებიდან. ჩვენგან ისინი, ვინც თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან მოდიან ახალციხეში სამუშაოდ და თეატრის მუშაკთაგან ისინი, ვისაც დღევანდლამდე არა აქვთ ბინა. როგორც ხედავთ, ერთი 20 ოჯახიანი ქართული კორპუსი შეემატება ახალციხეს. თქვენთვის ამ ფაქტის კომენტირება ზედმეტად მიმართა.

ბოლო დროს მშენებლობის დაწყება ყოვნდება იმის გამო, რომ თქვენ უწევთ ერთგვარ წინააღმდეგობას ამ საქმეს, რადგან საცხოვრებელი სახლი, რომელიც უნდა აშენდეს, იკავებს თქვენი ტერიტორიის ნაწილს.

გთხოვთ, წერილობით შეგვატყობინოთ თქვენი დამოკიდებულება კორპუსის მშენებლობისადმი (პირადი, რადგან კოლექტივი-სათვის დემაგოგიური გადაბრალება სიტუაციას გააბუნდოვნებს), როგორ დააყენებთ ამ საკითხს განათლების სამინისტროს წინაშე, რომ საზოგადოებისა და შთამომავლობისათვის ნათელი იყოს საქმის ნამდვილი არსი”.

**1 ოქტომბერი. მოსაგვარებელია:**

**1 ტრანსპორტი:**

(საქალაქო ავტობუსი),

სატვირთო ავტომიანქანა

მიკრო ავტობუსი თბილისიდან პედაგოგთა ჩამოსაყვანად

**2 ინვენტარი:**

დაფები (20 დიდი, 20 პატარა)

**28 კათედრა**

ნორმალური მერხები

სკამები

სკამები სააქტო დარბაზისათვის

კომპიუტერები

ელექტრო ხელსაწყოები

მაგნიტოფონები

ლინგაფონის კაბინეტი

**3 სასწავლო პროცესი.**

რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება დავამატოთ  
სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტი;

მათემატიკის ფაკულტეტი;

ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ერთი რომელიმე ფაკულ-  
ტეტი მთლიანად;

სამხატვრო აკადემიიდან სარესტრავრაციო ფაკულტეტი.

**3 ოქტომბერი.** წამოსაღებია წიგნები თამაზ ბიბილურისაგან და  
სოლომონ ხუციშვილისგან. ასევე დასაკავშირებელია წიგნებზე  
გასტონ ბუაჩიძესთან, გიორგი ტყეშელაშვილთან და მანანა თურ-  
ქიასთან.

**13 ოქტომბერი.** ზამთარი გვიახლოვდება. ბევრი რამ არის  
მოსაგვარებელი. საჭიროა ქვეყნის ხელმძღვანელობა ამოგვიდგეს  
მხარში, თორემ ისე გამოდის, თითქოს ყოველგვარი საფუძვლის  
და წინასწარი გაანგარიშების გარეშე შეიქმნა ჩვენი უნივერსი-  
ტეტი. მივწერ წერილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯ-  
დომარეს გივი გუმბერიძეს:

„ბატონო გივი!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ახალციხის ფილიალი, როგორც თქვენთვის ცნობი-  
ლია, ფუნქციონირებს. მკაცრი მისაღები გამოცდების შედეგად  
შევარჩიეთ 160 სტუდენტი. ისინი საქართველოს ყველა კუთხიდან  
არიან, ამასთან 52 პროცენტი ახალქალაქის, ასპინძის და ადიგენის  
რაიონებიდან მოვიდა. ფილიალი უკვე ასრულებს იმ ფუნქციას,  
რისთვისაც იყო მთავრობის მიერ ჩაფიქრებული მისი გახსნა. ჩვენი  
უმაღლესი სასწავლებელი მაღე იქცევა სამხრეთ საქართველოს  
კულტურულ სასწავლო-სამეცნიერო და სპორტულ ცენტრად.  
გვყავს კარგი სტუდენტობა, ვქმნით შესაბამის დონეს, რისთვისაც  
ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი და პროფესორ-მასწავლებელი  
ამოგვიდგა მხარში.

პროფტექნიკუმის ყოფილი შენობის დიდ ნაწილს უკვე ჩაუტარდა რემონტი. ყველაფერს ვაკეთებთ რომ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს.

შევქმენით ფასიანი მოსამზადებელი კურსები. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ფილიალის სტუდენტობას დაემატა 200 აბიტურიენტი.

ჩვენი სტუდენტობა ცხოვრობს დაქირავებულ ბინებში. პროფესორ-მასწავლებლები – სასტუმროში.

იმისთვის, რომ ფილიალმა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია, გთხოვთ თანადგომას შემდეგი პრობლემების მოგვარებაში:

#### **აუცილებელია, ჩაისვას მომავალი წლის გეგმაში:**

1. სასწავლო კორპუსის, სპორტული კომპლექსისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

2. უნდა გამოეყოს ფილიალს ადგილები ასპირანტურაში, რათა გავზარდოთ საუკეთესო კადრები.

ფილიალისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კონტაქტებს.

საჭიროა სტუდენტთა გაგზავნა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

3. გვჭირდება კომპიუტერული ტექნიკა.

4. ფორმირების პროცესს ბევრი სიძნეელე ახლავს, გაჭირდა ურთიერთობა დედაქალაქთან, საჭიროა სატრანსპორტო საშუალებანი.

5. ადმინისტრაციული შტატები, მოგეხსენებათ, დამოკიდებულია კონტიგენტის რაოდენობაზე. ჩვენი ნორმალური ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთავარი ინჟინერი, რომელიც უხელმძღვანელებს მიმდინარე რემონტსა და მშენებლობას, მოადგილები სამეცნიერო და კულტურულ საგანმანათლებლო დარგში, რათა სწორად ნარიმართოს სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ბევრი გართულებული პრობლემის მოგვარებას /ვგულისხმობთ, ეთნიკურ, ეთნოგრაფიული, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის საკითხებს. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები /თურქეთი და სომხეთი/ ინტენსიურად იღწვიან ამ მიმართულებით/.

თქვენი თანადგომისა და გულისხმიერების იმედი გვაქვს, გვჯერა, რომ პირადად ამოგვიდგებით მხარში და გადაგვიწყვეტთ ჩამოთვლილ პრობლემებს, რისთვისაც წინასწარ გიხდით უღრმეს მაღლობას“.

**25 ოქტომბერი.** გავცდით ფლიგელს, ვიკავებთ მთელ კორპუსს. პროფს მე-2 კორპუსიც ყოფნის. სამწუხაროდ ამ ამბავს ყველა გაგებით არ ეკიდება. საჭიროა სპეციალუდიტორიების მოშლა და ფართის უნიფიცირება. თანდათან ყალიბდება ადმინისტრაციისა-თვის და სტუდენტებისათვის საჭირო ადმინისტრაციულ-აუდიტორიული ფართი. ფართის ფანჯრების რაოდენობით გაზომვა: ერთფანჯრიანი, ორფანჯრიანი, სამიანი და ა.შ. ყველაფერი სტუ-დენტთა რაოდენობაზეა დამოკიდებული.

**4 ნოემბერი.** იპოკრატე შევარდნაძე იყო პროფექტიკულმების ხელმძღვანელი, როდესაც ამ შენობას აშენებდნენ. მაშინ (70-იან წლებში) უთქვამს იპოკრატეს, ახალციხელებს უნივერსიტეტის შენობას გიშენებთო. ეს წინასწარმეტყველება თუ კარგად გათვ-ლილი სიტყვა და საქმე კი ასრულდა, მაგრამ შენობა ცხელი ქვეყნებისათვის განკუთვნილი პროექტით არის დაგეგმილი. იმ-დენი ფანჯარა და კარი აქვს, რომ, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება მათ ამოქოლვას. ყოველი მე-2 ფანჯარა გასაუქმებელია. ვნომრავ მთელი კორპუსის აუდიტორიებს. ბევრს უკვირს, პირველი ციფრი სართულის აღმნიშვნელი რომ არის, რა შუაშია 401, 402, .... და ასე შემდეგ, აუდიტორიის ნომრები, დავიწყოთ პირველი სართუ-ლიდან ერთით და ავიდეთ ბოლომდე, – გამაგონა ზოგიერთმა, – ტრაფარეტებიც იაფი დაგვიჯდება. რას იზამ! ეს კულტურაც და ტრადიციაც გადმოსანერგია.

**28 ნოემბერი.** ვწერთ კედლებზე. სტუდენტები გაგებით ეკი-დებიან ყველაფერს: სიცივეს აუდიტორიებში, პასტის გაყინვას, კედლებზე წერას. ყინვაგამძლე ჯიში გამოჰყავს **მერაპ ბერიძესო**, ამბობენ ხუმრობით. ამას წინათ, როდესაც გაზეთის გამოცემის საკითხს განვიხილავდით საბჭოს სხდომაზე, ოთარ ლამბაშიძემ მითხრა: „ბიჭო, მერაბ, ჯერ დაფები მოგვიტანე, რომ კედლებზე არ ვწეროთ და მერე გამოეცი გაზეთი, რა დროს გაზეთია, ხალხი გვეყინება!“ მე შევპირდი ბატონ ოთარს, რომ დაფებსაც მოვიტან-დით და გაზეთიც გამოვიდოდა. ორივე პრინციპულია წელს ორივე უნდა გადაწყდეს.

**7 დეკემბერი.** სასტუმროში ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. დავდივარ ასპინძიდან, ლამეს ვათენებ მამაჩემთან სახლში. იქაც მხოლოდ მამაჩემის ოთახი თბება. ღუმელზე ვაცხელებ აგურს, ვახვევ ნაჭერში ვდებ წინასწარ საწოლში და მერე მეც ვწვები.

გუშინ ცოტა მეტად გაცხელება მომივიდა და კინაღამ გადავიწვით. ცეცხლი წაეკიდა ლოგინს.

ვმუშაობ ცივ, გაყინულ კაბინეტში. პრინციპულად არ ვდგამ ელექტროლუმელს, არ მინდა, შევიქმნა გამორჩეული მდგომარეობა. ლიმონი ისე გაყინა, მაგიდაზე რომ დავარტყყი პინკპონკის ბურთივით ახტა მაღლა. ამ ლიმონს წლევანდელი წლის მოსავონრად შევინახავ. დარწმუნებული ვარ, გვექნება გათბობა.

# იმიტობული პრიზი

## ლიკა ხარჭამაძე -ათენი

დავიბადე 1979 წლის 14 მაისს, აფხაზეთში, სოხუმში. დავამთავრე სამედიცინო უნივერსიტეტი, პროფესიით ვარ ექიმი-სტომატოლოგი. ვცხოვრობ თბილისში, მყავს მეულლე და ორი შვილი.

მერვე თვე სრულდება (დღეებს წუთებზე ვითვლი) ვცხოვრობ საბერძნეთში, ათენში. ვარ ემიგრანტი. მეუღლეც ემიგრაციაშია. ამდენად, ორმაგად მძიმეა ჩემთვის ეს მისია, რომელიც უნდა შევასრულო... ვაცნობიერებ, რამდენად რთულია ბავშვებისთვის მშობლების გარეშე ცხოვრება - ვკვდები ყოველდღიურად!... მათ გარეშე გათენებული თითოეული დღე არის ჯოჯოხეთი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... ცხოვრება უსამართლოა ხშირად, თორემ ასე არ უნდა ხდებოდეს, ასეთი „მსხვერპლის“ გაღება მეტისმეტია!

ვიმედოვნებ, მალე მოეღება ამ ტანჯვას ბოლო და დავბრუნდები იქ, სადაც უნდა ვიყო...

ყოველთვის მტკიცნეულად განვიცდიდი ემიგრაციაში წასულ ქალთა ხვედრს, დღეს თავად აღვმოვჩნდი ამ ცეცხლში...

ასე მგონია, სულ ვწერდი, აქ რასაც ვხედავ. თითქმის ყოველი მეორე წერს. სევდა ანერინებს ადამიანებს, ისევე, როგორც სიყვარული... არ ვიცი, რამდენად ღირებული შეიძლება იყოს სხვისთვის ის, რასაც ბავშვობაში ან ადრეულ ახალგაზრდობაში ვწერდი, მაგრამ ჩემთვის თავისთავად მნიშვნელოვანია... მერე იყო მცდელობა, უფრო სერიოზულად მივდგომოდი ამ ყველაფერს და ახლა ვწერ არა მარტო ჩემთვის, ფურცლებზე, არამედ საჯაროდ.

ჩემი ლექსები პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში და წიგნებში. პერსონალური კრებული ჯერ არ მაქვს, თუმცა მაქვს კარგი შემოთავაზებები, ალბათ გავძედავ და საქართველოში დაბრუნების შემდეგ რეალობად



ვაქცევ მას. სანამ ამ და სხვა ოცნებას ფრთებს შევასხამდე, მანამ-დე მოთმინებით და რუდუნებით ვაკეთებ იმას, რაც მევალება...

ჩემი ყოველი დილა ლოცვით იწყება, შემოქმედს ვთხოვ, ჯანმრთელად მიმყოფოს შვილები და მათ ზნე-ხასიათზე უარყო-ფითად არ აისახოს ეს მოცემულობა..., რომ თითოეულ აქ მყოფ დედას მიეცეს საშუალება, დროულად დაუბრუნდეს თავის ოჯახს, არც ერთ დედას, მშობელს მეტად არ მოუწიოს საკუთარი ოჯახის და სამშობლოს დატოვება...

ღმერთი მოწყალეა, ამიტომ მჯერა, ადრე თუ გვიან გავალთ აუცილებლად ფონს, სადაც უკეთესის დასაწყისია და საიდანაც პა-ტარა შავი წერტილივით გამოჩნდება უკან მოტოვებული ნალვარევი.

## დავიბადე და...

დავიბადე და  
დავაჩნდი მიწას ბალახად,  
ცას კი - ღრუბლების ფთილად...  
დავიბადე და  
გავბერდი იმ წამს,  
გავჭალარავდი და  
მოვკვდი ფრთხილად...  
ო, ისე ნაზი და ისე ჩუმი  
იყო სიკვდილი,  
მეგონა დედამ მაჭამა მიწა -  
შავი და უმი...  
არ მოუკლია დარდი და სევდა!..  
დავიბადე და  
დავაჩნდი მიწას ყვავილად,  
ვიყავი ბევრი... ხან ერთი.  
დავიბადე და  
დავბერდი იმ წამს,  
ხან ქვა ვიყავ და ხანაც - ალერდი.  
შენი მიწურის სარკმელთან ლამის  
უტყვი მთეველი,  
დილის მომყვანი...

ჰო, მე ვიყავი ციალი ნამის,  
შენი მტერიც და შენი მოყვასიც!..  
დავიბადე და  
დავაჩნდი მიწას,  
ცასაც და შენი სულის მღვიმესაც...  
დავიბადე და  
დაბადებიდან ვუძლებ ცხოვრებას  
წყნარსაც, მღვრიესაც...  
დავიბადე და  
მეგონა ამით  
თვით დაბადებას ჩემსას ვბლალავდი.  
ამ წვრილმანებით, გგონია რამით?  
ასე პატარა გავჭალარავდი!..

\*\*\*

ფრთებშეტრუსული ჩემი სიზმრები,  
ჯვარდანერილი ქართულ იფნებთან,  
მე რომ ლექსების ქვეყნიდან მოველ,  
გამოვიყოლე მაშინ იქედან...  
გამოვიყოლე... სულის სალბუნად,  
მეცილებიან სევდას ბარდები...  
რომ უპატრონო პატიმარივით  
ახლა სხვისი ცის ნათელს ვბარდები...  
მე რომ დავტოვე, იმ ქვეყნის ხმები  
აქ, უსაშველო დუმილს მიხრიან...  
და უთავბოლო მოგონებები  
სხვის მიწა-წყალზე საფლავს მითხრიან...  
მე რომ სიმღერის ქვეყნიდან მოველ,  
ის მასულდგმულებს ამქვეყნად ვინ და ...  
ძვალთშესალაგად სხვისი კი არა -  
მე ჩემი მიწის მტკაველი მინდა!..  
მე რომ პატარა ქვეყნიდან მოველ,  
დავბრუნდებოდე მალე იქნებ და...  
ფრთებშეტრუსული ჩემი სიზმრები  
რომ ვაქორწინო ქართულ იფნებთან!..

\*\*\*

წავშლი წაკვალევს,  
ნაფეხურებს მოვბან ცოდვილ გზებს  
ყოფის ტკივილებს  
სანთლებივით დავუნთებ დილას.  
სულის სახსნელად სხივებს მოვწყვეტ  
აგვისტოს მწველ მზეს  
და სადმე მთებში,  
ჭიუხებში  
დავიდებ ბინას!..  
ვიღოცებ!..  
ალბათ ლოცვის ძალას  
მომცემს უფალი.  
განვიპანები საკუთარი ცრემლების თქეშში,  
რომ მერე ყველა სიტყვა, ფიქრი, წყენა, უარი...  
სიკვდილმისჯილი პოეტივით  
დასრულდეს ჩემში...

\*\*\*

ნახანძრალ სახლ-კარს ჰევანან თვალები,  
სადაც, ოდესლაც, ბავშვმა იარე...  
იწყები მაგრამ იქვე მთავრდები  
ჩემამდე მოსვლაც დააგვიანე!  
შემორჩი გზა-გზა მყეფარე ნისლებს  
ცაც (მიწასავით) გეხურა მუქი...  
გესვროდა ბედი შხამიან ისრებს  
გყვარობდა მაშინ, ტიროდი თუკი...  
პარადოქსია განგების ნება,  
(სურნელი დღესაც აგდის ვანილის...)  
წახვედი, მაგრამ დატოვე ვნება,  
რომელსაც დღემდე ვიხდი ვალივით...

## ემიგრაცის ფიქრები...

წახვედი. ახლა იხსენებ, მიჯრით  
შენი ცის თაღზე, ლრუბელთ არშიებს.  
ვერ იტყვი გილხინს, ვერც იმას - გიჭირს  
უბრალოდ ფიქრი მწარედ გაშიებს...  
მინა რომ ტკეპნე, წელგამართულმა,  
მინა, მუჭით რომ თან ვერ წაიღე  
და გიკვირს, ასე რამ გაართულა  
ყოფა, ან მსხვერპლი როგორ გაიღე?!  
როგორ შეძელი დატოვე უკან  
შენი ცხოვრების მთელი ნაწილი,  
არა, არ გტკეივა, უბრალოდ სწუხხარ,  
რომ დაგრჩა ხელი სხვისკენ გაწვდილი.  
რომ ჩასაჭიდი ვეღარ მოძებნე  
და რომ დაგიდგა არავინ კედლად,  
რომ უსაშველო დარდი მოძერნე  
სხვისი თიხისგან, დაღლილმა, კენტად...  
არა, არ კვდები, უბრალოდ გტკეივა  
(თავს მხოლოდ ასე თუ გადაირჩენ),  
რომ არ იყავი ლოდი და რკინა,  
რომ ვერც ძველ ტკივილს ვერ გადაიჩვევ...  
ნუ გეშინია, არვინ მიგიღებს  
შვილად, სხვის შვილს და, თანაც გამოზრდილს,  
სანამ ცრემლიან ლუკას მიიღებ,  
სანამ უდედოდ ყოფნას გამოცდი  
იქნები... მერე თვალებში ჭები  
რომ დაიწყებენ ამოლამებას,  
შენი სამშობლოს მიწით მუჭები  
ამოივსე და ამოლაგება  
დაიწყე დარდის, ნელა და მშვიდად  
(ესეც ხომ უნდა შეძლო როგორმე?!.)  
ტკივილი, რაც კი ჭკუიდან გშლიდა  
გამოიყოლო უნდა ბოლომდე!  
წახვედი ახლა, იხსენებ, მიჯრით  
თუ როგორ დგანან სამშობლოს მთები...

ვერ ამბობ, გტკივა, ვერ ამბობ - გიჭირს,  
ვერც იმას ამბობ, თუ როგორ კვდები...  
დაგლლის უდროოდ წარსულზე სევდა,  
ვეღარ გინამლებს ვერვინ იარებს,  
ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა,  
ალბათ, მოსვლას შენც, დააგვიანებ?!

### შურიგე...

ოქროს ფასი დასდებია იმ სიყვარულს  
გადამთიელს, ფეშქაშად რომ ურიგე...  
რომ ისურვო, ვერ გაიგეპ, ვერც სინანულს  
ლოდინისგან დალლილ გზებზე,  
შურიგე...

არც მზე მზეობს,  
არც დამეს აქვს რამე ხიბლი  
ყელში, ფხასებრ გამჩხერია უმი დღე...  
გადამკვრია ორთავ თვალზე ვერცხლის ლიბრი  
მეც ოდესლაც გილალატე, შურიგე!..

თუმც, ყოველთვის საფიცარი იყავ ჩემი  
ვერრა ვქენი... ვერ დაგიცავ მალულ...  
ეს ცვარ-ნამი მადლია თუ წვიმის ჩქერი  
მისხალ-მისხალ შეფენილი მამულს?

საითკენაც გავიხედე - დაზაფრული  
იმედების ხორხოშელა ნაშალია  
არსად არ სჩანს, მერამდენე გაზაფხული  
პოეტების ნებირა, მაფშალია...

გაფრენილა, დამალულა ამ ცის იქით  
(ალბათ არ სურს გტკიოდეს და ურვიდე?..)  
თუმცა გული დარჩა შენთან ციცქანა ფიქრით  
უშენობას ვერ აუდის, შურიგე...

დილაა თუ ფერი დილის - ღამე-რაში  
გილრნის გულ-ლვიძლს მოშურეთა შურვილი  
ტბა-ზღვა ღელე-მდინარეთა ქვეყანაში  
რად გაჭირდა, რომ მოვიკლა წყურვილი?!

მხოლოდ ლექსებს შერჩენია საშენფერო  
სიყვარულის ალმური და შხუილი,  
ამ მთების და ველ-მინდვრების საშემფერო  
არვინ არ სჩანს!.. სხვა ქვეყნის სჭირთ სურვილი!.

უგულობა სხვათა... სხვათა...  
სიქას მაცლის  
ყელში ფხასებრ მეჩხირება უმი დღე...  
ჩემი სუნთქვა, ჩემი გული - ტოლი მარცვლის -  
ჰა, ფეშქაშალ, სულისცალო, შურიგე!

## გვიპირა ავაზეთო!..

სხივჩამქრალ თვალების მზეს ვფიცავ  
ლიმილშეყინულ ბაგეთა სინაზეს...  
ბავშვობანართმეულ ყრმობას ვფიცავ  
გინატრე!..

მლაშე ნიუარებში აკვნესდება ოდეს "ურაიდა"  
დასეტყვილ ზვრებში მზეს ამოვიყვან...  
მისხალ-მისხალ აგკინძავ, შეგაგროვებ  
დარდიდან ამოგიყვან!

იცინონ სხვებმა... სანამ დროა, დაე, იხარონ  
სისხლარშერჩენილ გულზე იკრან დაე, მჯილები  
რა დღეს, რა ხვალე ავენთები ავგიზგიზდები,  
თუნდაც რომ, გულზე დამაცალონ  
სავსე მჭიდები!

მე ველარავინ შემაშინებს გზების სიმრუდით,  
გზები დამრეცი გამივლია ჯერ კიდევ მაშინ  
პირზე დედის რძის ამდიოდა როცა სურნელი  
წვიმაში!  
ქარში!..

ველარც შიმშილი შემაფერხებს,  
გემო მაქვს რადგან  
დღესაც კვირეებგამოვლილი ობიან მჭადის...  
რადგან, რაც ჩემს ძმას აკლდებოდა დასანაყრებლად  
მე ალარ ვჭამდი!

ველარც ცრემლები დამიფრთხობენ უძინარ თვალებს  
მე დედაჩემი დავიტირე, ოდესლაც ბავშვმა!..  
მე საკუთარი უბედობაც გამოვიგლოვე  
და ცრემლი გაშრა!

დედის გაცრეცილ სურათს ვფიცავ  
მამაჩემის ხმას - ბოხსა და მაღალს,  
ნუ გეგონება მე მარტო ვიყო  
მთელი თაობის ნაგრამი მახლავს!..

ყველანი აქ ვართ ბევრნი ვართ და ჩვენ  
სიყვარული გვჭირს სიძულვილის წილ...  
ჩვენ ვიზამთ იმდენს, ვერ შეძლო რაც სხვამ  
ჩვენ გავაკეთებთ ჩვენს და სხვების წილს!..

ბავშვობას ვფიცავ, სხვამ რომ წამართვა...  
შენს სურნელს ვფიცავ, მუჭით რომ დამაქვს...  
ჩვენ გავიზარდეთ მოგონებებით  
და მონატრება შენს გარდა არ გვაქვს!

მშიბზია აფხაზეთო!  
გამარჯობა!..  
მშიბზია შავო ამშინ!..

გულზე ვგრძნობ ტალღების მოქცევას  
- შიშია?!

— მოგიკვდე მაშინ!

სიკვდილს არ ვაპირებ, სანამ ვიცი  
შენს მიწას გულზე არ დამაყრიან.  
მესვრიან!.. ჰო, ბევრჯერ გამწირავენ  
სიტყვებს ტყვიერით დამახლიან!...

მაგრამ არ მოგკვდები! გეფიცები...  
ბავშვობანართმეულ სიყრმეს ვფიცავ!  
მე სიყვარული დამიფარავს  
სიმართლე მიცავს!..

ახლა იმედი ბოლოშიც არ კვდება...  
მე მოვალ აფხაზეთო,  
გეტყვი: -სალამ...  
შენს მიწას ვფიცავ, შემაგებებ  
- ასალამ!..

\*\*\*

სიცარიელეს ვუსინჯავ გემოს  
ყელს მძივის ნაცვლად მიმშვენებს მკედი...  
სადაც ისვრიან, არასდროს არ ვარ,  
თუმცა ტყვიერით, სავსე მაქვს მკერდი...  
პირთამდე სავსე დავალ იმედით,  
როცა იქნება, გავალ ნალვარეცს...  
სადაც ყვირიან, არასდროს არ ვარ,  
მაგრამ ჩურჩულით, მაინც დამღალეს...  
ყველა კუზიანს თავისი ცა აქვს,  
თავისი გზა აქვს ყველა მკელობელს...  
სადაც ომია, არასდროს არ ვარ,  
თუმც მოვსწრებივარ სასტიკ მკვლელობებს...  
მზეს სწვდება ხშირად სიცილის ექო  
ხელებს ღრუბლამდე სწევენ - ინიანს,

სადაც ლალობენ, არასდროს არ ვარ,  
ყოველთვის იქ ვარ, სადაც ტირიან...  
ცარიელ ტაბლას ვუზივარ მარტო  
(მგონია ახლა მოვუსმენ ბონოს...)  
სადაც მელიან, არასდროს არ ვარ,  
რადგან ყოველთვის მივდივარ, ბოლოს...

\*\*\*

ვერცხლის ელვები რაკუნობენ  
და აპათიებს  
ნაბადებივით იხდიან გარეთ...  
ვიცი, არავინ არ გვაპატიებს,  
რაც გავეცით ან რაც გულში ვმალეთ.  
უძინარ ფოთლებს ახვეტავს ქარი  
(ალიგვებიან ცისკენ მიწიდან...)  
და აღმოჩნდება სიცრუე მტკნარი,  
რომ იბადება კაცი ნიჭიდან!..  
წვიმებს მივუგდებ გაცრეცილ რვეულს,  
სად იმედები ატყვია თარჯად  
და ხვალინდელ დღეს, ისევ რისხვეულს  
დაველოდები, ვით მორიგ ტანჯვას.  
ლამე შეავსებს ცარიელ კათხას  
ოდნავ მსუბუქად, ოდნავ მეტებით  
და მთვარის შუქზე უსულო ლართხა  
შეიმოსება ორნამენტებით...  
სადაც, მისტიკურ დღეების კვდომა  
იჭარბებს, რადგან, ესეც ხვედრია  
მე მამხელს ალბათ ჩემივე კრთომა,  
ჩემივ ფიქრები, ცას რომ ვედრიან...  
მერე... ელვები შეწყვეტენ რაკუნს  
სახლშიც სიჩუმე გაწვება თალზი,  
ტაბლაზე გავშლი საღამო საკურთხს,  
რომ უმასპინძლოდ არ დარჩეს სახლი!

\*\*\*

განა ვინმესთვის დამითვლია ოდესმე წყენა  
ან მტრობა გულში ჩამიდია...  
არამც და არამც!  
მე მხრებზე მედო, სიყვარული ყველას სამყოფი  
ვიარე, ვზიდე (ბორძიკითაც, ზოგჯერ რატომლაც)  
მაგრამ შევძელი გავიარე გზები მარტომაც!..  
ბევრჯერ სიშორე, მავთულივით მიჭერდა ყელზე,  
ბევრჯერ ვიშორე... (მაგრამ ბევრჯერ ვერ მოვიშორე...)  
დარდის ხაფანგებს წამოვედე ზოგან ანაზღად  
დავეცი, მაგრამ წამოვდექი ისევ ლამაზად!..  
პასუხს არ გაგცემ (მითუმეტეს რა მაქვს სარჩევი?!)  
არც არასოდეს აღარ გაგცემ! ზნე მაქვს ასეთი  
თუ კი გიმოყვრე, ეს ნიშნავს რომ ალბათ გენდობი!  
თუკი შესცოდე, მოგიტევებ, როგორც შემდობი!..  
მაგრამ, ვაითუ, ლალატი გაქვს გულში ჩარგული  
და გააციე ნდობა სულის თონეს ჩაკრული!?.  
არ შევეცდები შენს "მოსყიდვას", რაც უნდა მოხდეს,  
რადგან ვიცი რომ, ერთხელ ლალატის, მეორეც მოსდევს!..

\*\*\*

ჰაერს დავეძებ  
რომ არ მყოფნის  
და საკუთარ ტყავს ვლრღნი მშიერ ძალლივით.  
გამოვიპარე ძველი ყოფიდან,  
როგორც შევძელი - წვალებ-ჯახირით...  
სად წავედი და ან სად მივდივარ  
როდისლა გავცდი ილბალს საკუთარს?!  
მშრალ მოგონებებს ძველი მინდვრიდან  
უგემურ იმედს ვაწვდი საკურთხად...  
ყველა დაცემის გემო მომყვება -  
ხან მწარე, ხანაც მლაშე ძალიან...  
გაუთავებელ დარდთან მოყვრება  
მტკივა და მეწვის გულ-ღვიძლ-ძარღვიან...  
მოთმენისათვის მწარედ გაშოლტილს

იარა მუკურნავს - საკუთარ ტყავის,  
ვერავინ მომკრა თვალი დაჩოქილს  
ვიცინი, როცა შიგნიდან ვბლავი!  
ჰაერს დავეძებ ...  
სადღაც, როგორმე  
ფილტვში ჟანგბადის მქონდეს მარაგი.  
ასეა, მყავს და ვყავარ ობოლ მეს  
უკუნისიდან ან და მარადის!..

\*\*\*

ნუ მომიკვდები!..  
ისედაც, სადღაც ზღვარზე ვარ  
ხრამის და შორიახლო დაყიალობს  
ბრმა აპათია.  
ნუ მომიკვდები!..  
მინდა, ისევ მჯეროდეს ხვალის,  
მინდა, ვაჯობო ცოდვებს -  
დრომ რომ არ მაპატია!..  
ნუ მომიკვდები!..  
სულ მარტო ვარ, იცი ისედაც ,  
ისედაც ვგლოვობ და ისედაც გაძლება მიჭირს...  
ნუ მომიკვდები!..  
ნუ მომასწრებ, ღმერთო, იმ დღესაც  
გული ვერ გრძნობდეს ჭრიჭინების საამო ჭრიჭინს!..  
ნუ მომიკვდები!..  
მიხაროდეს მინდა მაისი,  
ფიქრებს ვუმხელდე გარიურაჟზე იებს ნამცვარევს ...  
ნუ მომიკვდები!..  
ნუ დადგება სულში დაისი,  
ისედაც იცი, დამივიწყეს, დამთმეს, გამცვალეს!..  
ნუ მომიკვდები!..  
ზეცისფერო, სამყაროს ტოლო,  
რაც უნდა მოხდეს, რა გზა-სავალს მოვედ-მივედო,  
ნუ მომიკვდები!..  
შენ ერთი ხარ, და ისიც ბოლო,  
ჩემო იმედო!..

\*\*\*

გამოვიზამთრებ როგორმე ალბათ  
და ამ ზამთარსაც მუქში ჩავიფშვნი.  
გამომყვებიან ფიქრები დამღად  
უშენობასაც ვერვინ დამიშლის!..  
მერე, მარტისკენ ჩვილი ბავშვივით  
ამოვაყოლებ გულს უხმო ქვითინს  
გადავეშვები წლების ვალში ვით  
ლვარცოფი ხრამში ...  
და როგორც ქვითვირს,  
ჩემს გაკერპებულ თვალებს ცრემლები  
ვერ დააკლებენ ვერაფერს მაშინ,  
თუ ამ ძალლივით უმადურ ყოფას  
მოხდა და, არც მე დავურჩი ვალში!..

# ინტერვიუ

## მარინა ზედელაშვილი

– თქვენი მშობლიური მხარე კახეთია – მშვენიერი და მესხეთიდან საკმაოდ დაშორებული. მესხეთის ისეთი პატრიოტისგან, როგორიც თქვენ ხართ, წარმოუდგენელია, რომ ძირძველი მესხი ქალბატონი არ ბრძანდებით. გვიამბეთ, კახეთიდან მესხეთამდე რა გზამ მოგიყვანათ.

– მადლობა ასეთი თბილი სიტყუბებისთვის. ეს გზა იყო დიდი და საინტერესოც. უამრავი რამ დაიტია – ბავშვობა, სტუდენტობა, ახალგაზრდობის რომანტიკული ხანა... თუმცა, ვიტყვი მოკლედ და მარტივად – სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში დავიბადე. არაჩვეულებრივი ადამიანების შვილი ვარ. დედა მთიული იყო, ბექაურის ქალი, რომანტიკოსი, პოეზიაზე და ლიტერატურაზე უსაზღვროდ შეყვარებული; მამა – უბრალო, გულჩათხრობილი და გულუბრყვილო კაცი, რომელიც ხშირად ამიტირებია, ოსეარ უაილდის ზღაპრებს როდესაც ვუკითხავდი. სჯეროდა, წიგნის გმირები რომ ნამდვილად არსებობდნენ და გადაწყვეტილიც კი ჰქონდა ზოგიერთის მონახულება. თუ როგორ, ამას მე მიმსელდა მხოლოდ... ბევრი მოგონება მაკავშირებს მათთან და ეს მოგონებები საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში.

– გქონდათ თუ არა თქვენი მშობლიური კუთხის ნოსტალგია, იმ კუთხისა, რომელიც თქვენს ბავშვობას უკავშირდება. როგორ იხსენებთ ბავშვობას, საერთოდ, როდის უფრო გქონდათ ნოსტალგია, მაშინ თუ დღეს?

– მშობლიური ადგილების სიყვარული, მე ვფიქრობ, ადამიანს ნიუარასავით თან დაჲყვება ყველგან, ყოველთვის... ასეა ჩემთვისაც. დაუვინყარია კავკასიონით შემოსაზღვრული, მთვარით განათებული ალაზნის ველი... (ჩვენი სოფელი ცივგომბორს ქედზეა შეფენილი და აქედან ხელის გულზე ჩანს ალაზნის ველი), გავყუ-



რებდი ამ არაჩვეულებრივ სანახაობას და მიყვებოდი ოცნების-ტოლ ფიქრებს... ეს ხილული მოგონებები სამუდამოდ შემორჩა ჩემს მესხიერებას.

როდის უფრო მქონდა ნოსტალგია? მე ბავშვობაშივე მომიხდა მშობლიური ადგილის დატოვება. ჩვენს სოფელში მხოლოდ რვა-წლიანი სკოლა იყო. დედას უნდოდა, კარგი განათლება მიგველო, ძალიან მოინადინა (უდიდესი გაჭირვების უამს... ომისშემდგომი ათწლეული...) და მე და ჩემი ძმა თბილისში ჩამოგვიყვანა სასწავლებლად. ბავშვობასთან დაკავშირებული ძვირფასი ადგილების, მამისეული სახლის მონატრება არასდროს მტოვებს და მუდმივად დამყვება, სადაც უნდა ვიყო.

– **თქვენი ცხოვრების ძირითადი ნაწილი გაატარეთ ახალციხეში. იცნობთ ძალიან კარგად რეგიონსაც. რას იტყვით ახალციხის, სამცხე-ჯავახეთის შესახებ, რა მოგცათ ამ მხარემ და რით არის ყველაზე მეტად მისაღები ან მიულებელი?**

– მართლაც, ჩემი ცხოვრების უდიდესი დრო სამხრეთ საქართველოში განვვლე და კიდევ გაგრძელდება სიცოცხლე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, აქ ვავატარებ. ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი, ჩემს უძვირფასეს და უსაყვარლეს ნავსაყუდელად იქცა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მეგობრებთან ერთად, ვმოგზაურობდი ამ მხარეში ხუროთმოძღვრული ძეგლების მოსანახულებლად; დიდ დროს ვუთმობდი აბასთუმნის ასტრონოზიკურ ობსერვატორიაში სასწავლო პრაქტიკას. მე ხომ ასტრონომი ვარ ჩემი პირველი სპეციალობით... ასე რომ, ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან, ვიდრე საცხოვრებელს დავიმკვიდრებდი, შევიყვარე მესხეთი.

მეკითხებით – რა მოგცათო ამ მხარემ. დაუფიქრებლად გეტყვით – ადამიანების სიყვარული! მთელი ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობა, თანაც, ძალიან საპასუხისმგებლო ამბლუაში – რედაქტორი გახლდით სხვადასხვა გაზეთის, აქ მიედინება; შევხვდი უამრავ არაჩვეულებრივ ადამიანს. იყო დრო, როდესაც გაზეთი (ვგულისხმობ გაზეთ „სამცხე-ჯავახეთს“) კიდით კიდემდე მოიცავდა საქართველოს უდიდესი რეგიონის ამბებს, საინტერესო მოვლენებს, საინტერესო შეხვედრებს... ესაა ჩემი ცხოვრება – მოვლენებში ტრიალი, ამბის მიტანა მკითხველამდე... და ეს ყველაფერი ხდება აქ, მხარეში, რომელიც მშობლიური გახდა ჩემთვის. ჩემს საქმიანობას რეფრენივით მუდმივად თან დაჰყვება

შეგრძნება, რომ ვიმყოფები საქართველოს დიდებულ კუთხეში, საამაყო კუთხეში...

– ოჯახი, თქვენი ოჯახი ტრადიციული რაბათული ოჯახია... თავისი დღევანდელი პრობლემებით. რას იტყვით თქვენს პირად ცხოვრებაზე, შვილზე, შვილიშვილზე...

– ჩემს პირად ცხოვრებას ასე დავახასიათებ. დიდი დრო გავა-ტარე უნივერსიტეტში, 12 წელი. პირველი ექვსი წელი ასტრონო-მიის შესწავლას მოვახმარე, ხოლო მეორე – უურნალისტიკის. მხოლოდ სწავლაზე ვფიქრობდი ასე ხანგრძლივად და ... გამომრჩა დრო, როდესაც ოჯაზზე უნდა მეფიქრა. უკან რომ მოვიხედე, მივხვდი, რომ დამაგვიანდა... ბუნებით იმ ადამიანთაგანი ვარ, ვისაც უყვარს და სიამოვნებს სხვაზე მზრუნველობა. და რაც ძალიან განმსაზღვრელი იყო ჩემთვის, შვილების გარეშე ვერ წარმომედგინა, როგორ ვიცხოვრებდი შემდეგ... და აი, მოვიდა ერთი ადამიანი და მითხრა – „წავიდეთ ჩემო, ჯერ კიდევ შეიძლება სიცოცხლე...“ კარები მივუხურე ჩემს პლატონურ გრძნობებს, ჩავჯექი ნავში და გავყევი დინებას. ასე გაგრძელდა ჩემი ცხოვრე-ბა მეუღლით, შვილით, ანუ – ოჯახით.... მიხარია, ჩემი ვაჟიშვილი, გიორგი ყარსელიშვილი, ლირსეულად რომ დგას წინაპრების კვალ-ში. და აი, ახლა, გიორგის მეუღლე, მშვენიერი თამარი და ჩემი დაგვიანებული ბედნიერება – პანია მარიამიც მიღამაზებენ ყოფნას.

პრობლემების გარეშე არ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემთვის მნიშვნე-ლოვანია, როგორ ვხვდები მათ. არასოდეს ვაზვიადებ ვითარებას. ასეთ შემთხვევაში, მოთმინებით და კარგის მოლოდინით ვაცილებ დღეებს.

– მეგობრები, სამეგობრო წრე... საინტერესოა, რას იტყვით მათ როლზე თქვენს ცხოვრებაში. ვის გამოყოფით სამეგობროდან?

– ბევრი, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, იმდენად ბევრი, რომ ზღვარი არ შემიძლია შემოვავლო. ისინიც კი, ვისაც მხოლოდ ერთხელ შევხვდი ინტერვიუს ჩასაწერად ან ნარკევისთვის, მეგობრებად მესახებიან იმიტომ, რომ მათთან განშორება გამი-ჭირდა და სამუდამოდ შევიყვარე... მე მათთან ერთად ვარ მთლია-ნი... ასე რომ, მეგობრებზე შეყვარებული ადამიანი ვარ.

- ჩემთვის იყო ნამდვილი მოულოდნელობა, როდესაც გავიგე, რომ პრძანდებით ტექნიკური დარგის სპეციალისტი – ასტრონომი. რამ განაპირობა ჟურნალისტობა?

– სკოლაში ტექნიკური საგნების მომზადებას, ჰუმანიტარულისგან განსხვავებით, ძალიან დიდ დროს ვუთმობდი. დიდი შრომის ფასად ვაღწევდი, რომ ყველა საგანში უმაღლესი შეფასება მქონოდა; სხვაგვარად არ დავუშვებდი! შედეგიც ის გახლდათ, რომ წარჩინებული სწავლისთვის მედლით დამაჯილდოვეს. მეოცნებე ვიყავი, რომანტიკოსი. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, გამეგო ყველაფერი ციური მოვლენების შესახებ. მახსენდება – სოფელში, პურის საცხობ თონეზე გაწყობილ ფიცრებზე მოკალათებული, ან ეკლესიის ნანგრევებთან განმარტოებული (ეს იყო ჩემი ამოჩემებული, უსაყვარლესი ადგილი) შევყურებდი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მთვარით განათებულ ალაზნის ველს და იბადებოდა კითხვები ციურ მოვლენებზე, რომლის შესახებ სკოლა არ გვაძლევდა სათანადო ცოდნას, ასტრონომიის საგანს ეთმობოდა ძალიან მცირე დრო. სამყაროს შეცნობის დიდმა სურვილმა მიმიყვანა დედაუნივერსიტეტში, რომელიც ასტრონომიის სპეციალისტი დავამთავრე. უნივერსიტეტში სწავლისას ყველაფერი შევიტყვე სამყაროზე, რაც მაინტრესებდა. ჩემი აზრით, სამყაროს შეცნობა ყველას გვჭირდება, თუმცა, აუცილებელი არაა ამისთვის უნივერსიტეტი. ვფიქრობ, სკოლაში უნდა ხმარდებოდეს უფრო მეტი დრო ასტრონომიის საგანს და ისწავლებოდეს ისევე ღრმად, როგორც სხვა საგნები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დავიწყე სულ სხვა სფეროში – გეოფიზიკოსებთან, ძალიან საინტერესო ადამიანებთან. ექსპედიციები, ისევ რომანტიკა... მეოცნებე ადამიანს, თითქოს, მეტი არაფერი სჭირდება, მაგრამ... ძალიან მოვიწყინე, მოვიწყინე იმიტომ, რომ „ჩემ“ საქმეს არ ვაკეთებდი... ასეთ წვალებაში აღმოვაჩინე, რომ ჟურნალისტიკა მიტაცებს. გთხოვთ, არ გაიოცოთ, 28 წლის ვიყავი, როდესაც დავპრუნდი უნივერსიტეტში და შევუდექი სწავლას ჟურნალისტიკის სპეციალობაზე. უნივერსიტეტში გატარებული არაჩვეულებრივი კიდევ ექვსი წელი, სავსე სწავლის წყურვილითა და ჟინით, საოცარი პედაგოგებით, სტუდენტური ცხოვრებით... გასაოცარი გრძნობით ვივსები ახლაც მისი გახსენებისას... მერე კი დაიწყო მოუსვენარი, რთული და

არაჩვეულებრივი ცხოვრება უურნალისტიკაში, რომელზე უკეთესი მე არ ვიცი.

– ჩვენს ქვეყანაში პუბლიცისტიკის, უურნალისტიკის მამამთავარი, ვფიქრობთ, იღია ჭავჭავაძეა. გვახსოვს მე-19 საუკუნეში, ასევე, სერგეი მესხი. მეოცე საუკუნის ბოლოს ჩვენს უნივერსიტეტს არაერთხელ სტუმრობდა ბატონი ნოდარ ტაბიძე, რომელიც არაერთი სახელმძღვანელოს ავტორია. მინდა გვითხოთ თქვენს მასწავლებლებზე, ვინ იყვნენ ისინი, ასევე, ვინ არის თქვენთვის მისაბაძი უურნალისტი – ქართველი, თუ უცხოელი.

– უმაღ ვინც მახსენდება, ჩემი პირველი მასწავლებელი, გიმნაზიელი მარიამ ხუციშვილია. თვალწინ მიდგას – მკაცრი, თეთრი ლილებით გაწყობილი გიმნაზიელის კაბით, მუდმივად რომ ატარებდა. წიგნთან დედამ მიმიკანა, მაგრამ სწავლა და შრომა, ღრმად მწამს, რომ მან შემაყვარა, ჩემმა პირველმა მასწავლებელმა. ასეთივე სინათლით მომყვებიან ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი – დომნა გოგიჩაიშვილი, ფიზიკის მასწავლებელი – მინდია სალუქვაძე... უნივერსიტეტიდან – ევგენი ხარაძე, სიმონ ყაუხეჩიშვილი, მზექალა შანიძე, ნოდარ ტაბიძე... მე ბედნიერი ვიყავი, ასეთ დიდ ადამიანებს, დიდ მეცნიერებს რომ ვუყურებდი და ვუსმენდი...

მეკითხებით – ვინ არის ჩემთვის მისაბაძი უურნალისტი. უურნალისტური სკოლა უნივერსიტეტში გავიარე. თუ მხედველობაში გაქვთ უურნალისტის პროფესიონალიზმი, ჩემი აზრით, პროფესიონალად ყალიბდები დროთა განმავლობაში, არავინ არავის არ ასწავლის. შეიძლება ვთქვა, რომ მომწონს, როგორ წერენ, ვთქვათ, მელორ სტურუა, ტატიანა ტესი, მიხაილ კოლცოვი, ინტერვიუსა თუ ნარკევევის, და არა მხოლოდ, დიდი ოსტატები (ნარკევი გამორჩეულად მიყვარს ყველა უანრისგან); ბევრი ქართველი უურნალისტი შემიძლია დავასახელო, ვინც შესანიშნავად წერდა და წერს; შორს წაგვიყვანს მათი ჩამოვლა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის მისაბაძი არიან. უურნალისტმა თვითონ უნდა გამოიმუშაოს თავისი ლიტერატურული სტილი, ეძებოს და იპოვოს ინდივიდუალური ხელწერა, რაც კველასგან გამოარჩევს...

– მე-20 საუკუნეში უურნალისტობა ძალიან საპატიო და პრესტიჟული იყო. უურნალისტი ლამის პატიოსნების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. დღეს განსხვავებული მდგომარეობაა. იქამდე მივიდა

საქმე, რომ უურნალისტი ლამის არაპროფესიონალიზმის სიმბოლოდ იქცა. ეს საუკუნის პრობლემაა, ანუ ასეა ყველა ქვეყანაში, თუ ჩვენი ქართული რეალობაა ასეთი და უკავშირდება ქვეყნის განვითარების ეტაპებს?

– მაპატიეთ, ვერ დაგეთანხმებით. უურნალისტიკა ადამიანის მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროა და უურნალისტობა ყოველთვის, ყოველ დროში საპატიო და პრესტიული იყო. ახლაც ასეა. უურნალისტი მთელ მსოფლიოში მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლად განიხილება. ამიტომ, მას უფრო ანგარიშს უწევენ, ვიდრე უყვართ, მის სიტყვას ყურს უგდებენ. თუნდაც, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საზოგადოება საინფორმაციო საშუალებების გარეშე... დამეთანხმებით, რომ ძნელია ამის წარმოდგენა. სხვა თემაა, როგორ მუშაობენ უურნალისტები, როგორ ესმით მათ თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ეს ორივე ისეთივე აუცილებელი თვისებაა უურნალისტისთვის, როგორც სამართლიანობა, გამბედაობა, გულისხმიერება. ამ სამუშაოში არ არის წვრილმანი, ითხოვს სულსა და გულს. ჩემი აზრით, საზოგადოების უკავითებელი არაკვალიფიციური უურნალისტები იწვევენ. მიზეზს კი უურნალისტური განათლების საწყისებთან მივყვართ. ამას წინათ წავიკითხე უცხოეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორის ინტერვიუ, სადაც ის გამოთქვამდა წუხილს, უურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტთა ცოდნის დაბალი დონის გამო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პრობლემა საერთოა.

– ქალბატონი მარინა, გვითხარით, რა არის მნიშვნელოვანი უურნალისტისთვის? დღეს საქართველოში არის ძლიერი ტენდენცია, რომ უურნალისტის მოვალეობაა მხოლოდ ფაქტების აღნუსხვა, თითქოს ანალიტიკური აზროვნება მას აღარ მოეთხოვება, არც საკუთარი პოზიცია უნდა გამოჩნდეს. რა ხდება? ეს საერთო მოთხოვნაა, მთელს მსოფლიოშია ესე თუ ქართული რეალობაა?

– უურნალისტისთვის ერთ-ერთი უპირველესი რამ არის თავისუფლება, რომელიც არ გაგაჩერებს იქ, სადაც არ არის თავისუფლება, სადაც არ არის თავისუფალი გარემო. და მეორე, ისევ და ისევ – პროფესიონალიზმი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს კარგ განათლებას. კარგი განათლება არის წარმატების საფუძველი. შეუძლებელია, უურნალისტი იყოს ყოვლისმციდნე, მაგრამ უნდა

ერკვეოდეს იმ დარგში, რაზეც წერს. ერთ-ერთ ცნობილ რე-დაქტორს ჰკითხეს: „როგორია კარგი უურნალისტი? პასუხი მარტივია, – მიუგო მან, – კარგმა უურნალისტმა ყველაფერი უნდა იცოდეს. მარტო იმაში კი არ უნდა ერკვეოდეს, რაც ხდება დღეს, არამედ მისი ტვინი საუკუნეთა სიბრძნესაც უნდა ინახავდეს“. ხედავთ, როგორი მაღალია მოთხოვნა უურნალისტისადმი?!“

რაც შექება უურნალისტის პოზიციის გამოხატვას. უურნალისტები გარკვეული ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობენ. უამ-რავი შემთხვევიდან ირჩევენ ისეთ ფაქტს, ისეთ თემას, სადაც უკვე იკვეთება მათი პოზიცია, მათი დამოკიდებულება სინამდვილისადმი. აბა, გავიხსენოთ, რამდენჯერ გავუდიზიანებივართ უურნალისტის პოზიციას ტელეეკრანიდან, გაზეთის ფურცლებიდან თუ რადიომიმდებიდან?! უურნალისტის მოვალეობაა, ინფორმაცია მიიტანოს საზოგადოებამდე და მას მიანდოს განსასჯელად. თუმცა, თემასაც გააჩნია. პროფესიონალმა იცის, სად თქვას, რა თქვას და როგორ თქვას. ყველგან ნუ მოვთხოვთ უურნალისტს ანალიტიკურ აზროვნებას. მე, პირადად, ბევრს ვიცნობდი და ვიცნობ დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ანალიტიკური აზროვნებით გამორჩეულ რეპორტიორებს.

– უურნალისტის მომზადება, ჩამოყალიბება უნივერსიტეტში ხდებოდა. ჯერ იყო ფილოლოგის ფაკულტეტის ერთ-ერთი განყოფილება, შემდეგ თსუ-ში ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბდა. დღეს მნიშვნელობა აღარა აქვს, ადამიანს აქვს თუ არა უურნალისტური განათლება. წერს ყველა და სულ სხვა სპეციალობის ადამიანებს ვხედავთ ტელეუურნალისტად, რადიოუურნალისტად და ა. შ. რა ხდება, მასმედიის საშუალებების სიმრავლეში ხომ არ განაპირობა უურნალისტის დევალვაცია.

– ჩემი ღრმა რწმენით, უურნალისტიკა ისეთივე მეცნიერებაა, როგორც სხვა დანარჩენი. როდესაც დედაუნივერსიტეტში ცალკე ჩამოყალიბდა უურნალისტიკის ფაკულტეტი, ეს იყო გონიერ ადამიანთა გადაწყვეტილება. საპირისპირო აზრის ვარ ნახევარი საუკუნის მერე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ – თურმე, მედიასაშუალებებში მომუშავე ადამიანს არ სჭირდება უურნალისტური განათლება. ესაა უურნალისტიკაში მომუშავე ადამიანებით გამოწვეული უკმაყოფილების საწყისი საზოგადოებაში. რა თქმა

უნდა, არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები (ამის მაგალითები არსებობს), რომლებიც ისეთივე წარმატებით მუშაობენ უურნალისტიკაში, როგორც თავის სპეციალობაში, მაგრამ – არა ყველა. მე დავადასტურებ თქვენ ეჭვს, რომ უურნალისტის დევალვაცია, ნაწილობრივ, გამოიწვია მასმედიის საშუალებების სიმრავლემ. რამდენადაც ცნობილია, სამასზე მეტი დასახელების უურნალ-გაზეთი გამოდის საქართველოში.

– გაიხსენეთ თქვენი პირველი შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გვიამბეთ სტუდენტებთან ურთიერთობებზე...

– იმ დროს, როდესაც მეგობარმა ქალბატონმა, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მუზუმის დირექტორმა – ციური ლაფაჩმა დამირეკა და მითხრა – ბატონ მერაბ ბერიძეს, თსუ მესხეთის ფილიალის დირექტორს, თქვენთან შეხვედრა სურსო, მე ადიგენის რაიონული გაზეთის რედაქტორად ვმუშაობდი. ვფიქრობ, არ ვცდები, ეს იყო, 1991 წელი. მე უმაღ გამოვეშურე ახალციხეში. კაბინეტში, მასთან ერთად, უცნობი პიროვნება დამხვდა. ბატონმა მერაბმა გამაცნო ფილიალში მოღვაწე პროფესორი – ვალერი სილოგავადა, ასევე, გამაცნო მიზეზი შეხვედრის – უნივერსიტეტში უურნალისტიკის კათედრა იხსნებოდა და შემომთავაზა თანამშრომლობა... უურნალისტიკაში, თითქმის, ოცნლიანი გამოცდილების მიუხედავად, მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის ასეთი შემოთავაზება. მასსოვს ჩემი პასუხი: მადლობელი ვარ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის, მაგრამ ვერ მივიღებ თქვენ შემოთავაზებას... ჩემი რწმენით, უნივერსიტეტში ღრმად განსწავლული, მაღალი პიროვნებები (ვგულისხმობდი მეცნიერებს) უნდა ასწავლიდნენ-მეთი. „რა საოცარი თავმდაბლობაა...“ – ჩამესმა ვალერი სილოგავას ხმა...

გავიდა წლები და როდესაც ბატონ მერაბს განმეორებით შევხვდი, 1996 წელს, დავთანხმდი (როგორც ჩანს, საკუთარ თავზე „წარმოდგენა გამიჩნდა“) ლექციები წამეკითხა უურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებთან და გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტში“ პასუხისმგებლი მდივნის ფუნქციაც შემეთავსებინა (ამავდროულად, სამხარეო გაზეთის – „სამცხე-ჯავახეთის“ რედაქტორად ვმუშაობდი). მას შემდეგ უნივერსიტეტთან ერთად მოვდივარ დღემდე.

ათი წლის მანძილზე ვხვდებოდი სტუდენტებს ლექციებზე. ეს იყო საოცარი ხანა ჩემთვის, მათთან ურთიერთობა ბედნიერებას მანიქებდა. ცხადად მახსოვეს – ყოველ ლექციაზე შეხვედრისას, სხვადასხვა ჯგუფთან, ისეთი შგრძნება მქონდა, თითქოს აღმო-ჩენებზე ვესაუბრებოდი. არ ვაჭარბებ, აღმაფრენას ვგრძნობდი. ალბათ, უურნალისტიკის ფანატიკური სიყვარული იყო ამის მიზე-ზი... დღესაც, თუმცა, ლექციებს არ ვკითხულობ, აქტიურია ჩემი ურთიერთობა სტუდენტებთან. ამ ურთიერთობას სერიოზული მი-ზეზი აქვს. ჩვენს გაზითში ხშირად იბეჭდება ჩანართი – „სტუ-დენტობა და სხვა...“, რომელსაც, ძირითადად, უურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები ამზადებენ. ყოველთვის ძალიან საინ-ტერესო თემატიკას სთავაზობენ მკითხველს. ეს შესანიშნავი საშუ-ალებაა მათვის, უნივერსიტეტშივე დაეფულონ საგაზითო საქმეს.

– ჩვენს უნივერსიტეტში, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექ-ტური მიზეზების გამო, 2009 -10 წლებში, უურნალისტიკის სპეცია-ლობაზე სტუდენტთა მიღება შევწყვიტეთ. ამას მაშინ ხსნიდნენ სახელმწიფოს მიდგომით ამ დარგის მიმართ. მერე კვლავ გამოცხად-და, მაგრამ ამ წყვეტის გამთლიანება როზული აღმოჩნდა, სტუდენ-ტები სულ უფრო მცირდებოდნენ და ბოლო წლებია, ამ სპეცია-ლობაზე აბიტურიენტი აღარ რეგისტრირდება. რას იტყვით ამ კრი-ზისის შესახებ, უურნალისტს არ სჭირდება სპეციალური განათ-ლება?

– ჩვენ, ნაწილობრივ, შევეხეთ საკითხს, რომ უურნალისტს აუცილებლად სჭირდება სპეციალური განათლება. მეორე მხარეა განვითარება სწავლების მეთოდების... ჩემი აზრით, არასწორი იყო უურნალისტიკის სპეციალობაზე სტუდენტთა მიღების შეწყვეტა ჩვენს უნივერსიტეტში. დააკვირდით – ჩვენს რეგიონში გამომავალ გაზეთებში, ტელევიზიაში, საჯარო დაწესებულების პრესსამსახუ-რებში ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილი უურნალისტები მუშაო-ბენ. გავიხსნოთ ადრეული ხანა – მხოლოდ თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იგზავნებოდნენ რეგიონებში გამომავალ გაზეთებსა და ტელევიზიებში სამუშაოდ. ამას დღეს როგორ წარმოვიდგენთ, მით უფრო, რომ საინფორ-მაციო საშუალებების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა?! ჩვენ მოგვეცა საშუალება, ადგილზე მიეღოთ განათლება უურნალის-ტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს და ეს უარვყავით...

ვფიქრობ, კრიზისი, როგორც თქვენ უწოდებთ მდგომარეობას, დროებითა. უურნალისტიკა ისეთი საინტერესო და მომხიბლავი პროფესიაა, რომ ყოველთვის გამოჩენდებიან ამ ხიბლით „დავა-დებული“ ახალგაზრდები და, თანაც, საკმარისი რაოდენობით.

– გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ არის პირველი დამოუკი-დებელი გაზეთი სამხრეთ საქართველოში, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1990 წლის დეკემბერში. თქვენ უნივერსიტეტში რომ მოხვედით, მაშინ გაზეთს „მესხეთი“ ერქვა. გვიამბეთ თქვენს შეხვედრაზე ჩვენს გაზეთთან და გაზეთის განვლილ გზაზე.

– გეთანხმებით, რომ უნივერსიტეტის გაზეთი იყო პირველი დამოუკიდებელი გაზეთი სამხრეთ საქართველოს ისტორიაში. თავდაპირველად, გაზეთი „მესხეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა, ხოლო 1996 წლის მაისიდან სახელწოდება „მესხეთის უნივერსი-ტეტით“ შეიცვალა. როდესაც უნივერსიტეტში მოვედი სამუშაოდ, გაზეთს რედაქტორობდა შესანიშნავი ლიტერატორი და უურნა-ლისტი ცაულინა მალაზონია. მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ დასა-წყისიდან, 1990 წლიდან, გაზეთის რედაქტორი გახლდათ: ნუგზარ ზაზაძე, ვაჟა სამსონიძე, ნინო ბლუაშვილი, მანანა დოიჯაშვილი (გაზეთის ერთ-ერთ ნომერს, წელს ვერ ვიხსენებ, მეც მოვაწერე ხელი, როგორც რედაქტორმა... რაღაც პერიოდი ჰქონდა გაზეთს ასეთი). მერე ხანგრძლივად მუშაობდა ქალბატონი ცაულინა და ამ დროს პასუხისმგებელი მდივნის როლს ვასრულებდი გაზეთში, 2000 წლიდან კი მისი რედაქტორი ვარ. განსაკუთრებულს ვერ ვიხსენებ მასთან შეხვედრისას... ჩვეული ერთგულებით და თავ-დადებით ვაკეთებდი გაზეთს, შესანიშნავ თანამშრომლებთან ერ-თად. მე ყოველთვის არაჩვეულებრივი თანამშრომლები მყავდნენ; ძირითადად, მუშაობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილი უურ-ნალისტები, შესანიშნავი ადამიანები და პროფესიონალები. ახლაც ასე გრძელდება სარედაქციო მუშაობა. ჩვენს საქმიანობას სიყვა-რული ახლავს და, ვფიქრობ, ეს გვიადვილებს საკმაოდ მძიმე და რთუ საქმეს.

– თქვენ გიმუშავიათ სხვადასხვა გაზეთში. ისინი სხვადასხვა ტიპისანი იყვნენ. როგორ ფიქრობთ, რა გამოარჩევს უნივერსიტეტის გაზეთს ვთქვათ გუბერნიის, მუნიციპალიტეტისა და სხვა გაზეთე-ბისგან?

– სწორად აღნიშნეთ, რამდენიმე გაზეთს ვრედაქტორობდი. ადიგენის რაიონული გაზეთი „განახლებული მესხეთი“ და სამხარეო გაზეთი „სამცხე-ჯავახეთი“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთები იყო, „ქალთა ცენტრი“ – არასამთავრობო. ბუნებრივია, მათი თემატიკა მოიცავდა განსხვავებულ არეალს. „მესხეთის უნივერსიტეტი“ ამსახველია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების და ისეთივე მრავალფეროვნებით გამოიჩინა, როგორც თავად უნივერსიტეტის ცხოვრება. თუმცა, გვაქვს მცდელობა, გავცდეთ ფარგლებს და რეგიონისთვის მნიშვნელოვან მოვლენაზეც ვისაუბროთ, მითუმეტეს, თუ ის უნივერსიტეტსაც უკავშირდება. მასესნდება საუბარი, როდესაც ბატონმა მერაბ ბერიძემ, უნივერსიტეტის რექტორმა და გაზეთის დამაარსებელმა, გამოთქვა სურვილი, „მესხეთის უნივერსიტეტი“, თემატურად, რეგიონული გაზეთი გამხდარიყო. ეს აზრი მოგვეწონა უურნალისტებს, მაგრამ იდეა დარჩა განუხორციელებელი. მიზეზი სადაა, არ ვიცი. არა მგონია, რედაქციის თანამშრომელთა მოუნდომებლობით აიხსნას.

– ჩემთვის ცნობილია, რომ ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორობიდან გაგათავისუფლეს კიდეც, თქვენი პრინციპული დამოკიდებულების გამო. რამდენად შეცვალა ცხოვრებამ, გამოცდილებამ პრინციპებისადმი თქვენი დამოკიდებულება?

– არასწორმა ინფორმაციამ მოაღწია თქვენამდე, ვინ იცის, რამდენ ადამიანს გამოვლილმა. დიახ, იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთთათვის პოლიტიკური მოსაზრებით „მიუღებელი“ სტატია დაიბეჭდა გაზეთში, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „მაღალთა“ შორის. ახლა არ დავასახელებ გაზეთს, მაგრამ გეტყვით, რომ ამ ფაქტის გამო არ გამანთავისუფლეს რედაქტორობიდან, მხოლოდ... გაზეთის ნომერი „დაპატიმრეს“, ანუ – არ გავრცელდა. ეს ძალიან მტკიცნეული იყო ჩემთვის და რედაქციის უურნალისტებისთვის, არანაკლებ მძიმე განცდა, რაც შეიძლება მოჰყოლოდა გათავისუფლებას... შეიძლება მავანმა და მავანმა გამკიცხოს სიჩქმისთვის, მაგრამ გეტყვით, რომ არ მიყვარს უაზრო, უმიზნო ხმაური, ხმაური „პოპულარობისთვის“... არ ვხმაურობ იქ, სადაც მოსალოდნელი არაა შედეგი... ეს მახასიათებს არა მხოლოდ ჩემს პროფესიასთან მიმართებაში. პრინციპებისთვის, ვფიქრობ, არასდროს მიღალატია. ერთ-ერთი ცნობილი უურნა-

ლისტის ნათქვამი მახსენდება ახლა: „ჩემი პერპენდიკულარი ამოი-ზარდა ჩემი სინდისის ეპიცენტრიდან...“ ეს ბევრისმთქმელი ფრა-ზა ჩემი კრედოა... მიმიხვდებით, რისი თქმაც მსურს ამით.

- თქვენ უკან რესპონდენტთა მთელი არმიაა. თქვენი აზრით, რამდენად იცვლებიან რესპონდენტები წლების განმავლობაში?

- დიდი ხანია, უურნალისტიკას ვემსახურები. ვიდრე უნივერ-სიტეტში მოვიდოდი, განვლილი მქონდა დიდი გზა – ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო გაზეთში, საქართველოს რადიომაუნიყებლო-ბაში, ადგიგენის რაიონულ გაზეთში; უნივერსიტეტში მუშაობისას, პარალელურად, ვაქეცყნებდი პუბლიკაციებს სხვადასხვა უურნალ-გაზეთში – „ქალთა გაზეთი“, „თაბორი“, „ART FACE“, „VIZION“, „მედიატორი“. ზოგიერთში დღესაც გრძელდება თანამშრომლობა. კოლეგებთან თანაავტორობით გამოვეცი ხუთტომეული წიგნის – „პროფესიაში გამორჩეულნი“, სადაც განთავსებულია ძალიან საინტერესო ადამიანთა ცხოვრებაზე ჩემი ასეულობით ნარკვევი... ეს ჩამონათვალი იმისთვის დამტირდა, რომ წარმოიდგინოთ, მართ-ლაც, ნარკვევისა თუ ინტერვიუს რამდენი რესპონდენტი მეყო-ლებოდა, რამდენ ადამიანს მივუახლოვდი სურვილით – საზოგა-დოებისთვის წარმედგინა და გამეცნო მათი არაჩვეულებრივი მოლ-ვანეობისა და ცხოვრების შესახებ... იმდენად არ მეთმობოდნენ, განშორებისას ყოველთვის ვფიქრობდი და მწამდა, რომ ურთიერ-თობა გაგრძელდებოდა. ფანატიზმია, ხომ?.. ჩემი საყვარელი გმირები! ყველა მათგანი ჩემში ძვირფას სახედ ჩარჩა და მონატ-რებას ვგრძნობ. ოდესმე უნდა მოვიცალო საიმისოდ, რომ ყველა ერთ წიგნში შევკრიბო. მუდმივად სიახლოვეს მექნება ეს წიგნი, ძილის დროს სასთუმალთან დავიდებ... კიდევ გაგრძელდება სი-ცოცხლე და ასეთ საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები. ეს ჩემი ცხოვრებაა, ძალიან საინტერესო ცხოვრება, საინტერესო და მომხიბლავ ადამიანებთან ერთად, საუკეთესო განცდებით, რო-მელსაც წლები ვერ შეცვლის...

- რას იტყვით იმ ენობრივ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც ყველა გაზეთს გააჩნია და ჩვენს გაზეთშიც გაიპარება ხოლმე?

- ერთ-ერთი თავისებურება საგაზეთო მუშაობისა მდგომა-რეობს იმაში, რომ წერილების უმრავლესობა მიდის ნომერში და იქმნება სიჩქარით, სწრაფად. ინერება სწრაფად, მასალების უმრავლესობის რედაქტორება ხდება სისწრაფით და ყოველივე

ამას მივყავართ შეცდომებამდე. შეცდომები სიტყვათა შერჩევაში, წინადადების წყობაში, ორთოგრაფიული, თუ ლექსიკური... ნაბეჭდ ტექსტში ყოველგვარი შეცდომა, ბუნებრივია, მკითხველის უკმაყოფილებას იწვევს. თუმცა, ხშირად შეცდომების მიზეზი უურნალისტის განათლებაა. არა აქვს მნიშვნელობა, ის გაზეთში მუშაობს, ტელევიზიაში თუ რადიოში; აუცილებელია ენის ნორმების ცოდნა, იმ ენის, რომელზეც ის წერს და საუბრობს... ისევ და ისევ მივყვებით იმ აზრს, რომ უურნალისტობა არაა მხოლოდ (როგორც მარტივად წარმოუდგენია ბევრს უურნალისტის როლი) მოგზაურობები, მომხიბლავად დგომა მიკროფონით ხელში, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან... ბუნებრივია, ეს ყველაფერი მომხიბლავია, მაგრამ რა დგას ამ მომხიბლელობის უკან? უძილო ღამეები, დიდი წვალება და ჯაფა, რა თქვა, როგორ თქვა ისე, რომ გაგიგონ... ანუ საჭიროა ცოდნა, განათლება. მაშინ ნაკლებად იქნება ან საერთოდ არ იქნება შეცდომები.

- ქალბატონო მარინა, თქვენ რომანტიკოსი პრძანდებით. რა შესძინა ამ ბუნებამ თქვენს საქმიანობას ან რაში შევიშალათ ხელი.

- დიახ, რომანტიკოსი ვარ. საოცარია! ასაკი ვერ ანელებს რომანტიკულ განცდებს. კვლავაც მწვავს და მიყვარს რომანტიკა ლიტერატურაში, პოეზიაში, ადამიანებში. ასეთი ბუნების „პრალია“, რომ მთელი სამყარო მიყვარს, მზე, მთვარე, სრულიად – ვარსკვლავეთი და... ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ! სიყვარული კი, ხომ იცით, რა განუზომელი ძალაა, შეუძლებელს შეგაძლებინებს. და ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ სიყვარულით თავბრუდახვეული და გათანგული, სიყვარულითვე ვაკეთებდე ჩემთვის ძალიან საყვარელ საქმეს?!

**ინტერვიუერი: მაკა ბერიძე**

# პოეზია

## მზია ხეთაგური

### კითხვა—პასუხი

**რისა მეშინია ყველაზე მეტად?**

— სირცხვილის!

**რისა არ მეშინია?**

— სიკვდილის...

**რა მაღიზიანებს?**

— როდესაც არ მენდობიან!

**რა ალმაფრთოვანებს?**

— მზიანი ამინდი და თეატრი!

**ჩემი ნაკლი?**

— სიფიცხე!

**ჩემი ლირსება?**

— მიმტევებლობა, გულწრფელობა, ჩემი შეცდომისა თუ უსამართლო ქმედების აღიარების უნარი.

**ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა?**

— ბევრი რამ არ დავუჯერე დედას!

**— დაკარგული დრო... ნანობ?**

— დაკარგული დრო არ არსებობს, რადგან ადამიანის გონება იმ „დაკარგული დროის“ მანძილზეც მუშაობს.

**ადამიანები, რომლებსაც არ უყვარსართ, გძულს?**

— ასეთები ბევრნი არიან, მათ ამის უფლება აქვთ და არავინ მძულს!

**რა გხიბლავს ადამიანში?**

— სხვისი ლირსების, ნიჭის შემჩნევისა და აღიარების უნარი, მიმტევებლობა, უბრალოება, სილალე, ოდნავი იდუმალება....

**ადამიანები, ვინც შენ არ გიყვარს?**

— ვინც მიყვარს, ვერასოდეს შევიძულებ, ბოლომდე მეყვარება! მაგრამ თუ ისეთი რამ შევამჩნიე, რაც ჩემთვის მიუღებელია, შესაძლებელია, პატივისცემა დავკარგო მის მიმართ...

და ეს ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო გრძნობაა!

**როგორ ადამიანებს არ სცემ პატივს?**



— პირფერებს, მედროვეებს („შენთან - შენსას, სხვასთან — სხვისას“) სხვისი დამცირებით ბედნიერებს, ყველაფრის მცოდნე პოზის მიმღებებს, ცინიკოსებს, ნარცისებს, მდაბიოებს... თუმცა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ძირითადად მდაბიურობიდან მოდის.

### **შენი ერთ—ერთი სინაული?**

— მიმაჩნია, რომ არჩევანი უნდა გამეკეთებინა შვილებსა და შემოქმედებით კარიერას შორის. მე ორივეს შევეჭიდე. სანაცვლოდ, შვილებს ვერ შევუქმენი სათანადო მომავალი, ჩემი შემოქმედება კი — სტიქიასავით, ბედს მივანდე. ვიცი, არ დამეთანხმებიან, მაგრამ მე მტკიცედ ვიცი, რომ ქალმა ან შვილები და ქმარი უნდა აირჩიოს, ანდა საჟუთარი კარიერა. ორივე ერთად — ფიასკოს განიცდის, თუ განსაკუთრებული ნიჭი არ გაქვს, რომელიც ძალიან სჭირდება საზოგადოებას, ქვეყანას და ა.შ. შვილებისთვის შექმნილ ბედნიერ მომავალსა და თბილ ოჯახს ვერანაირი წარმატებები ვერ გადაწონის!

### **როგორი გინდა რომ იყო?**

— როგორიც ვარ, ოღონდ უფრო იღბლიანი... თუმცა იღბალი ღმერთისგან გეძლევაო... მე რომ იღბალი არ მომეცა, ბედის წინაშე ღმერთიც უძლური მგონია!

**რას იზამდი, ცხოვრების ერთ მონაკვეთში, ახალი შანსი რომ მოგეცეს?**

— წავიდოდი სადმე შორს საქართველოდან, საქართველოს სახელით გავაკეთებდი ნებისმიერი სახის კეთილ საქმეს, ვიცხოვ-რებდი იქ რამდენიმე წლის მანძილზე, რათა დაბრუნებისას ვიგრძნო რა არის სამშობლო დეკორაციის, სიმღერა—ცეკვის, პოეზიისა და სადლეგრძელოების გარეშე!..

პოე(θ)ზია

## პოეტს სჭირდება დიდი წამება

პოეტს სჭირდება დიდი წამება—  
ტანჯვა, ტკივილი და სინანული!  
პოეტს სჭირდება დიდი წამება,  
სჭირდება ჯვარიც და ანანურიც!  
ო, ყველაფერი სჭირდება პოეტს,  
უძილო ღამეც გაუსაძლისი...  
ზოგჯერ სჭირდება საბრალო პოეტს,  
თავდაჯერება ტურფა ნარცისის.  
სხვა რამ არ მინდა, არც მსურს, არც მნებავს,  
არ დამკლებია, რადგან, არც ერთი...  
პოეტს სჭირდება დიდი წამება!  
მაგრამ... ყოველ წუთს?!  
მაგრამ... ასეთი?!

\*\*\*

მზეც კი ყოფილა უგუნებოდ,  
ზღვაც კი დამშრალა,  
ზოგჯერ ფიქრებიც თავს უფრთხიან  
შენილბულები,  
ქალის მანდილი უქცევიათ ცხენის ავშარად,  
საფერფლებად უხმარიათ ხელისგულები.  
ქვეწარმავალიც გამომძვრალა  
ტურფა ბალიდან,  
მათრახიც ბევრჯერ მოხვედრია  
ხელებს საფერებს,  
არსებობს სხვისი საკუთრების  
ყიდვა—გაყიდვაც...  
არსებობს უფრო უარესიც:  
სული — საფერფლედ.

## თმის ცეკლებისგან დაწეული კიბე

ხანდახან, როგორ მინდა, ყველაფერი გაქრეს:  
სახლები, ქუჩები, ბაღები...  
სართულები აორთქლდნენ,  
ხეებმა ცაში ფესვები გაიღგან,  
ცისარტყელა მკერდით მიწას შეეხოს,  
ოლონდ ჩემი სართული  
დარჩეს ჰაერში,  
ცასა და მიწას შუა გამოკიდული;  
იმ დროს ჩემს გარდა  
სახლში არავინ იყოს...  
მე თმის წეპლებით  
დავწნი კიბეს და ჩამოგაწოდებ...  
შენ ამოყვები იმ კიბეს,  
ჩემთან შემოხვალ  
და ჩვენ, როგორც გემი,  
შევცურავთ დრუბლების ზღვაში...  
მერე დაიქუჩებს და თმის წვიმებით  
დიდხანს ვიწვიმებ,  
მერე გამოვიდარებ და მკერდში  
სხივივით ჩაგეღვრები.  
ჩვენი სართული დიდხანს იცურებს!  
ამასობაში სახლები, ქუჩები, ბაღები  
ისევ თავის ალაგს დაბრუნდებიან.  
ჩვენი სახლის სხვა სართულებიც  
ჯარისკაცებივით კვლავ მწყობრში ჩადგებიან.  
მხოლოდ ჩემი სახლის ნაწილი,  
კუთხე, სადაც ჩემი ბინა ეკიდა,  
კბილამოღებულივით გამოჩნდება  
გალიმებული სახლის სახეზე...  
ხანდახან, როგორ მინდა, ყველაფერი გაქრეს...  
თმას იმიტომაც არ ვიჭრი...  
იქნებ მოხდეს სასწაული,  
იქნებ დამჭირდეს თმის წეპლებისგან  
დაწნული კიბე!

## იქაპება „ოდნავ“ მამაკაცი! (გამაფრთხილებელი გაცეხალება)

ამა წლის, ამა თვის ამა და ამ საათზე,  
შეყვარებულის სახლიდან გავიდა და  
ალარ დაბრუნდა ახალგაზრდა,  
მაგრამ ოდნავ თმაშევერცხლილი კაცი...  
მისი ნიშნები: საშუალოზე ოდნავ მაღალი,  
ოდნავ მოხრილი,  
ოდნავ შემთვრალი,  
ოდნავ ლამაზი...  
თვალები ოდნავ დაბინდული,  
ოდნავსევდიანი...  
ყველაფერი „ოდნავ“!  
ჩვევები: თვალებს რომ უსწორებ, სივრცეში იყურება,  
მისი გუგებიდან გადმოსული ოდნავ ცისფერი კვამლი.  
სხეულს შეგიღებავს და  
იმ საღებავს ვერაფრით წაშლი!  
იგი რეციდივისტზე საშიშია —  
ისე შეიყვარებ, ვერ გადაიყვარებ,  
წავა და გიჟივით დაუწყებ ძებნას,  
მაგრამ ამაოდ! — მას ეს ოდნავაც არ ენაღვლება!  
თუ სადმე ნახოთ, ერიდეთ, ერიდეთ,  
რადგან საშიშია, — ოდნავ კი არა,  
ძალზე საშიში... იმიტომ რომ...  
მას ოდნავაც ვერ დაივიწყებ!

\*\*\*

სიმართლე ვთქვი და შემომეცალა ყველა...  
სიმართლის შიშით სიცარიელე დახტის...  
სარეველებმა ამოყვეს თავი ველად...  
შხამ—შეფრქვეული დადგეს სიცრუის ტახტი!

## ცარიელი სკა

როგორ მინდა, უცებ მოვიგო მილიონი,  
უცებ დამნიშნონ რაღაცის მინისტრად,  
ეგ სულერთია, რის მინისტრად —  
(წინაკის, ხახვის თუ ნიახურის)  
მთავარია, მინისტრი გერქვას!  
უცებ იმას გავახსენდები,  
ვისაც, მეგონა, მკვდარი ვეგონე..  
ისეთი ვინმე ჩამეხუტება,  
სულ ცოტა ხნის წინ რომ ამერიდა —  
აღარაფერში არ მჭირდებაო!  
მომიძლვნიან ფერად — ფერად უნიჭო ლექსებს  
და უნიჭობას მქუხარე ტაშით შენიღბავენ.  
არ მინდა მინისტრობა, არც მილიონერობა —  
მე ეს უკვე გამოვცადე წარმოსახვაში და...  
ამაზრზენი იყო დათაფლული ხმების მოსმენა  
ცარიელ სკაში!

## ზუსტი პასუხი

პასუხი არ ჩანს... შეკითხვაც ქრება,  
გამეფებულა დუმილის ექო!  
ფარისევლური არ მხიბლავს ქება,  
ცივი ნაცარიც როდემდე ვქექო!  
თქვენი პასუხის სითბოს დავეძებ,  
როგორც კედელი შეულესავი...  
როცა კითხვაზე პასუხს არ გცემენ,  
ზუსტი პასუხიც, იქნებ ეს არის!

# პროგრ

## ვასილ ბერიძე

### ამერიკული ღიმილი (მებაჟის ჩანაწერები)

16 წლის ასაკიდან ვმუშაობ და ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილს ვატარებ სამსახურში, ვემსახურები საქართველოს. ვმსახურობდი სხვა და სხვა სტრუქტურაში—დაბალ თუ მაღალ თანამდებობებზე. მინდა გავიხსენო საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სადახლოზე“ მუშაობის საწყისი პერიოდი (არ დავწვრილმანდები). ბევრი რამ გავაკეთეთ, ძალიან რთულ დროს გავუძელით ყველამ ერთად. შემოსავლების სამსახურის სისტემის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში საკმაოდ სოლიდური წვლილი მიუძღვის არა მარტო შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასა და ხელისუფლების კეთილ ნებას, ამ სტრუქტურაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და კერძოდ ელჩების ბატონების ჯონ ტეფტისა და ჯონ ბასის თაოსნობით მხარდაჭერილ რეფორმებს, მათთან ერთად ამ პროექტის ხელმძღვანელს, საბაჟო სისტემის კურატორს ბატონ ჯონ რაიანს, რომელიც ჩვენი სტრუქტურის განვითარების ყოველ ნაბიჯს აკვირდებოდა და აფასებდა, თუ როგორი მიმართულებით მივდიოდით, ამა თუ იმ ეტაპზე რა იყო საჭირო. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აფინანსებდა არა მარტო მებაჟე-ოფიცირების გადამზადებას, მათი ცოდნისა თუ ცნობიერების ამაღლებას, საჭირო ძვირად ღირებული ტექნიკის შეძენას (მიჰყავდა მებაჟე-ოფიცირები შეერთებულ შტატებში, აცნობდა კონტრაბანდასთან ბრძოლის მუშაობის ახალ პრინციპებს, უზიარებდა გამოცდილებას, ასწავლიდა უახლეს ტექნიკასთან მუშაობას და სხვა....), არამედ აფინანსებდა სხვა-დასხვა საბაჟო გამტარი პუნქტის მშენებლობებს, მაგალითად ასეთი იყო „სადახლო“, „წითელი ხიდი“...

2009 წელი იდგა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“ აღარ ჰგავდა ერთ თეთრ პატარა ჯიხურს, შიგნით გამოტენილი მებაჟეებით, რომლის ფანჯრიდან გამოყოფილი „ფერის ტრუბისგან“ გაჭვარტლული კედლისა და სახურავის შემჩნევა შორიდანვე რომ

იყო შესაძლებელი. დიახ, იმ „ფეჩის“, რომელიც ზამთარში გაყინულ მებაჟეებს ათბობდა თუ დრო დარჩებოდათ ოთახში შემოსვლისთვის. ის ოთახი იყო უფროსის კაბინეტიც, დილით მოსულს დიდ ჭიქაში, გარედან BOSS რომ ეწერა, ყავას დაახვედრებდნენ ხოლმე, სტუმრების მისაღები ადგილიც, გოგონები დენზე მოდულებულ ყავას რომ მიირთმევდნენ, ელექტრო ენერგია თუ წავიდოდა, ფეჩზე დადგმულ ჩაიდანში ცხელი წყალი ხომ ყოველთვის იყო. ამ ოთახში ჰქონდათ საძინებელიც იმ შემთხვევაში, თუ ძილის დრო დარჩებოდათ მებაჟეებს. ხანდახან ღამით უფროსის დიდ ჭიქაში ერთ-ერთი მებაჟე საკუთარ პროთეზსაც ინახვდა დილამდე. დილით ახალი ცვლის მოსვლის შემდეგ ლაპარაკის თავიც რომ აღარ ჰქონდათ და გზაში ერთი საათი ძილი სახლამდე მისვლის ენერგიას რომ აძლევდათ. აღარც უზარმაზარი რკინის „შლაგბაუმი“ ჩანდა არსად, გაბრაზებული მოსახლეობა მდინარე დებედას ნაპირზე რომ მოისროდა ხანდახან. არც გაურკვეველი წარმოშობის სამსახურები ჩანდა, რას აკეთებდნენ იქ, თვითონაც რომ ვერ გაერკვიათ. მოკლედ, ახალი აშენებული, იმ დროისთვის საუკეთესო სამსართულიანი შენობა წამოჭიმულიყო თავისი მოსასვენებელი ოთახებით, საშხაპეებით, სასადილოთი, გათბობითა თუ გამაგრილებელი სისტემით, ავტომატური ელექტრო სადგურით, ტვირთის ჩამოსაცლელი რამპით, ავტომობილების გამშვები გეოტებითა თუ გადამზადებული მებაჟეებით!

ადრეული ზაფხულია, ირგვლივ ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული, შენობის ერთ მხარეს დამუშავებული სავარგულები ჩანს და მთაზე ტყე, ხოლო საბაჟოს შენობის მეორე მხარეს ღობის უკან ძველი სასაფლაოა, სადაც თითქმის არავის აღარ ასაფლავებდნენ სადახლოელები, მის ქვემოთ სარკინიგზო ლინდაგია, სომხეთთან დამაკავშირებელი, რომელსაც მოსახლეობის ბაღები არტყია გარს, შემდეგ მდინარე დებედა და სომხეთის საზღვარი.

სადღაც 12 საათი იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები მოვიდნენ საბაჟოს სანახვად, მათ შორის ბატონი ჯონ რაიანი, მასთან ერთად გამოირჩეოდა ახალგზრდა კაცი, ძალიან მაღალი, ფიზიკურად დიდი, გემოვნებით შერჩეულ კოსტუმში გამოწყობილი, ძვირფასი ჰალსტუხი უმშვენებს კისერს, მექანიკური საათი მსხვილ მაჯას, ამაყად წელში გასწორებული დადის, თითქმის ვერავის ამჩნევს გარშემო. ან რას

დაინახავს ის ხომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყნის ვეებერ-თელა შვილია. ჩემი თავი გააცნეს, საბაჟოს უფროსიაო, ოდნავ თავი დამიქნია, არც შემოუხედავს და გავუძები წინ, ვუხსნი საბაჟო-გამტარის მუშაობის პრინციპებსა და თავისებურებებს, ვათვალიერებინებ შენობებს, ვიღიმები, რაც კი შემიძლია, მაგრად, სტუმარ-მასპინძლობის პრინციპის დაცვას მაქსიმალურად ვცდი-ლობ, მაგრამ მის გაყინულ სახეს ვერაფერი სასიკეთო ვერ შევმატე. ასევე ჩაფიქრებული იყო ბატონი რაიანი, ნაღვლიანად გამოიყურებოდა, ხნიერი კაცის როტაციის დრო დამდგარიყო. საკმარისი ჰქონდა გაკეთებული და საჩვენებელიც ბევრი რამ ჰქონდა, მაგრამ ხმასაც არ იღებდა. მოკლედ მივუძღვები ამ უზარმაზარ ადამიანს წინ და ვათვალიერებინებ საბაჟოს.

- აქ გამტარი გეიტებია, ორი შემომსვლელი, ორი გამსვლელი მსუბუქი მანქანებისთვის, სამარშუტო ტაქსებისა და ავტობუსებისთვის, ვემსახურებით ერთი ფანჯრის პრინციპით, სულ რამდენიმე წამი სჭირდება და ადამიანი კვეთს საზღვრს. - ამ დროს ლევანმა, მებაჟე-ოფიცერმა, გამოართვა პასპორტი შემომსვლელ მძღოლს, მსუბუქი გამოკითხვის მერე მალევე გაატარა და შემოშვა ქვეყანაში.

- ეჭვის შემთხვევაში უკვე სრულიად ვათვალიერებთ! - ვშლით მანქანებს! - აღვნიშნე და კმაყოფილი ამაყად გავუყევი გზას. ახალგაზრდა თარჯიმანი გოგონა თარგმნის ჩემს ნათქვამს. შევედით შენობაში.

- ეს დარბაზია, სადაც ფიზიკური პირების გატარება ხდება. პატრული საპასპორტო კონტროლს ახორციელებს, ხოლო ჩვენ ფიზიკური პირის დათვალიერება გვიწევს საჭიროების შემთხვევაში.

გოგონებმა ქვეყანაში შემომსვლელი პირის სკანერში გატარებული დიდი ჩანთა გახსნეს და საეჭვო საგანი შეამოწმეს. მოკლედ, ამ ადამიანისგან ვერც მონონება დავიმსახურეთ და ვერც ძაგება, არანაირი მიმიკა არ ემჩნეოდა სახეზე, მე არც კი მიყურებდა, მხოლოდ თარჯიმანთან ურთერთობდა და გარშემოც ვერავის ხედავდა. ვაგრძელებ:

- აქ პატრულის თანამშრომლები მუშაობენ, - ფეხზე წამოდგნენ ყველანი სასწრაფოდ, - ვიდეო ჩამწერისა და რადიაციული კონტროლის ოთახია. ვაცნობ:

- ბატონი ბერდია ხელმძღვანელია პოლიციის მხრიდან. აქ ცვლის უფროსისა და ტექნიკური საშუალებების ოთახია, კანცელარია, მარინე ადგა ფეხზე გაბრნებული სახით, მაგრამ კვლავ სიცივე, გეგონება ვერაფერს ხედავს, არ აინტერესებს პატარა ქვეყნის პატარა ხალხი. ამ სიმაღლე კაცი ისედაც ზემოდან გვიყურებს, ყველა დაძაბული მივედით ჩემს კაბინეტამდე. არა-ნაირი კუნთი, ნერვი მის სახეზე არ ჩანს შეტოკებული, მიმიკა არ შეცვლია.

- ჩემი კაბინეტი, უფრო სწორად, საცხოვებელი სახლი, აქ უფრო მეტ დროს ვატარებ, ვიდრე სადმე ერთად აღებული სხვაგან. გავულიმე მაქსიმალურად, ვიფიქრე, იქნებ ეს დაძაბულობა რამენაირად მოვხსნა მეთქი, მაგრამ არაფერი, მედიდურად გააგრძელა გზა და ღიმილი შემახმა სახეზე. ულიმლამოდ გავაგრძელე:

- აქ საძინებლებია მამაკაცთა, ქალთა, საშხაპეები, - ვაჩვენებ ყველაფერს... თარჯიმანი კი სიტყვა-სიტყვით თარგმნის: - აქ სასადილოა, აქვს დიდი აივანი ლამაზი ხედებით, უცბად ამ ვეებერთელა გაყინულ კაცს მცირე ემოციამ გაუელვა თვალში, როგორც ჩანს, შეჩვეული იყო ლამაზ ხედებიან სახლებს. ხედების სსენებაზე აივანზე გავიდა, ყველანი გავყევით უკან, ზევიდან კიდევ ერთხელ ამაყად გადმოგვეხდა ხედის ძიებაში. მის მზერას სადახლოს ძველი სასაფლაო შერჩა. გაკვირვებულმა იკითხა:

- ეს რა არის? (მე არ მელაპარაკება, თარჯიმანს ესაუბრება). - ზუსტად მაშინ მივხვდი, რომ ჩემი დროც დადგა და ვუთხარი:

- კონტრაბანდისტების სასაფლაო! აი, მაშინ უნდა გენახათ გაკვირვებული, გაოგნებული, შეშფოთებული, შენუხებული.... ადამიანის სახე. რა არ ენახა, რა არ გაეგო, რა ინფორმაცია არ ჰქონია, სხვა და სხვა ქვეყანაზე, მეორე, მესამე, მეოთხე ხარისხოვან სახელმწიფობზე, მაგრამ ასეთი რამ? პირველად! (კვლავ არ მიყურებს, ელაპარაკება თარჯიმანს).

- ეგ რანაირად? (მითარგმნა) ბატონი ჯონ რაიანის სახეზეც წაიკითხავდით: როგორ გამომრჩა ეს ინფორმაცია?, რატომ არ ვიცოდიო, გაკვირვებული ფიქრობდა. მეც რიხიანად გავაგრძელე:

- როგორ და ადრე კომუნისტების დროს ბნელი და უკუნი რომ იყო, ნებისმიერი კონტრაბანდის აღმოჩენის დროს, თუ იგი აღემატებოდა 1000 მანეთს, პირდაპირ გავყავდა და ვხვრეტდით.

- აი, შედეგი! - მაგალითად სასაფლაო მოვიყვანე.

ახლა გაოგნებულმა მე შემომხედა და თვალი-თვალში გამიყარა, მეკითხება:

– მერე!?

– რა მერე, მერე „პერესტროიკა“ დაიწყო, ამერიკა, ევროპა შემოვიდა, შემოიტანა დემოკრატია, ცივილიზაცია, განათდა ჩვენს ქვეყანაში! შევცვალეთ კანონმდებლობა, დახვრეტა ჯარიმით შევცვალეთ, ახლა 15 ათას ლარამდე მხოლოდ ვაჯარიმებთ, 15 ათას ლარს ზემოთ პასუხისმგებაში ვაძლევთ, (არაა! დარწმუნებული კი იყო, რომ ველურს ესაუბრებულა, მაგამ ასეთი სისასტიკე ვერც კი წარმოედგინა. განცვიფრებული, გალიზიანებული, შეძრნუნებელი, აი, ასეთი სახით მიყურებდა).

აგრძელებს მკაცრად:

– სად ხვრეტდით!?

– შენობის პირველ სართულზე, რამპის უკანა მხარეს ბუნკერი იყო, ჩაგვყავდა იქ და საბაჟოს უფროსი ან მოადგილე აღვასრულებდით კანონს სრული სიმკაცრით. გავაგრძელე სერიოზული სახით... თვალი თვალში გამიყარა.

– კედელი თუ არის დარჩენილი!? თარჯიმანმა ხმის კანკალით გადათარგმნა (ახალგაზრდა, შეშინებბული გოგონას თვალწინ მკვლელი, სისხლის მსმელი, ჯალათი მებაჟე იდგა). რაიანი მალევე მიხვდა, რომ სტუმარი ქართული ხუმრობის კლანჭებში იყო ჩავარდნილი და ეღიმებოდა, სეირს უყურებდა.

– ნატყვიარებს იქ ვერ ნახავთ, - მოკლედ მოვუჭერი.

– რატომ!?

– იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით რეკონსტრუირებული და კარგად გალესილია! - სიბრაზისაგან სახეზე წამოაწითლა, ჩამოვარდა სიჩუმე, აი, მაშინ მივხვდი, რომ გადავამლაშე, გადავხედე გაოგნებულ სტუმრებს, ჩემი ხუმრობა ვერ გაეგოთ და სრული სერიოზულობით აღიქვამდნენ, ამიტომ დავიწყე სიტუაციის გამოსწორება.

– ძალიან უხასიათოდ მეჩვენეთ, აქ რომ მოხვედით,

– მერე! (გაცეცხლებული) - ვიფიქრე ვიზუმრებ მეთქი, თქვენი გუნების გამოსაკთებლად და, როგორც ჩანს, ეს არ გამომივიდა! ეს ამ სოფლის ძველი სასაფლაო! და ყურებამდე გავიღიმე. გაყინული ჰაერი გალღვა, ჯერ ერთი ღრმად ამოისუნთქა, მერე ჩაეცინა, თავი აქეთ-იქით გააქნია, შემდეგ გაღიმებულ ელიტას

მკაცრად გადახედა, ყველა დაშოშმინდა, ხელი გამომიწოდა, საინ-ტერესო იყო თქვენთან საუბარიო და ამერიკული ღიმილით გამიღიმა. ჯონ რაიანიც ღიმილით გამომემშვიდობა, ხოლო შეშინებული თარჯიშიანი გოგონა მოვიდა და:

– ვასიკო, ხომ მართლა არა გაქვთ ეგეთი კედელი, არა? -არა, რა სისულელეა, ჩემო კარგო, ვიხუმრე მხოლოდ, სიცილით ვეუბნები - ის კედელი დავანგრევინეთ.

– ვასიკოო!

– ვიხუმრე! ვიხუმრე! რა! ჩვენ მებაჟეები ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარს ვიცავთ და არა პოლიტიკურს, თან არ მიყვარს ზემოდან, რომ მიყურებენ.

p.s. მადლობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ბატონ ჯონ რაიანს საბაჟო სამსახურის გვერდში დგომისთვის.

# პრეზიდენტის ლიკა ზაზაშვილი

## ერთი ადამიანის ინიციატივით დაცყებული საქმის გაგრძელება

20 იანვარს უურნალმა „არავმა“ თავისი სიტყვა ასპინძის მუნიციპალიტეტში თქვა. ასპინძის სამუსიკო სკოლაში შეკრებილ საზოგადოებას „არავი“ უურნალის დამაარსებელმა და რედაქტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ წარუდგინა. უურნალის შინაარსსა და მნიშვნელობას კარგად ასახავდა სლაიდშოუ, რომელიც პრეზენტაციაზე იქნა ნაჩვენები. სლაიდებში წარმოდგენილი იყვნენ ის ავტორები, რომლებიც უურნალში იქცევდებიან და ადგილობრივი რედკოლეგის წევრებთან ერთად, შთამომავლობისთვის ფასდაუდებელ ისტორიას ქმნიან. ბატონმა მერაბმა დამსწრე საზოგადოებას უურნალის პრინციპებზე მოახსენა. აღნიშნა, რომ უურნალში მხოლოდ გამოუქვეყნებელი მასალები იქცედება. რედაქტორი უურნალის დაარსების ისტორიაზეც ესაუბრა საზოგადოებას. უურნალმა არსებობა 2016 წელს დაიწყო და ის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცემა. „ამ ტიპის გამოცემა სამხრეთ-საქართველოში არ ყოფილა“, - აღნიშნა მან. აქვედასძინა, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხასიათის გამოცემა „გულანი“ გამოიდიოდა, რომლის 20 წლები გამოიცა და გრძელდება მისი არსებობა. „გვინდოდა შეგვექმნა ახალი უურნალი, რომელიც იქნებოდა ლიტერატურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო-პოლულარული ხასიათის. ჩვენ ყოველთვიურად გამოვცემდით უურნალ „არავს“. „არავი“ სამხრეთულ ქარს, თბილ ქარს ნიშნავს“.

რედაქტორმა უურნალისთვის რთულ პერიოდზე - 2017 წელზეც ისაუბრა. „დაარსების პირველ წელს გამოვიდა 12 წლერი. 2017 წელი ცოტა რთული იყო უურნალისთვის. ეს წელი უნივერსიტეტისთვისაც გარკვეულწილად პრობლემური იყო და უურნალის გამოცემა შეწყდა. „არავი“ აღვადგინეთ 2018 წელს და

გამოიცა მისი ორი ნომერი. უურნალს იანვრიდან გამოვცემთ რეგულარულად, როგორც გამოვდიოდით“.

გაულერდა უურნალის შესახებ დამკვიდრებული ტრადეციაც, აღნიშნა, რომ უურნალს ჰყავს მეოხები. „ძალიან საინტერესო შემოთავაზებაზე წამოვიდნენ სპონსორები. ერთი ნომრის დამფინანსებელი შპს „ნათია-777“-ია. ასევე, უურნალი მენარმე იური მელიქიძემ დასპონსორა. ყველა თანამდებობა წარმავალია, ამიტომ, 100 ნლის შემდეგ, შეიძლება არავის გაახსენდეს ბევრი, მაგრამ „არავის“ ერთ გვერდზე დაფიქსირებული გვარი და სახელი სამუდამოდ დარჩება“.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლის სურვილი ძალიან ბევრმა გამოთქვა. უურნალის პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სასულიერო პირები, შემოქმედი თუ რიგითი ადამიანები ესწრებოდნენ. უურნალს მეობიც გამოუჩნდა. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ განაცხადა, რომ უურნალის ერთ ნომერს ასპინძის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. „მადლობას მოგახსენებთ, რომ პრეზენტაცია ასპინძაში გამართეთ. ვნახეთ, რომ ავტორთა ბევრი გვარი და სახელი სწორედ ამ მხარიდანაა წარმოდგენილი. დიდ საქმეს აკეთებთ, ბატონო მერაბ. მოსმენა იმისა, რომ თქვენ ამ საქმეში ანაზღაურებას არ იღებთ, ეს ორმაგად დასაფასებელია. ამიტომ, ჩვენი თანადგომა რაშიც იქნება საჭირო, ჩვენც მივიღებთ მონაბილეობას. მინდა სპონსორები გიმრავლოთ ლმერთმა. აქ დამსწრე საზოგადოება ეტყვის ახლობლებს, რომ ჩვენს პატარა მესხეთში, ჩვენი რეგიონის მნიშვნელოვან დაწესებულებაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის ასეთი მაღალი დონის უურნალი“.

მნიშვნელოვანი გახლდათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერძის პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვა. რექტორმა ისაუბრა იმ ფასეულობების შესახებ, რაც უურნალისთვის არის დამახასიათებელი. ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ უურნალი აქვეყნებს დაუბეჭდავ მასალებს. ამ თვალსაზრისით ის სერიოზულ საარქივო მასალას ქმნის. ასევე, „არავის“ არქივი ინახავს იმ ავტორთა და პროფესორთა ხელნაწერებს, რომლებსაც უურნალში დასაბეჭდად თავად გზავნიან. „უნივერსიტეტის ფუნქციას ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობაში, უნივერსიტეტს სურს

თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. ჩვენი სამქიანობის მთავარ ნაწილად მიგვაჩნია, საზოგადოებას ვემსახუროთ უურნალ „არავით“. მასალა ჩვენი გემოვნებით არის შერჩეული და გვინდა, რაც შეიძლება მეტი მკითხველი გაეცნოს მას. თუ იქნება კრიტიკული გამოხმაურება, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვინდა თანამშრომლობა შევთავაზოთ თითოეულ ადამიანს, ვისაც შეუძლია აიღოს კალამი ხელში. ეს ყველაფერი დაიწყო ბატონი მერაბის ინიციტივით. ერთი ადამიანის ინიციატივით და დღეს ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს „არავს“.

„არავის“ რედკოლეგიის წევრმა ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ, რომელიც უურნალში ემიგრანტული ბიუროს წევრია, პრეზენტაციაზე შემდეგი განაცხადა: „არავმა“ გააცნო საზოგადოებას საინტერესო ადამიანები და ამ პრეზენტაციის კადრებში ჩანდა ის ხალხი. მაგალითად, მინდა დავასახელო ბესო ადეიშვილი, რომელიც ამ კუთხიდანაა და ის შტუდგარდში, ერთ-ერთ ფირმაში არის ავტო დიზაინერი. ასევე, ზაზა წერეთელი, რომელიც ესტონეთში არის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი. ის ნორვეგიის სამეცნ კარის სამედიცინო მრჩეველია. უურნალმა ბევრი ასეთი საინტერესო ადამიანი აღმოაჩინა. კარგი იქნება, რომ „არავის“ ნომრები ვაჩქეროთ მუნიციპალიტეტის სკოლებს“, - აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

საინტერესო გახლდათ გაზიეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის ავთანდილ ბერიძის მისასალმებელი სიტყვა. ბატონმა ავთანდილმა საგამომცემლო საქმიანობის სირთულეებზე ისაუბრა და აღნიშნა თუ რა დიდი შრომა და ენერგია სჭირდება უურნალის მომზადებას. ამასთან, ბატონი ავთანდილი უმთავრესად მიიჩნევს თუ რა დაიბეჭდება უურნალში და როგორ მიიღებს მას საზოგადოება.

„უურნალმა „არავმა“ დღიდან გამოცემისა მოიპოვა საზოგადოების დიდი ყურადღება და სიყვარული. ამ უურნალის ყველა წარდგინებას დავესაზრი და მას ყველგან მაღალი შეფასება აქვს. სამცხე-ჯავახეთში მსგავსი უურნალის გამოცემა არის დიდი საქმე სულიერი თვალსაზრისით. ქართული სიტყვა არის ამ უურნალის საფუძველი. უნივერსიტეტი ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს. ბატონმა მერაბმა უნივერსიტეტში მუშაობა რომ დაიწყო, იქიდან წამოვიდა სამცხე-ჯავახეთში კულტურული აღორძინების ის დონე, რასაც

დღეს სზოგადოება წარმოადგენს. რომ არა ის უდიდესი შრომა, წარმოუდგენელი იყო ამ უურნალის გამოცემაც. ჩვენ გვეამაყება, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასეთ საქმეს აკეთებს“, - ბრძანა ბატონმა ავთანდილმა.

„ჩვენ ვუძღვებით ემიგრანტულ ბიუროს. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან გვყავს ქართველი ემიგრანტები, რომლებიც შემოქმედებით და არა მარტო შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან უცხოეთში. ასევე მკითხველს ვაცნობთ იმ ქართული სკოლების საქმიანობას, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ. მნიშვნელოვანია, რომ უურნალში ვძეჭდავთ ასპინძელი ემიგრანტების შემოქმედებასაც. მაგალითად, ზაირა კელოშვილის შემოქმედებას. ეს ქალბატონი ჩვენი რედკოლეგიის წევრიც გახდავთ საბერძნეთიდან. ქართველი ემიგრანტები მოუთმენლად ელიან, როდის მიიღებენ უურნალს. როდესაც აյ ძალიან გაუჭირდა „არავს“ გამოცემა და შეწყდა, ჩვენ ათენში გავაკეთეთ ამ უურნალის პრეზენტაცია. იქ თქვა „არავმა“ თავისი სიტყვა“, - აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა მაია ქუქჩიშვილმა.

აი, რა განაცხადა პრეზენტაციაზე იურისტმა ოთარ გოგოლაძემ: „მინდა მივესალმო დღევანდელ სტუმრებს. მოგვეცა იმისი შესაძლებლობა, გვეხილა ამ შესანიშნავი უურნალის პრეზენტაცია. ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯები ამ მხარეში უნივერსიტეტის ჩამოყალიბების, დამკვიდრებისა იყო უდიდესი ლვანლი. დღევანდელი დღე იმ დიდი ენერგიის, დიდი შემოქმედების, დიდი მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგია. დღევანდელი უურნალის პრეზენტაცია კიდევ ერთი ნათელი მაგალითა, რომ უნივერსიტეტში როგორი ენერგიით მიდის ის დიდი მუშაობა, რაც დაკავშირებულია ამ მხარესთან და საქართველოსთან“.

„დღეს განსაკუთრებული დღეა. მინდა მადლიერება გამოვხატო ასპინძის საზოგადოების მიმართ. ბატონმა მერაბმა უდიდესი სამსახური გაუნია ჩვენს კუთხეს და ბევრი ლირსშესანიშნავი საქმის ფუძემდებელია. ერთ-ერთი ამ საქმეთაგან „არავის“ გამოცემა გახდავთ. ბევრ ნიჭიერ შემოქმედს მისცა ამ უურნალმა მისი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა. ამ უურნალით გაგრძელდა ის საუკუნოვანი ისტორია, რომელიც დაიწყო ჩვენს მხარეში, თუნდაც ერთი საუკუნის წინ, როდესაც გამოვიდა ქართული უურნალ - გაზეთები“, - აღნიშნა რედკოლეგიის წევრმა, პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა.

„40 წელია ამ შენობაში პედაგოგს წარმოვადგენ. ძალიან ბევრი ლონისძიებები გვინახავს ამ დარბაზში, როგორც ლიტერატურული, ასევე სამუსიკო. ეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ლონისძიებაა. მადლობა ამ დღისთვის. ჩვენი სკოლა არის ვალერიან მალრაძის სახელობის. ბატონი ვალერიანი სამცხე-ჯავახეთში დაბრძანდებოდა, პატარ-პატარა ამ უურნალით პროზასა და პოეზიაში“, - აღნიშნა ასპინძის სამუსიკო სკოლის პედაგოგმა ეთერ ღამბაშიძემ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პრეზენტაციაზე მობრძანებულ სტუმრებს ტორტითა და ჭიქა ღვინით უმასპინძლა. მასპინძლებმა თავის მხრივ ფოლკლორულ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „ვარძია“ მოიწვიეს და მათ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს. ასეთ სასიამოვნო ნოტაზე დასრულდა „არავის“ პრეზენტაცია.

# ჩვენი ტინაპობრი

## ნანა მიქელაძე

დავიბადე 1994 წლის 6 ივნისს, ესწავლობდი ახალციხის პირველ საჯარო სკოლაში და კერძო სკოლა „მზექაში“. 2016 წელს დავამთავრე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 2018 წელს – ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით.



## ეპისტოლარული კანონიკა აღფონების ხითარიშვილის ცერილების მიხედვით

2017 წელს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონერები მაკა ბერიძე, მერაბ ბერიძე და როინ ყავრელიშვილი სტამბოლში სტუმრობდნენ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდს, ბიბლიოთეკასა და არქივს. „ვიზიტის მიზანი იყო ამ საარქივო მასალის გაცნობა და შემდგომში შესწავლა, რომელიც ფონდშია დაცული.“ - ვკითხულობთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<http://suni.edu.ge/index.php/ge/commonnews?start=130>). აღნიშნულთან დაკავშირებით შეხვედრა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 2017 წლის, 2 მაისს შედგა. „ქართველ კათოლიკეთა საგანის არქივის მნიშვნელობაზე, მუშაობის სპეციფიკასა და ზაზაძეების ოჯახის დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე ისაუბრეს პროფესიონერებმა: მაკა ბერიძემ და როინ ყავრელიშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ და დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შთაბეჭდილება სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა საგანეში არსებული არქივის შესახებ გაუზიარეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მენეჯერმა ციური ლაფაჩიმა და ასოცირებულმა პროფესიონრმა ნატო

ყრუაშვილმა.“ - წერია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ სტატიაში (<http://sjuni.edu.ge/index.php/ge/commonnews?start=130>). აღსა-ნიშნავია, რომ ამ დრომდე, აღნიშნული საარქივო მასალა ენობ-რივი თვალსაზრისით განხილული არ ყოფილა.

XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი მოვლენები პეტრე ხარისჭირაშ-ვილის თაოსნობით ვითარდებოდა სტამბოლში, მისსავე დაფუძნე-ბულ სავანეში, რომელსაც შემდგომში „ქართველთა სავანე“ უწო-დეს. სავანეში ხარისჭირაშვილმა არაერთი ახალგაზრდის განათ-ლებასა და იდეურ აღზრდაზე იზრუნა, მათ შორის ერთ-ერთი გა-მორჩეული ალფონს ხითარიშვილი გახლდათ.

მამა ალფონს ხითარიშვილი 1840 წლის თებერვალში, ხიზა-ბავრაში დაიბადა. ამის შესახებ ცნობებს ნატო ყრუაშვილის წიგნი – „სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვრები ხიზაბავრიდან“, გვაწვდის. მას ერისკაცობაში სიმონი რქმევია, ოჯახის ნამდვილი გვარი საყვარელიძეა.

ალფონს ხითარიშვილი მრავალი წლის განმავლობაში მოღვა-წეობდა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანეში, სადაც დაცულია მისი წერილები, რომელსაც ეპისტოლარულ ჭრილში განვიხილავთ.

მართალია, თანამედროვე სამყაროში ეპისტოლარულ სტილს ფართო გამოყენება აღარ აქვს, მაგრამ XIX საუკუნეში წერილების მიწერ-მოწერა კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო. შეიძლება, ერთმანეთთან დიდი მანძილით დაშორებული ადამიანე-ბისთვის ეს ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას წარმოად-გენდა. წერისას ადამიანებს უფრო მეტი დრო აქვთ ფიქრისთვის, ამიტომ მსჯელობა წინასწარ აწონ-დაწონილი და შემდეგ დაფიქსი-რებულია. შესაძლოა ამიტომაც იყო, რომ საუკუნების წინ შექმნილ ეპისტოლარულ ტექსტებში მეტი მოწინება, პატივისცემა, დაკვირვება და ფიქრი იგრძნობა. იმ დროს, ადამიანები ბევრად ფრთხილად გადმოსცემდნენ აზრებს და მეტად დაფიქრებულები უყვებოდნენ ერთმანეთს ამბებს. ეპისტოლარული სტილის ეპო-ქაში თავად წერის კულტურა დღევანდელთან შედარებით ბევრად განვითარებული იყო. იმდროინდელი საზოგადოებისთვის, წერილი არ იყო მხოლოდ ფურცელზე დაწერილი ამბავი. მის დაწერას სათანადო ცოდნა სჭირდებოდა, სადაც სათქმელი სტრუქტუ-რულად იქნებოდა აგებული. მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა

მისამლება, მოკითხვა, ძირითადი ნაწილი, დასასრული, დამშვიდობება, ავტორის ხელმოწერა, მისამართი და თარიღი. განსხვავებული სიტყვებითა და სტილით იწერებოდა წერილები იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ადრესატი. მეგობრისადმი და უფროსისადმი მიწერილი წერილები ერთმანეთისგან განირჩეოდა თხრობის სტილით. შინაარსობრივად კი წერილი შეიძლება ყოფილიყო თხოვნა, ახალი ამბის შეტყობინება, მიწვევა, მადლიერების გამომხატველი, რისამე დადასტურება, შეთავაზება, ან თუნდაც უბრალოდ რაიმე ემოციის სხვისთვის გასაზიარებლად დაწერილი ტექსტი. წერილები თავისი არსით, საოცარი ტექსტური ნიმუშებია. მათი წაკითხვისას ამა თუ იმ ისტორიის გაგების გარდა, მკითხველი გრძნობს ავტორის ემოციას, განწყობას და დამოკიდებულებებს. შესაძლოა ზოგიერთ წერილში ხმის ტემპრი და ინტონაციაც ამოვიცნოთ.

ეპისტოლარული ტექსტის ავტორი წერილებს თავად წიგნს უწოდებს. კერძოდ, ერთ-ერთ წერილში, რომელიც გავშიფრეთ, ვკითხულობთ: „ან მივიდეთ საქმესა ჩემსა ზედამ, მე ვითარცა მოგწერე, ივლისის 27 მივსწერე წიგნი თხოვნისა, და ან პირველსა ოქტომბრისა ძლივს პასუხი მოვიდა...“ (სტ. 7). ფრაზაში „წიგნი თხოვნისა“ სავარაუდოდ წერილი იგულისხმება. აქვე იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო კუთხე, რითაც მიწერილი წერილის შინაარსობრივი მხარეც ჩანს. იგი თხოვნის წერილი ყოფილა. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ XIX საუკუნეში წერილის ტიპები შინაარსის მიხედვითაც განირჩეოდა.

ალფონს ხითარიშვილი წერისას შემდეგი სახის მიმართვის ფორმებს იყენებს: „თქვენო მაღალ-ღირსებაო უდ~ ღირსეულო წინამძღვარო [?] მამაო ტრ~ პეტროს“

„უდ~ ღირსელად უდ~ მამაო ტერ პეტროს!“

„თქვენო მაღალ [არსებაო] უდ~ მამაო და [სასუედებელო] ჩემო.“

„თქვენო ღირსებაო უდ~ პატივდებულო მამაო და წინამძღვარო უდ~ ტერ პეტროს“

„უდ~ ღირსეულო წინამძღვარო უდ~ ტრ~ პეტროს“. აქვე, თვალსაჩინო ხდება ცალკე მდგომი მიმართვის ფორმა - „ტერ“, რომელიც იმდროისათვის კათოლიკე სასულიერო პირების მიმართ გამოიყენებოდა. 1986 წელს არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით გამოცემულ „ქართულ განმარტებით ლექსიკონში“ მიმართვის ეს

ფორმა შემდეგნაირად არის განმარტებული - „ტერტერა (ტერტერასი) (საუბ.)“ სომხთა მღვდელი“ (ჩიქობავა, ჭაბაშვილი 1986: 419). მიმართვას ადრესატის მოკითხვა მოსდევს: „უღირსი და უგბილი მე სიყვარულით მოგიკითხავ და ვითხოვ უწმინდესისაგან თქუენს მრავალ უამურსა ბედნიერსა და უვნო სიცოცხლესა ჩემდა სიქადულად.“ აქ, მოკითხვასთან ერთად ავტორის ადრესატისადმი კეთილი სურვილიც ჩანს - „ვითხოვ [?] თქუენს მრავალ უამიერსა ბედნიერსა და უვნო სიცოცხლესა, ჩუენ ყოველთა სასიქადულოდ.“ უშუალოდ მთავარი ამბის დაწერამდე, ორიოდე სიტყვით ავტორი თავისი ვითარების შესახებაც უამბობს ადრესატს: „ვუწყი რამეთუ მიკითხავთ მადლობა ღმერთსა აქამომდე ყოვლითურთ უვნოდ და მშვიდობით გახლივარ, გარდა ფრ [გახრთხმული] მრავალსა ფიქრებსა შა“ ზოგადი შესავლის შემდეგ, ავტორი მთავარი სათქმელის გადმოცემაზე გადადიოდა. წერილი ავტორის ხელმოწერით სრულდებოდა, ხელს აწერს: „ალფონს ხითარიშვილი“, რომელსაც თან თარიღი და ადგილმდებარეობის დასახელება ერთვის: „23/13 ივნისი 1866 ახალციხე“. სხვა წერილი ასე სრულდება: „6, ოკტომბრისა 1866 ტფილისსა“.

მოყვანილი მაგალითებით შეგვიძლია წერილის დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა და იმის თქმა, თუ როგორ იგებოდა ტექსტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია წერილის მთლიანობა დავყოთ შემდეგ ნაწილებად:

1. მისალმება/მიმართვა;
  2. მოკითხვა;
  3. ავტორის ამბის შეტყობინება (როგორ არის თავად ავტორი, რა სიახლე აქვს);
  4. მთავარი სათქმელი;
  5. წერილის დასასრული:
- ხელმოწერა,
  - თარიღი,
  - ადგილმდებარეობა.

საინტერესო იქნება პარალელის გავლება XIX საუკუნეში ქართულენოვან და ინგლისურენოვან ეპისტოლარულ მასალებს შორის. ამისათვის, მაგალითად მოვიყვანოთ სამოქალაქო ომის პერიოდში დაწერილი წერილები „CIVIL WAR LETTERS OF THE CHRISTIE FAMILY“ (<http://www.mnhs.org/library/christie/letters/0219651.php>) ეს

არის სამი ძმის მიმოწერა, რომლებიც ჩაირიცხნენ მინესოტას არმიაში „Light Artillery“. ომის განმავლობაში დაწერილი წერილები ერთი სტილით არის შექმნილი და წარმოდგენას გვიქმნის იმდოროინდელი ინგლისურენოვანი ეპისტორალური ჟანრის შესახებ. წერილები იწყება ადგილმდებარეობის მითითებით, შემდეგ არის თარიღი, მიმართვა, ძირითადი ტექსტი, დამშვიდობება და ხელმოწერა. შესაბამისად, ვლებულობთ წერილის ნიმუშის შემდეგ სქემას:

Fort Snelling, Minnesota  
Sunday, Feb. 19th 1865

My Dear Sarah  
ძირითადი ტექსტი

Yours Affectionately  
A.S Christie.

ქართულენოვანი ტექსტისგან განსხვავებით, ინლისურში ადგილმდებარეობით იწყება წერა და თარილიც წერილის თავშია მოქცეული. ქართულში, როგორც ვნახეთ, ალფონს ხითარიშვილი, ადგილსა და თარილს წერილის ბოლოს აფიქსირებს. მიმართვის ფორმა შედარებით მოკლეა და ადრესატის სახელითა და სასიყვარულო სიტყვით გამოიხატება: My Dear Sarah -ჩემმ ძვირფასო სარა. წერილის დასასრული ორივე ენობრივ სამყაროში ერთმანეთს ემთხვევა და, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ავტორი წერილის ბოლოს დასამშვიდობებელ ფრაზას იყენებს: „Yours Affectionately“, რაც ქართულად უდერს, როგორც შენი მოსიყვარულე. დამშვიდობებას ამ შემთხვევაშიც ხელმოწერა მოსდევს: „A.S. Christie - ა.ს კრისტი“. აქ, ავტორი იყენებს სახელის ინიციალებს და გვარს მთლიანად აფიქსირებს, მაგრამ გავიხსენოთ რომ ალფონს ხითარიშვილს სახელიც სრულად უწერია.

გარდა ამისა, ინგლისურენოვან ტექსტში მნიშვნელოვანია ფორმა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილი და თარილი აუცილებლად ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში იწერება ერთმანეთის ქვევით. შემდეგ, ერთი ხაზის გამოტოვებით ფურცლის მარცხენა კუთხეში იწერება მიმართვა, რომელსაც ახალი აბზაცით დაწერილი ტექსტი მოსდევს. წერილის ბოლოს ადგილი უკავია დამშვიდობებას და ხელმოწერას, რომელიც შეიძლება დავწეროთ ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში ან შუა ნაწილში.

ინგლისურენოვან მიმოწერაში განირჩევა მიმართვის ფორმები იმის მიხედვით, თუ ვინ არის ადრესატი. კერძოდ, 2003 წელს გამოცემულ „ინგლისური ენის სახელმძღვანელოში“ ლ. ებრალიძე გვაძლევს შემდეგ განმარტებას მიმართვის ფორმებთან დაკავშირებით:

- „Mr - ბატონი. იხმარება გვარებთან ერთად: Mr. White! - ბატონი უაიტ!
- Mrs - ქალბატონი. იხმარება გვართან ერთად და მიმართავენ გათხოვილ ქალს: Mrs White! - ქალბატონო უაიტ!
- Miss - ქალბატონი. იხმარება გვართან ერთად და მიმართავენ გაუთხოვარ ქალს: Miss White! - ქალბატონო უაიტ!
- Ms - ქალბატონი. იხმარება გვართან ერთად და მიმართავენ ქალს განურჩევლად ოჯახური მდგომარეობისა: Ms Smile! - ქალბატონო სმაილ!
- Sir - გამოიყენება თავაზიანი მიმართვისას გვარის გარეშე: Sir! - ბატონი!
- Madam - გამოიყენება გვარის გარეშე თავაზისნი მიმართვისას: Madam! - ქალბატონო! (ებრალიძე 2003: 27-28).

ამრიგად, ინგლისურში განასხვავებენ გათხოვილ და გაუთხოვარ ქალისადმი მიმართვის ფორმებს, რაც ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი. ქართულ ენობრივ სამყაროში არ მოიძებნება სპეციალური სიტყვები ოჯახური მდგომარეობის გამოსახატად. ასევე, ინგლისურში მიღებულია პიროვნებისადმი გვარით მიმართვა, მაგრამ ქართულში უფრო მეტად სახელით მიმართვის ფორმებია გავრცელებული.

ინგლისურ ენაში, განსხვავებულია დამშვიდობების ფორმები იმის მიხედვით, წერილის ავტორისთვის ნაცნობია თუ უცნობი ადრესატი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა არ ვიცით პიროვნების სახელი, რომელსაც ვწერთ, უნდა გამოვიყენოთ სიტყვა: „Faithfully-ერთგული“, ხოლო თუ ადრესატის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია, დავწერთ სიტყვას „Sincerely-გულწრფელი“. ქართულ ენაში ადრესატის ვინაობის ცნობა არ ცნობით არ განირჩევა მიმართვის ფორმები, რაც კიდევ ერთი ნიშნით განარჩევს ქართულ და ინგლისურ ეპისტორალურ მასალებს ერთმანეთისგან.

აქვე, საინტერესოა განვიხილოთ რუსულენოვანი წერილი და გავარკვიოთ ხომ არ იქონია ალფონს ხითარიშვილის წერის სტილზე გავლენა რუსული წერილის ფორმამ. ამისათვის, მაგალითად მოვიყვანოთ 1837 წელს მიხეილ ლერმონტოვის წერილი სტანის-ლავ რაევსკისადმი. წერილში ლერმონტოვს ფურცლის დასაწყისში და ცენტრში სათაურის მსგავსად მოცემული აქვს ადრესატის ვინაობა. კერძოდ, მისი ინიციალები და გვარი სრულად: „С. А. Раевскому“. შემდეგ ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხები წერია თარილი: „Тифлис, вторая половина ноября-начало декабря 1837 г“, რომელსაც მოსდევს მისალმება, რომელში წერილის ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებაც ჩანს: „Любезный друг Святослав!“. წერილის საწყის მახასიათებლებს მოსდევს ძირითადი ტექსტი, რომლის ბოლოს რუსულენოვანი ავტორი დასამშვიდობებელ ფრაზას ხელმოწერასთან ერთად იყენებს: „Вечно тебе преданный М. Лермонтов.“ ლერმონტოვის დაწერილი წერილის მიხედვით რუსული ეპისტოლარული ტექსტის შემდეგ სქემას ვიღებთ:

С. А. Раевскому

Тифлис, вторая половина

ноября-начало декабря 1837 г

Любезный друг Святослав!

ძირითადი ტექსტი

Вечно тебе преданный М. Лермонтов

წერილის მახასიათებლების განლაგება ფურცელზე, რუსულის-თვის და ინგლისურისთვის ერთნაირია, ხოლო ქართულ წერილში განსხვავებული ადგილები უჭირავს წერილის შემადგენელ ნაწილებს ფურცელზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალფონს ხითარიშვილის წერილებზე გავლენა არ იქონია, არც ინგლისურმა და არც რუსულმა ეპისტოლარულმა ტექსტმა, რადგან მამა ალფონსის წერილი სქემატურად განსხვავებულია უცხოენოვანისგან.

წერილების სტილისტურად განხილვისთვის უნდა ითქვას, რომ თავად სტილისტიკა ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და, შეიძლება ითქვას, მაშინდელი რიტორიკის თანამედროვე ვარიანტია. სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და სტილურ თავისებურებებს ცალკეულ სფეროში ფუნქციონალური (ფუნქციური) სტილისტიკა შეისწავლის. გამოყოფა შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური სტილები: სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი) (არაბული 2004: 191-192). აქ ჩამოთვლილთაგან, ალფონს ხითარიშვილის მიერ დაწერილი წერილები ოფიციალურ-საქმიანს განეკუთვნება. თუმცა, ადრესატისადმი კეთილგანწყობა და მეგობრული დამოკიდებულება ტექსტს აძლევს სასაუბრო სტილის ზომიერ ელფერს.

ქართულ ენაში შინაარსის მიხედვით წინადადება ხუთი ტიპის შეიძლება იყოს:

1. თხრობითი;
2. კითხვითი;
3. ძახილითი;
4. კითხვა-ძახილითი;
5. ბრძანებითი.

თუ შინაარსის მიხედვით, როგორი ტიპის წინადადებებს იყენებს ალფონს ხითარიშვილი მისსავე დაწერილ ეპისტოლარულ ტექსტში? წერილებში გვხვდება ორ შემთხვევაში ძახილის წინადადება, როგორსაც ბოლოს მისთვის დამახასიათებელი ძახილის წიშანი მოუდის. მაგალითად: „და ღმერთმან ნუ ჰქმნას თუ ეს ესრულ არის ფრიად ძნელი და გონჯი იქმნება ჩუენის საქმისათვის, და ამისათვის ვეჭობ რომ თვით არლოვსკი, რომლისადმიცა მიწერილობა ყოფილ იყოს, არ იყოს რომშიდგან კარდინალთან მიმწერი ამ საქმისა კაი კაცად გამოსულისათვის რომ [?] ნუ [?] არა რად შეემთხუართო!“ ძახილის წიშანს ავტორი კიდევ ერთგან იყენებს მიმართვისას: „მამა ტერ პეტროს!“. ჩვენს გაშიფრულ ტექსტში ძახილის წიშანი ამ ორი შემთხვევის გარდა არსად ფიქსირდება, ამრიგად გვხვდება მხოლოდ ორი ძახილის წინადადება. „ძახილის წინადადებას მთქმელის დიდი გრძნობა ახლავს. ამ ტიპის წინადადებისათვის ძირითადი სწორედ მთქმელის ემოციის მისი გრძნობის გამოხატვაა. წინადადებას ემოციურ იერს მეტწილად სპეციფიკური ინტონაცია აძლევს, რომელიც

ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით გრძნობითი ელფერი“ — (კვაჭაძე, 2010: 514). ლ. კვაჭაძის განმარტების მიხედვით, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ძახილის წინადადების გამოყენებით ალფონს ხითარიშვილი შეეცადა ემოციისა და დამოკიდებულების გამოხატვას მამა პეტრესადმი. კერძოდ, როცა იგი მიმართვისას იყენებს ძახილის ნიშანს და წერს: „მამა ტერ პეტროს!“ - ამით იგი მასწავლებლისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას შეიძლება გამოხატავდეს. კითხვითი ან კითხვა-ძახილითი წინადადებებს ალფონს ხითარიშვილი ჩვენს ხელთ არსებულ წერილებში არ იყენებს.

# ლიტერატურა

## ოთხებ გიქოშვილი

დავიბადე 1962 წელს ქ. ახალციხეში. 1992 წელს დავამთავრე თსუ ფილოლოგისა ფაკულტეტი. ვმუშაობ ახალციხის დამოუკიდებელი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ვარ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქტორ საბჭოს წევრი, ამავე გაზეთში გამოქვეყნებული მაქს ლიტერატურული წერილები და ხალხური პოეზიის ნიმუშები.



## ისტორიული ნარსული გიორგი შატჩერაშვილის პროზაში

საქართველოს ისტორიული ნარსული მრავალ მწერალს იზიდავდა თავისი საინტერესო ამბებით. ძნელად მოიძებნება მწერალი, რომელსაც ისტორიაში არ გადახედოს და არ ესინჯოს თავისი შემოქმედებითი ძალა ამ მიმართულებით. ისტორიული ნარსულის მართებული შეფასება ისტორიკოსებთან ერთად მწერლების ვალიცაა. მხატვრული სიტყვის ოსტატნი ვალდებული არიან ობიექტურად ასახონ გარდასულ ეპოქათა რეალობა. ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები პასუხობენ თანამედროვეობის მწვავე პრობლემებსაც ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ნარსულის სოციალურ-პოლიტიკური, ან იდეურ-ეთიკური საკითხები თანამედროვეობის პრიზმაშია გადაჭრილი. ნარსულის ასახვა ეროვნული გრძნობის გაღვივებას, სამშობლოსთვის თავდადების იდეას უნდა ემსახურებოდეს.

ქართულ ლიტერატურას მუდამ ჰქონდა შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაში მოენახა თნამედროვეობისთვის საინტერესო მასალა და აესახა მხატვრულად ისე, რომ რეალობა არ შეებლალა. ნარსულის სინამდვილის ასახვისას მწერალმა იცის,

რომ ისტორია არ საჭიროებს შელამაზებას და არც გაყალბებას. გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი ზოგჯერ რომანტიკოსი მწერლის მანერას წააგავს, თუმცა ამ კუთხით დაწერილ პროზაულ ნაწარმოებებში ვხვდებით სინამდვილით ნასაზრდოებ სურათებს. გიორგი შატბერაშვილის ისტორიული პროზა უაღრესად ეროვნულია, ხოლო პერსონაჟები ცნობილი ისტორიული პირები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს.

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთი ძირითადი თემა სწორედ, საქართველოს ისტორიული წარსულის ჩვენებაა. მისი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: მწერალი არ აიდეალებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და არც მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი ისტორიულ სინამდვილეში ხედავს კარგსაც და ცუდსაც, თუმცა მიზნად არ ისახავს გარდასულ ეპოქათა მოვლენებისა და ფაქტების ზედმიწევნით აღწერას. მისთვის არსებითია გვიჩვენოს რომელიმე კონკრეტული ეპოქის განმსაზღვრელი თავისებურებანი. მიუხედავად ამისა, გ. შატბერაშვილის ისტორიულ თამზე შექმნილ თხზულებებში მკაფიოდ იკვეთება ძველი საქართველოს წარმატებები და ნაკლოვანებები, ქართველი ხალხის სიხარული და მწუხარება. ეროვნული განცდით დაწერილი ისტორიული ხასიათის მოთხოვნები არ შეიცავს რაიმე გადასაჭრელ პრობლემას, მწერლისთვის მთავარია თანამედროვეებს უჩვენოს წინაპრების თავდადება სამშობლოსთვის.

გიორგი შატბერაშვილი ახალგაზრდობაშივე გაიტაცა ისტორიულმა თემამ და მხატვრული შესაძლებლობი სრულყოფილად, ამ კუთხითაც გამოავლინა. პროფ. სარგის ცაიშვილი წერს: „მრავალფეროვანია გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზა. იგი ჩვენი ისტორიის უბადლო მცოდნე იყო და ხელშესახებად გააცოცხლა კიდეც წარსულის სურათები“ (ცაიშვილი, 1986:197). მწერალმა საქართველოს ისტორიული წარსული ასახა რამდენიმე მოთხოვნები, მაგრამ მთლიანად არ მოექცა გარდასულ ეპოქათა ტყვეობაში და არც ისტორიული ხასიათის თხზულებები დაუმსგავსებია მხოლოდ მშრალი მატიანესთვის. გიორგი შატბერაშვილმა საინტერესოდ გააცოცხალ ჩვენი ქვეყნის წარსულის სურათები. მან ქართლის ერისთავის ნერსეს („აბოს წამების ათი დღე“),

თამარ მეფის („0მ1რუდე ხის ჩრდილი”), ვახტანგ მეექვსის („ვახტანგიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი”), იმერეთის მეფის სოლომონ I-ის („სამეფო ბეჭედი”), გიორგი სააკაძის („გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“), გიორგი მეთერთმეტის („გიორგი მეფის სამძიმარი“), ილია ჭავჭავაძის („საუკუნო საგზალი“), ეპოქათა დახატვით მომავლის სწორი განჯვრეტა უკარნახა მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას.

გიორგი შატბერაშვილის მიერ გაცოცხლებული ისტორიული გმირები როგორც ლიტერატურულ თხზულებებში, ისე გამოკვლევებში, ახლებურ სიცოცხლეს იძენენ და თანამედროვეთა სამსახურში დგებიან. ისინი საზოგადოებას ჩააგონებენ წარსულისადმი პატივისცემის გრძობას, ერისა და ქვეყნის სიყვარულს.

გიორგი შატბერაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი რომელიმე ეპოქით როდია დაინტერესებული. მისთვის ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა დრო თანაბრად საინტერესოა, დაწყებული VIII–IX საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. მისი შემოქმედებითი ფანტაზია ყველა საუკუნეს ეხმიანება, რაშიც მნერალს საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნაც უწყობს ხელს. ჯერ ერთი, რომ იგი პროფესიით ისტორიკოსია (1932წ. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი) და მეორეც, გ. შატბერაშვილი ახლოს იცნობს მდიდარ ისტორიულ მასალას საქართველოს წარსულის ცალკეული ეპოქების შესახებ. მისი აზრით, ერის არსებობისთვის აუცილებელი პირობაა წარსულის ღრმად შესწავლა, ერმა თავისთავადობა რომ არ დაკარგოს, თანამედროვე ცნობიერება წარსულზე უნდა ააგოს და მასთან გონივრული კავშირი დაამყაროს. ამ კავშირით ერმა თავისი მომავალიც უნდა განსაზღვროს. ერის ჭეშმარიტი შევილი ის არის, ვისაც შეუძლია ანშეყოს დაკავშირება წარსულის საუკეთესო ტრადიციებთან. გიორგი შატბერაშვილი წერს: „ადამიანის ყველაზე დიდი სიბრძნე წარსულთან და მომავალთან გონივრული კავშირის დამყარებაში მდგომარეობს. წარსულის ახსნა და მომავლის გათვალისწინება არის ის გზაჯვარედინი, სადაც ბევრი ადამიანი იბნევა და გაურკვევლობის ულრანში მიაბიჯებს, ცდება და იტანჯება“ (შატბერაშვილი, 1975:86).

გიორგი შატბერაშვილი ისტორიულ თემაზე შექმნილ თხზულებებში მხატვრული ოსტატობით აღწერს საქართველოს წარსულის

სხვადასხვა მონაკვეთს. მისთვის ყველა დრო თანაბრად საინტერესოა. მწერლის გონიერა ადრეფეოდალურ საქართველოს სწოდება, რომლის ნიმუშია დაუმთავრებელი რომანი „აბოს წამების ათი დღე“ (1960წ.). უცხო ტომის შვილის – არაბი აბოს თავდადება საქართველოსთვის და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის, რომელიც მხატვრული ოსტატობითაა ასახული აღნიშნულ თხზულებაში, კიდევ ერთხელ გაახსენებს მომავალ თაობას ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულს, მის სინამდვილეს. როგორც ვთქვით, წანარმოები არ არის სრული სახის, იგი დაუსრულებელია. „აბოს წამების ათი დღე“ იწყება პირველი კარით, რომლის ქვეთავია „პირველი დღე“. ეს გარემოება გვაფიქრებინძს, რომ გიორგი შატბერაშვილს განზრახული ჰქონდა მომავალი რომანი რამდენიმე კარისგან შეედგინა, სადაც აბოს საპყრობილები ყოფნის ცხრა დღე თანმიმდევრობით იქნებოდა ასახული, თუმცა მწერალმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალი გიორგი ხორგუაშვილი წერს: „ვრცელ რომანად განზრახული „აბოს წამების ათი დღიდან“ ერთი დღის დახატვაც ვერ მოასწრო. რამდენი შრომა დახარჯა ამ სარომანე მასალების შეგროვებასა და შესწავლისათვის, ფაქტიურად შექმნილი ჰქონდა ზეპირად, მხოლოდ ქალალდზე გადატანადა იყო საჭირო. ერთი რიგიანი ჩაჯდომა, ერთი რიგიანი შეტევა და უძვირფასესი რომანი დაიბადებოდა, მაგრამ ვაგლას, რომ ის ერთი შეტევა ვეღარ მოასწრო...“ (ხორგუაშვილი, 1990:120). მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „აბოს წამების ათი დღე“, არაა დამთავრებული, ერთი საინტერესო თხზულებაა მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პროზაში, სადაც აბოს წამებასთან ერთად აღნიშრილია VIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს როული პოლიტიკური მდგომარეობა არაბთა ბატონობის დროს: „წინ ედო აბო თბილელის ამბავი, კიდევ ერთი საჯილდაო ქვა ედო წინა, წინ ედო და დასტანებოდა... საძიებელი აღარაფერი ჰქონდა, დასტანებოდა ეპიკოსის მკლავებითა. თურმე დამთავრება აღარ ეწერა აბოს რომანსა. დარჩა რამდენიმე ფრაგმენტი, დაიკარგა ახლებურად გააზრებული ხასიათი, დაიკარგა დიდი ფიქრი ადამიანზე, რომელიც აღამალლა რწმენამ“ (შატბერაშვილი, 1970:17-18).

„აბოს წამების ათი დღის“ მიხედვით, VIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაშია, არაბ-თაგან დაპყრობილი ქართველობა სულიერი გადაგვარების გზაზე იდგა, როგორც „აბო ტფილელის წამების“ ავტორი იოანე საბანისძე შენიშნავს: „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (ყუბანეიშვილი, 1946:57). ასეთ გარემოებაში ტფილისში გამოჩნდა ეროვნებით არაბი და სარწმუნოებით მაჰმადიანი აბო, რომელსაც გული ქრისტეს სიყვარულით უცემდა. ირკვევა, რომ ბალდადიდან მოსული აბოსთვის არაფერს ნიშნავდა მშობლიური ქვეყნისა და ახლობლების მიტოვება თუ სხვაგან უფრო შეძლებდა ქეშმარიტ სარწმუნოებასთან ზიარებას და მისდამი თავდადებულ სამსახურს. იოანე საბანისძის მსგავსად გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებში მოხსენებულია რამდნეიმე ისტორიული პირი: ქართლის ერისთავი ნერსე, მისი დისწული სტეფანოზი და „აფხაზეთის“ მთავარი. ასევე აღსანიშნავია მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული პერსონაჟები. ყურადღებას იპყრობენ სოფ. მუხათვერდელი ძმები, შიო და ქუცნა უკანბერიძეები, რომელთაგან უფროსი შიო, ქეშმარიტი ქრისტიანია, ხოლო ქუცნა მოღალატეა, მაჰმადიანობა აქვს მიღებული და არაბების სამსახურში დგას: „შიოს უმცროს ძმას, ქუცნა უკანბერიძესაც ქართული ჩოხა აცვია, მაგრამ ურჯულოების კაცია. საქმე ის არის ჩოხის ქილებქვეშ რა გული უცემს კაცსა“ (შატბერაშვილი, 1972:526).

გიორგი შატბერაშვილი აღწერს იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც VIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოსთვის აშკარაა. მართალია, ქართველი „ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (ყუბანეიშვილი, 1946:57), მაგრამ რამდენადმე მაინც უწევენ წინააღმდეგობას არაბ დამპყრობლებს. მტრის წინააღმდეგ პროტესტის ფორმა გამოვლინდა ხალხის თანადგომაში მარტვილი აბოს მიმართ. ნათქვამთა მეტი დამაჯერებლობა რომ შეიძინოს საკმარისია აღვნიშნოთ „აბოს წამების ათი დღის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, შიო უკანბერიძის თავდადება მისთვის სრულიად უცხო ქაბუკისთვის, რომელიც ურემზე დამალა და სცადა ქალაქიდან გაეპარებინა. შიომ, არაბი აბო გადაარჩინა შეპყრობას, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა დილეგში, რომლის ზედამხედველი თავისი ძმა, გამაჰმადიანებული ქუცნა იყო. იოანე საბანიძის თხზულებიდან

ცნობილია, რომ დილეგში აპოსტან ერთად ისხდნენ სხვა ქრისტიანი პატიმრები, თუმცა მათი ვინაობა გაურკვეველია. გიორგი შატბერაშვილი „აპოს წამების ათ დღეში“ ხატავს ამ პატიმართა სახეებს. ისინი არარეალური, გამოგონილი პერსონაჟები არიან. იაბერა სოფ. წილკნიდანაა, ფანდრე — სოფ. კავთაიანიდან, ხოლო მოხუცი ლაზარე, სოფ. თელეთიძან. მათი საერთო საზრუნავი მშობლიური ქვეყანაა, არაბთა ბატონობისგან თავის დაღწევაა. გ. შატბერაშვილი დაწვრილებით აღნერს აპოს წამების უკანასკნელ მეათე დღეს, მის თავგანწირვას ქრისტიანული სარწმუნოებისთვის და ბოლოს, მოწამეობრივ აღსასრულს.

იოანე საბანისძის თხზულებისგან განსხვავებით, გიორგი შატბერაშვილი სხვაგვარად ხატავს აპოს დასჯის სცენას, რომლის მიხედვით ჯალათმა მახვილი არა კისერზე, არამედ ზურგში ადგერა. სიკვდილის წინ მარტვილს მხრებზე ჯვარი გამოესახა, რამაც უფრო შთამბეჭდავი გახადა მისი აღსასრული. გ. შატბერაშვილის რომანის მიხედვით, აბო მეგობრობდა ქართლის ერისმთავრის — ნერსეს ვაჟთან (თხზულებაში არ ჩანს მისი სახელი), რომელსაც ტფილისის ამირა მძევლად უპირებდა გავზავნას ბალდადში. აბომ ერისმთავრის ძე იხსნა განსაცდელისგან და ქალაქიდან გააპარა, რითაც ყოფილი თვისტომინი განარისხა. „აპოს წამების ათ დღეში“ აპოს სიკვდილის დასჯის ერთ-ერთი მიზეზი გარდა გაქრისტიანებისა, ნერსეს ვაჟთან მეგობრობაცაა. გიორგი შატბერაშვილი გაოცებულია აპოს გმირობით და წერს: „რა ვუყოთ, რომ მისი სიჭაბუკე გათავდა... სამაგიეროდ მისი სახელი მისწვდება მთელს ქართლსა და კოლხეთს, ტაოს და კლარჯეთს... მისი ამბავი მისწვდება გრიგოლ ხანძთელის ყურს... მაგალითად იქცევა“ (შატბერაშვილი, 1972:55).

გიორგი შატბერაშვილისთვის არაა მთავარი წარმოაჩინოს მხოლოდ აპოს პიროვნება ან მისი ტრაგიული აღსასრული და ამით დაკმაყოფილდეს. მისთვის არსებითია ახსნას არსი და მნიშვნელობა აპოს მარტვილობის. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა მწერალს, როცა წერდა: „საკმარისია მხატვრის ძლიერი და ჯიუტი სურვილი, ხელის ერთი გაბედული მოქნევა და ამ წამებული წმინდანის სხეულს უმაღ მოშორდება თალხი, რომელიც ეკლესიამ მის მაღალ მხარბეჭს მოახვია... აბო გაშიშვლდება და ჩვენს თვალწინ აღიმართება ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი,

ახოვანი სულით და ხორცით, რომელსაც ცხრა დღე და ღამე წამების შემდეგ, სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამგზის აძგერეს მახვილი, ეგებ სამიოდ სიტყვა ეთქმევინებინათ, მაგრამ ამაოდ... იგი ქვის კაცი... „დუმილით მხნედ მიითუალვიდა მახვილსა...“ (შატბერაშვილი, 1972:555).

ჭეშმარიტი მწერალი თავისი დროის მხატვარია, მაგრამ მისთვის ასევე არსებითია ერის წარსული, მისი ისტორია. ამიტომაა, რომ ისტორიული თემა მუდამ აქტუალური იყო ქართული ლიტერატურისთვის. მწერლის მიერ წარსულის მხატვრულად აღდგენა ნიშნავს წინაპართა სახეების ისეთ გაცოცხლებას, რომორიც თანამედროვე გმირების. გოორგი შატბერაშვილი წარსულის ქრონიკებს ხშირად იყენებს რომელიმე ისტორიული პირის ან საზოგადო მოღვაწის წარმოსაჩენად. მისი მიზანია, რეალისტურად ასახოს წინაპრების თავდადება ერისა და ქვეყნის წინაშე, თუმცა არ ერიდება ამხილოს სამშობლოს ორგულნი და მოღალატენი, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის მეოცნებე ფეოდალები. მოთხრობაში „მრუდე ხის ჩრდილი“ (1943წ.), მხილებულია თამარის სამეფო კარის ერთ-ერთი წარჩინებულის, აბულასანის ძე, გუზან ტაოელი.

თხზულებას ეპიგრაფად წამდვარებული აქვს თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსის სიტყვები — „მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად“ ... (შატბერაშვილი, 1960:203). მოთხრობის მოქლე შინაარსი ასეთია: თამარის სამეფო კარის ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი, განდგომილი ფეოდალი გუზან ტაოელი, შვიდი დღე-ლამის განმავლობაში დაეხეტებოდა ვარძის ახლო სოფლებში. იგი მესხმა მთიბავებმა შეიპყრეს და ტყვედ-ქმნილი დავით სოსლანს მიჰვარეს ვარძიაში, რომელსაც ვერ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა თუ არა უკვე რამდენჯერმე შეწყალებული გუზანი: „სანამ სისხლის სუნი ტრიალებს, უნდა დაისაჯოს განდგომილი, ბილნი გუზანი. დრო რისხვას აქრობს, ცეცხლს ანელებს, ჭრილობებს აშუშებს... ვაი თუ კიდევ შეუნდოს თამარმა? ეხლავ უნდა მიეზღოს საკადრისი მოღალატეს“ (შატბერაშვილი, 1960:267). დავით სოსლანის ბრძანებით გუზანს თვალები დაუშანთეს და დილეგში ჩააგდეს. თავად დავითმა მოახსენა ისანში მდგომ მეუღლეს გუზანის შეპყრობის ამბავი. ჩაფიქრდა თამარ, წუთით გაახსენდა ბავშვობა, გუზანთან გატარებული

სიყმანვილე, მაგრამ საქვეყნო საქმე უფრო მაღლა იდგა. „უნდა წარიკვეთოსო ხე მრუდი, რათა განქრეს აჩრდილიც მისი“ (შატბერაშვილი, 1960:208) — ბრძანა თამარმა. „მრუდე ხის ჩრდილის“ ძირითადი იდეა ქვეყნის ერთგული სამსახური, მეფისადმი თავდადებაა. ამას ნათელყოფს მესხი გლეხების საქციელი, როცა შემთხვევით უმასპინძლეს მოღალატე გუზანს და შეიცნეს თუ არა, შეიპყრეს. დაუფასა თამარმა ამაგი ერთგულ ყმებს: „-ებოძოთ აზნაურობა და გუზანის მიწა-წყალი, კეთილ არს წყალობა მეფეთა ერთგულთა ზედა!“ (შატებრაშვილი, 1960:207).

საქართველოს ისტორიული წარსულის საინტერესო ფურცელი იშლება მოთხრობაში „სამეფო ბეჭედი“ (1946 წ.). თხზულებას პირველად „სახელმწიფო ბეჭედი“ ერქვა და ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების კრებულში 1954 წელს (იხ. გ. შატბერაშვილი „მოთხრობები“, თბ., 1954, გვ. 252). ამ გამოცემის შემდეგ მწერალმა მოთხრობას სათაური შეუცვალა და „სამეფო ბეჭედი“ უწოდა. წაწარმოებში ასახულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის მეფის სოლომონ I —ის (მეფობდა 1752-1784 წლებში) ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მოქმედება ვითარდება 1757 წლის ხრესილის ომის ფონზე. ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ხელისუფლება საკმაოდ გაძლიერდა და მიზნად დაისახა ქვეყნის გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობა მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთის ხონთქარს და 1757 წელს დიდი მხედრობა წარმოგზავნა ქართველი მეფის წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ხრესილის ველზე (დღევანდელ ტყიბულთან; ს.გ.), სადაც მტერი სასტიკად დამარცხდა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მცდელობამ და ქართველთა თავდადებამ ოსმალეთი აიძულა ხელი აეღო დასავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობასა და განადგურებაზე. „სამეფო ბეჭედს“ საინტერესო ეპიგრაფი აქვს წამძღვანებული, სადაც ვკითხულობთ: „ცნობილია სოლომონ მეფის ორი სახელმწიფო ბეჭედი. ერთს აწერია: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“... ხოლო მეორეს: „დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ...“ (შატებრაშვილი, 1954:255). იმერეთის მეფე თხზულებაში წარმოვიდგება, როგორც ერისა და ქვეყნის მოამაგე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. სწორედ სოლომონი იყო პირველი, ვინც წინ აღუდგა

დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სამარცხვინო ვაჭრობას. მეფემ იცის, რომ მტრის გარემოცვაში მყოფი სამშობლო სავალალო მდგომარეობაშია. ერის მძიმე სვედრით შეწუხებულ მეფეს გ. შატბერაშვილი ათქმევინებს: „-რაღა ვართ, -წაიდუდუნა სოლო-მონმა- ჩიად ვიქეცით... იქ ერეკლეს ანამებენ სპარსი, აქ ჩვენ თურქი... ქუთაისსა, ბალდადსა, შორაპანსა და ცუცხვათში თურქთა რაზმები დგას, ქვეყანას მიოხერებენ, ქალ-რძალსა და ლამაზ ვაჟებს მტაცებენ, მტერიც შინ მიზის და მოღალატეც... როსტომ, დავითი და ბიძაჩემი ლევან აბაშიძე ტახტს მირყევენ... რაღა ვართ, რაღა?” (შატბერაშვილი, 1954:255). „სამეფო ბეჭედ-ში” სოლომონ I-ის გვერდით დგას და იპრძვის მისი ერთგული ქვეშერდომი ოქრომჭედელი ბეშქენი. ისინი სიყრმიდანვე თან-შეზრდილი და განუყრელი მეგობრები არიან. მიუხედავად სხვა-დასხვა სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობის, მეფე და ქვეშევრდომი მოქმედებენ ერთიანი პრინციპით „მითხარ ყოველ-თვის მართალი” (შატბერაშვილი, 1954:254). თუმცა იციან, რომ „სიმართლე ზოგჯერ საწყენია, გულს შხამით ავსებს, ასევდია-ნებს...“ (შატბერაშვილი, 1954:254). ოქრომჭედელი გულმოგდინედ ადევნებს თვალყურს მეფის თითოეულ ნაბიჯს, მის გადაწყე-ტილებებს და ცდილობს სწორი არჩევანის წინაშე დააყენოს. ბეშქენი ჭეშმარიტი ოპტიმისტია, სჯერა, რომ თავისი სამშობლო დახსნის თავს მაჰმადიანური წარლვნისგან. ამის დასტურად ბეშქენმა ხრესილთან ომამდე საგანგებოდ მეფე სოლომონისთვის ჩამოასხა ახალი სამეფო ბეჭედი წარწერით „დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ“ (შატბერაშვილი, 1954:261). ბეშქენმა სამეფო ბეჭედი დიდხანს ატარა ჩოხის საი-დუმლო ჯიბით, თუმცა მის გადაცემას პატრონისთვის არ ჩქა-რობდა: „-მაგის დროც დადგება... საჩუქარს თავის დროზე მიი-ღებთ, ოღონდ მალე დაგედალოთ მტერთა და მოღალატეთა ზურგი“ (შატბერაშვილი, 1954:254). გიორგი შატბერაშვილი თხზუ-ლებაში აღწერს სოლომონ I-ის მიერ ლაშქრის დალოცვას ბრძო-ლის წინ, ხოლო შემდეგ ომის ბატალურ სურათებს წარმოგვიდ-გენს. მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები ქართველი მხედრების თავდადება ბრძოლაში, თვით მეფის ფიცხელი ომი მეტოქესთან, ბრძოლა მოღალატე რაჭის ერისთავ — როსტომთან, თურქთა სარდალ ალი ფაშასთან. მოთხოვთაში ვკითხულობთ: „ირგვლივ

ბრძოლაა, ისმის ხმლის ჩახაჩუხი, დაჭრილი ცხენების ჭიხვინი, ვაჟკაცთა ყივილი... თურქთა ილ-ალაპ, ქართველთა ყიუინა” (შატბერაშვილი, 1954:256). ამაღლვებელია ბეშქენის თავგანწირვა მეფისთვის, როცა მტრის ნასროლ ტყვიას მკერდით აეფარა და ბავშვობის მეგობარი გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა: „ბეშქენმა ხელი იტაცა მკერდზე და პირქვე დაეცა. რომ გამოფხიზლდა და თავი ასწია, ალარც მეფე ჩანდა, ალარც თურქი ... გადარჩა ალბათ, გადარჩა მეფე. მისთვის დამიზნებული ტყვია წვავს ახლა ერთგული ყმის სიცოცხლეს“ (შატებრაშვილი, 1954:257). მწერალი აღტაცებულია ქართველთა გმირობით, თუმცა იქვე დაუნდობლად ამხელს მოღალატეებს, რაჭის ერისთავს - როსტომს და სოლომონ I-ის ბიძას ლევან აბაშიძეს. ხრესილის ველზე სოლომონმა სასტიკად სძლია მტერს, ხოლო მოღალატე ლევან აბაშიძე მესხმა გეგელა თევდორაძემ განგმირა, რითაც საქვეყნოდ გაითქავა სახელი. უფრო მეტიც, მეფემ მესხ ჭაბუქს აზნაურობა უბოძა, რაც ბეშქენ ოქრომჭედლის მიერ ახალადჩამოსხმული ბეჭდით დაამტკიცა: „მეფემ ბრონეულის ყვავილისფერ ხავერდში გახვეული რამ ჩამოართვა მხედარს. მიხვდა. გულმა უგრძნო, გახსნა... უცხო, ჩინებული ოქროს ვარაყით შემკული სამეფო ბეჭედი შერჩა ხელში. დააშტერდა. გულის თრთოლვით ამოიკითხა ერთგული ოქრომჭედლის ნახელავი: „,დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ...“ (შატბერაშვილი, 1954:261).

„სამეფო ბეჭედი“ საინტერესო შინაარსის, ისტორიული წარსულის ამსახველი მოთხოვბაა, თუმცა მისი ღირსება მხოლოდ ამით არ ამოინურება. აქ მთავარია, რომ ავტორის იდეური ჩანაფიქრი სავსებით შეეფერება თხზულებაში აღნერილ ამბავს და თვით თხოვნის მანერას, ხოლო როგორც კრიტიკოსი ვლადიმერ ჯიბუტი აღნიშნავს, „თუ ფორმა შეესატყვისება იდეას და იდეა გამოთქმულია ნათელი ფორმით, მაშინ ნაწარმოები შესანიშნავია მომავალი თაობის თვალსაზრისითაც“ (ჯიბუტი, 1973:110).

გიორგი შატბერაშვილის აზრით, სოლომონ I როგორც პირვნება და როგორც მეფე, სამაგალითო იყო ხალხისთვის, პირველ რიგში, ქართველი მხედრობისთვის. ხალხმა თავდადებული მეფის ღვანწლი ღირსეულად დააფასა, მისი ხსოვნა სამუდამოდ ჩაიმარხა გულში, ხოლო სახელი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშად აქცია.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ყუბანეიშვილი, 1946: ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ნან. I; თბ; 1946.
2. შატბერაშვილი, 1954: შატბერაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1954.
3. შატბერაშვილი, 1970: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, თბ., 1970.
4. შატბერაშვილი, 1977: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, თბ., 1977.
5. ხორგუაშვილი, 1990: ხორგუაშვილი გ., მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე, უურნ. „მნათობი“, თბ., 1990., N5.
6. ჯიბუტი, 1973: ჯიბუტი ვ., წერილები, მოგონებები., თბ., 1973.

# ბარლის პროცესითი

## ლელა თელიაშვილი

**სკოლა და უნივერსიტეტი ჩვეს ცხოვრებაში, ანუ  
გზა მოსწავლეობიდან პედაგოგიკამდე**

წელს ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას ვამთავრებ. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტში გატარებული განსაკუთრებით ეს ბოლო ორი წელი, ცხადია, ბაკალავრიიატთან ერთად, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

ქალაქ ვალის მეორე საჯარო სკოლა დავამთავრე წარჩინებით 2008 წელს. თუ რამე დამაინტერესებდა, სილრმისეულად ვსწავლობდი ყველაფერს. განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგნების მიმართ ვიჩენდი დიდ ინტერესს, მსიამოვნებდა მშობლიური ენა-ლიტერატურის, ისტორიის და ენების სწავლა, ამიტომ, როცა უნივერსიტეტში ჩაბარების დრო დამიდგა, ბევრი არ მიფიქრია, არც სასწავლებელზე და არც ფაკულტეტზე, ქვეცნობიერად ბავშვობიდან ყოველთვის მასწავლებლობა მინდოდა, აი, ისე, ჯერ კიდევ ბავშვიც რომ თამაშის დროს პედაგოგის როლს ვირგებდი, მხიბლავდა მისი სტატუსი და საქმიანობა. სიმართლე რომ გითხრათ, არც არასოდეს წარმომედგინა თავი იურისტად, ბანკის თანამშრომლად ან რაიმე ოფისის მენეჯერად, ჩემს თავს ყოველთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვხედავდი.

ამავე წელს ახალციხის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ბაკალავრიატის ოთხი, მართლა რომ ნაყოფიერი და დაუკინებარი წელი, აქ გავატარე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მახსოვს, თავიდან ძირითად სპეციალობად ქართული ფილოლოგიას ვფიქრობდი, იმიტომ, რომ



მიყვარდა და მქონდა უნარი მისი შესწავლის, თუმცა, როცა პროფესიის არჩევის დრო დამიდგა, რატომღაც უცხო ენით დავინტერესდი, ვიფიქრე, ენას უფრო გამოვიყენებ-მეთქი, მაგრამ ქართული ფილოლოგია მაინც მეორე სპეციალობად დავიტოვე. რომ მკითხონ, როგორ გაიხსენებდიო ამ პერიოდს, ვუპასუხებდი, რომ, მგონი ამაზე კარგი წლები არც მქონია ცხოვრებაში. შეუძლებელია განსაკუთრებულად არ გეჩვენოს ის დრო, როცა დაბნეული პირველი ურსელიდან ადამიანი თანდათან თავდაჯერებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნებად ფორმირდები, ყველაფერი უცხო კარგად ნაცნობი რომ ხდება, სრულიად უცნობი ადამიანები ამხანაგ-მეგობარებად რომ იქცევიან, უნივერსიტეტი – სადაც ცდილობ, შეიძინო ის ცოდნა და უნარები, რომელიც იქიდან გასულს აუცილებლად გამოგადგება ცხოვრების დიდ ასპარეზზე თავის გასატანად.

უნივერსიტეტში აქტიური, მოტივირებული სტუდენტი ვიყავი, არასდროს დამზარებია სწავლა, კონფერენციისთვის მოხსენების გაკეთება, განსაკუთრებით გერმანულენოვანი ტექსტების თარგმნა მხიბლავდა, ჩემი თარგმანები ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთში იბეჭდებოდა, მსიამოვნებდა ეს საქმიანობა. მახსოვს, როგორ მოუთმენლად ველოდი გაზეთის ნომრის გამოსვლას. უურნალ „არავსაც“ ახსოვს ჩემი ერთი თარგმანი. ბევრი კარგი პედაგოგი მასწავლიდა, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო და სიყვარულით არ გავიხსენო ჩემი ლექტორი და გერმანულენოვანი ლიტერატურის შესანიშანავი მთარგმნელი, უბრალოდ დიდი მეგობარი და ადამიანი, რომელიც სტუდენტობის წლების განმავლობაში ყოველთვის გვერდში მედგა (ასევე ჩემს დასაც – მარიამ თელიაშვილს, ჩვენ ერთ ჯგუფში ვსწალობდით, ისიც ჩემსავით დაინტერესებული იყო თარგმანით) ქალბატონი ნანა გოგოლაშვილი, რომელმაც მე არა მარტო გერმანული ენა შემასწავლა, არამედ ჩემი ცნობიერების სწორად ფორმირებაზე მოახდინა დიდი გავლენა, მან გერმანული ენა შემაყვარა, ენის შემეცნების უნარი განმივითარა. ხშირად მითქვამს კიდეც, რომ ის სიკეთე და ბედნიერება, რაც ქალბატონ ნანასთან ურთიერთობამ მომიტანა, დიდხანს გამყვება ცხოვრებაში- მეთქი. დღესაც სხვანაირი გრძნობა მივლის ტანში, როდესაც დაცვის შემდეგ ქალბატონი ნანას სიტყვები მახსენდება, მე და

ჩემს დას რომ მოგვმართა; „აბა, თქვენ იცით გოგოებო, წარმატებები, არ დამივიწყოთ, შემეხმიანეთ“, მაშინ ისე დავიბენი, სათანადო მაღლობის გადახდაც კი ვერ შევძელი. მივხვდი, უბრალოდ დიდი სიყვარული ვიგრძენი მის და იმ ყველაფრის მიმართ, რასაც უნივერსიტეტში ვტოვებდი, მიჭირდა განშორება, ვერ წარმომედგინა ცხოვრება უნივერსიტეტისეული ყოფის გარეშე.

2012 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამსახურის ძებნას შევუდექი. პედაგოგობა მსურდა და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მუშაობა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაოხრების საჯარო სკოლაში დავიწყე უცხო ენის – ინგლისურის მასწავლებლად. ნაოხრები პატარა სომხურენოვანი სოფელია, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა სომებია, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ ქართულს. ქართული ენა ბავშვებმა უფრო იციან, ვიდრე უფროსებმა. ზოგს ელემენტარული კომუნიკაციაც ეძნელება ქართულად. მიუხედავად მუნიციპალურ ცენტრთან და ქართულენოვან მოსახლეობასთან ასე სიახლოვისა, აქაურები ძნელად ახდენენ ინტეგრაციას ქართველებთან. გარშემოც რომ სომხური სოფლებია (წინუბანი, ჯულლა, აბათხევი, წყალთბილა, ორალი), ნაოხრები თითქოს მოწყვეტილია ქართულ სინამდვილეს. გამოგიტყვდებით, პირველად რომ მივედი, თავი სულ სხვა ქვეყანაში ვიგრძენი. იმის გამო, რომ მოსახლეობა ძირითადად დაუსაქმებელია, ამასთან მინათმოქმედების გარდა რეალურად მათ სხვა შემოსავლის წყაროც რომ არ გააჩნიათ, მამაკაცები სეზონურად რუსეთს მიაშურებენ ხოლმე სამუშაოდ, ზოგიც სომხეთში მიდის. იქ ცხოვრებისათვის საჭირო პირობების შექმნის შემდეგ კი ოჯახებითაც გადადიან საცხოვრებლად, მხოლოდ ზაფხულში თუ ჩამოაკითხავენ აქ დარჩენილ საკმაოდ ხნოვან მოხუც დედ-მამას, რომლებიც არ აცივებენ თავიანთ ერას. ამიტომა, რომ სკოლაში 36 მოსწავლემდე გვყავს. ბავშვთა კონტიგენტი თანდათან იყლებს. ერთმოსწავლიან კლასსაც ვასწავლი ინგლისურს, სადაც პატარა მესამეკლასელი ხორენი თითქმის არასდროს აცდენს სკოლას. იცის, რომ მისი არმოსვლით მის კლასში სასწავლო პროცესი არ შედგება. პირველ კლასში დიდი მონდობებით მოსულს ხანდახან პროტესტის გრძნობაც შეიძყრობს ხოლმე, რატომ უნდა მოვყვე სულ მე? ან მე მარტომ რატომ უნდა ვიკითხო და ვწერო? ძალიან დავიღალეო,

თუმცა, მერე თავადაც ხვდება, რომ ეს ყოველივე ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარეა, რასაც ვერ შეცვლის.

მეექვსე წელია რაც სოფელ ნაოხრებში ვარ. მართალია, ინგლისურ ენას ვასწავლი, მაგრამ ისიც ძალიან მიხარია, მოსწავლე ქართულად რომ გამართულად დამელაპარაკება, როცა რაიმე ინგლისურს მის ქართულ თარგმანსაც სწორად დაყოლებს, მგონია, თვალის ჩინს სინათლე ემატება. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ვიცი, პირველ რიგში ისინი საქართველოში ცხოვრობენ, სადაც თავის გასატანად ქართული აუცილებლად გამოადგებათ. ჩემი სკოლის სახელმწიფო ენის პედაგოგები აქტიურად ცდილობენ ქართული ენის პოპულარიზაციას. კვირაში ხუთი დღე დაუზარვად შრომობენ, რათა ბავშვები აზიარონ ქართულს, ასწავლიან ენას და ეხმარებიან, რომ მათ სკოლაში ნასწავლის რეალურ საყოფაცხოვრებო სივრცეში საჭიროებისამებრ გამოყენება შეძლონ. შედეგის სახით ამ მხრივ კარგი მოსწავლეებიც გვყავს, ამიტომ, გული გვწყდება, როცა მასწავლებლთა ამხელა ძალის-ხმევით სკოლაში ნასწავლი ენა, უმეტეს შემთხვევაში აქვე რჩება, მიდიან რუსეთში ან თუნდაც სომხეთში და აქ ჩამოსულებს აღარ ახსოვთ იგი. სწავლის დემოტივაციას ის ფაქტორიც იწვევს, რომ იციან, მაინც რუსეთში უნდა წავიდნენ, რა აზრი აქვს ქართული ენის შესწავლასო.

აქაურ მოსწავლეებს, როგორც ყველგან, შესწევთ უნარი უცხო ენის-საკუთრივ ინგლისურის შესწავლისა. რატომაც არა, ისინი ხომ თავიდანვე ბილინგვურ და ხანდახან ტრილინგვურ გარემოშიც იზრდებიან, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მათ ყოფაში ისე არაა შექრილი ინგლისური ენა, როგორც ჩვენში, ჩვენ ხომ ინგლისურის გარეშე თანამედროვე სამყაროში ყოფნა-მოღვაწეობა დიდად გვეძნელება. ამიტომ ისინი უცხო ენებიდან რუსულს უფრო ანიჭებენ უპირატესობას, ხანდახან ერთი უხო ენის შესწავლა საკმარისად ეჩვენებათ. ხშირად მათ თავადაც არ იციან, საქართველოში დარჩებიან თუ მეზობელ რუსეთს მიაშურებენ, ნასწავლს სათანადოდ საგანმანათლებლო მიმართულებით ვერ იყენებენ, ორიენტირი ფიზიკური შრომით დასაქმებაზე აქვთ მიმართული.

რაც შეეხება ჩვენს სკოლას, საკმაოდ კარგი, ინფრასტრუქტურულად გამართული და კეთილმოწყობილია. ბევრი კარგი მოსწავლე ახსოვს მას, პედაგოგები ძირითადად ასაკოვანი თაობისანი

არიან, 40 წლიანი მუშაობის გამოცდილებითაც კი. მათაც სწყდებათ გული, როცა მომავალი წლის პირველ კლასში მომსვლელ მოსწავლეთა რაოდენობის დასათვლელად ერთი ხელის თითების მოშველიებაც ზედმეტია. სკოლაში პედაგოგებად ჩემსავით თანდათან ახალი თაობა იწყებს შემოსვლას, ახალი სიცოცხლის შემოტანას, თუმცა ზოგჯერ სომხურენოვანი საგნებისთვის შესაბამისი სპეციალისტის მოძებნაც როდია ადვილი.

მიუხედავად ბევრი სიძნელისა, მიყვარს და საინტერესოდ მეჩვენება ჩემი საქმე, მან ხომ მომცა საშუალება განვვითარებულიყავი პროფესიულად, რეალურ საკლასო სივრცეში გამომეყენებინა უნივერსიტეტსა თუ სხვა საგანმანათლებლო სივრცეში მიღებული ცოდნა. ბავშვებთან ურთიერთობა რთული და ამასთანავე საინტერესოა, ამ საქმემ მიჯაჭვა იცის, თუ დარწმუნდი, თუ გიყვარს, თავს ვერ დაანებებ ადამიანი ადვილად.

მართალია, ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად საკმაო ტაიმ-აუტი გამომივიდა, მაგრამ ყოველთვის მინდოდა მაგისტრატურაში სწავლა. როცა ფინანსურადაც დამოუკიდებლად ვიგრძენი თავი და პროფესიაშიც გავიდგი ფეხი, მეხუთე წელს გადავწყვიტე და ჩავაბარე. წელს უკვე შევუდექი სამაგისტრო ნამრობის მომზადებას და ვფიქრობ, დავიცავ მას. ხუთი წლის მერე სულ სხვანაირად ვიაზრებ უნივერსიტეტში სწავლის- მასალის დამუშავებისა და ათვისების პროცესს, ახლა ხომ მეც პედაგოგი ვარ და უკეთ ვაცნობიერებ სწავლა-სწავლების ფასს, ყოველი ლექციის ღირებულებას, რომელიც უფრო მაახლოებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრულს.

# ანთონიშვილი

## ნინო ქიმერიძე

დავიბადე 1991 წლის 3 ოქტომბერს ქ. ახალციხის მუნიციპატეტი. 2008 წელს დავამთავრე ახალციხის განათლება ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2008-2012 წელს. მომენტა ბაკალავრის ხარისხი. (ინგლისური ფილოლოგია, თურქული ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობით). 2017 წელს გავაგრძელე სწავლა მაგისტრატურაში, ქართველური ენათ-მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე.



## სოფელ აგარის გვარები

სოფელ აგარის გვარებით ჩემი დაინტერსება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მეც აგარელი ვარ, გარდა ამისა, ჩემი, როგორც ონომასტიკოსის ვალი და მიზანია, აღვნერო და დავახასიათო ჩემი სოფლის პატრონიმები, რათა სოფლის მოსახლეობამ ახალგაზრდობამ იცოდეს უკეთ თავისი წარსული, თუ საიდან მოდიან, როდის დაასახლეს მათი წინაპრები აგარაში და ის, თუ რას ნიშნავს მათი გვარები. ამისათვის რამდენიმე ინფორმატორისგან მოვიძიე სხვადასხვა მასალა და გავანალიზე.

**აგარა** ადგილის სახელად ბევრგან გვხვდება დღევანდელ და ისტორიულ საქართველოში. დღეს მესხეთში მხოლოდ ახალციხის რაიონში გვაქვს აგარა სოფლის სახელად, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ილია აბულაძის განმარტებით, გეოგრაფიული სახელი „აგარა“, აგარანი, აგარაკი ქართულში გავრცელებული სახელია. ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით აგარაკი და აგარაი პარალელური ფორმებია, ნიშნავს: ყანას, სახნავ-სათეს მიწას. თავდაპირველად

აგარა იყო მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავდა საზაფ-სულო სადგურს, სახნავ-სავენახეს, ვაკეს, ყანას..., ხოლო, როდე-საც იმატა დასახლებამ, მომრავლდა ხალხი, იქცა ტოპონიმად (ბერიძე, 2011:41).

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, როდესაც სამცხე-ჯავახეთის საზღვრისპირა რაიონებიდან მუსლიმი ქართველები 1944 წლის შემოდგომაზე გადასახლეს შუა აზიაში, მათ ადგილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართველი მოსახლეობა ჩაასახლეს. აგარაში, წინუბანსა და გურკელში ხაშურის რაიონიდან. ასე შეივსო დაცარიელებული სოფლები (ც. ინდუაშვილი) სოფ. აგარაში დღეისათვის 81 კომლი და 25 გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს, მათი უმეტესობა გადმოასახლეს სოფ. ლუბრუ-მიდან, დანარჩენი გვარიც სხვადასხვა სოფლიდან მოვიდა.

**ქიმერიძე:** გვარი ქიმერიძე, რომელსაც, როგორც ჩანს, ადგილობრივ ტოპონიმიასთან აქვს კავშირი, ზეპირსიტყვიერი და წერილობითი მასალის მიხედვით ქართლის გარდა, ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთში. შესაძლებელია, ბორჯომის ხეობაში ქიმერიძეების გვარის დასახლებას უკავშირდებოდეს სოფელი ქიმერეთი, რაც უფრო საფუძვლიან მოსაზრებად მიგვაჩნია, მითუმეტეს, რომ ქართულ ტრადიციულ ყოფაში ამგვარი ტოპონიმები ხშირად გვხვდება. ((სილაგაძე, თოთაძე, 1997).

([http://evpatori.ge/?do=view\\_news&news\\_id=3075](http://evpatori.ge/?do=view_news&news_id=3075))

ტოპონიმებისგან ნაწარმოები გვარები, რომლებიც -ეთ სუ-ფიქსით თავდება, ბევრია. მაგ: ინტერნეტ წყაროებიდან და ო. ახუაშვილთან ვკითხულობთ, რომ გვარი ჯავახიშვილი ადგილსამყოფელის მიხედვით არის ნაწარმოები. ჯავახეთი არის ტოპონიმი და ჯავახიშვილი, ჯავახიძე, ჯავახაძე ტოპონიმისგან ნაწარმოები გვარები. მესხეთი არის ტოპონიმი და ტოპონიმისგან ნაწარმოები გვარებია: მესხიძე, მესხიშვილი... ქიმერიძეც იყო ტოპონიმი ქიმერეთიდან ნაწარმოები. ყველა ამ გვარის შემთხვევაში -ეთ სუფიქსი ჩამოცილებულია და დამატებული აქვთ გვარების მაწარმოებელი -ძე ან -შვილი ფორმანტი. (ახუაშვილი, 2005:741) ([www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge))

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **ქიმერა** ბერძ. მითოლოგით ცეცხლისმფრქვეველი ურჩსულია, ლომის-თავიანი, თხისტანიანი და გველისკუდიანი. გალაკტიონ ტაბიძის

ლექსში ვკითხულობთ: „სძინავთ ბნელ ხეეულებში გამოუცნობ ქიმერებს“. ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და ნიშნავს განუხორციელებელი, აუხდენელი, შეუძლებელი რამ, - ფანტაზია. როცა ოცნება შესაძლებლობისა და რეალურის ფარგალს გადასცდება, ამას ქიმერას ეტყვიან (ქეგლი, 1962:324)

ინფორმატორის, ამირან ქიმერიდის განმარტებით, ქიმერიდები ცხოვრობდნენ ბორჯომის რაიონ სოფ. ფოთოლეთში, შემდეგ გადაასახლეს ლუბრუმაში და ლუბრუმიდან 1944 წელს ჩამოა-სახლეს სოფ. აგარაში. ის ამბობს, რომ გვარი ქიმერიძე კიმე-რიელთა ტომისგან მოდის. ქიმერიძეების 22 ოჯახია სოფ. აგარაში დასახლებული. ინფორმატორის აზრის მიუხედავად, ჩვენ ვფიქ-რობთ, რომ ქიმერიძეების გვარი სოფ. ქიმერეთს უკავშირდება.

**კუჭაძე:** კუჭაძეები რაჭიდან არიან. ორი ძმა დავითი და სოსო ჩამოვიდნენ შიდა ქართლში, დავითი ჩაესიდა ხაშურის რაიონის სოფელ ნაბახტევში. სოსომ იქორწინა სოფელ ლუბრუმაში და იქვე დამკვიდრდა. წლების შემდეგ კი აგარაში დასახლდა მისი მონა-გარი (ც. ინდუაშვილი). კუჭაძე, ჩვენი აზრით, ადამიანის ორგანოს „კუჭის“ სახელიდან მომდინარეობს. რომელსაც კნინო-ბითის მანარმოებელი -ა დაერთვის და გვარის მანარმოებელი ფორმანტი ძე. კუჭაძეების 9 ოჯახია დასახლებული ამჟამად აგარაში.

**ნოზაძე:** ნოზაძეები ხაშურის რაიონის სოფელ ფლევიდან გადმოვიდნენ საცხოვრებლად სოფელ აგარაში. ნოზაძე - გავრცე-ლებულია ხაშურში, საჩხერესა და თბილისში. შედგება საკუთარი სახელისაგან ნოზა. ნოზაძეთა განშტოების გვარად ითვლება ალელიშვილი და ცაცუნაშვილი. ალელიშვილი გავრცელებულია ჯავახეთში. შედგება გვარადცეცული სადაურობის სიტყვისგან ალელი. ალი სოფელია ხაშურის რ-ში. გადმოცემით წინაპართა გვარი ნოზაძე ყოფილა. ალიდან ჯავახეთში გადასახლებულან. ახალციხელ ალელიშვილებს, ადგილობრივი გამოთქმით, არღე-ლიანთს უწოდებენ, ამის გამო საფიქრებელია, მათი წარმომავლო-ბა სოფელ არლიდან (არალი ადიგენის რაიონშია) (ი. ახუაშვილი). ნოზაძეების 1 ოჯახია დასახლებული ამჟამად აგარაში.

**ლვალაძე:** გადმოცემით ლვალაძეების წინაპარი სოფელ მოხისი-დან მოსულა ლუბრუმაში საცხოვრებლად. ლვალო წვრილლე-როვანი მცენარეა, რომელსაც ახმობენ და „ლვალოს შექამანდს

აკეთებენ“, სწორედ ამ მცენარის სახელიდან მომდინარეობს, ინფორმატორის თქმით, გვარის წარმომავლობა. ღვალოს შემთხვევაში ო-ს ნაცვლად კინინბითის მანარმოებელი ფორმა ა- გვჩვდება და გვარის მანარმოებელი ფორმანტი ძე. ღვალაძების 6 ოჯახი ცხოვრობს აგარაში (ინფორმატორუ - ვეფხვია ქიმერიძე).

**მაისურაძე:** მაისურაძების სამი ოჯახია აგარაში. ლეგენდები გვარის შესახებ საიტერესოა, მაგრამ მას სიფრთხილით უნდა მიდგომა, ასეთი ლეგენდები სილამაზეს მატებს გვარის ხალხურ ისტორია-ეტიმოლოგიას, გვარების კვლევის საფუძვლის ჩამყრელი ილია მაისურაძე თავისი გვარის შესახებ წერდა, რომ გვარი გავრცელებულია რაჭაში, მესხეთში, ქართლში და სხვაგან... საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი მაისურა, მასურა. „ანალოგიური საკუთარი სახელები: **იანვარა**, (გვარში იანვარაშვილი), **მარტა** (გვარში მარტაშვილი)... (მაისურაძე, 1990:99) მიუხედავად იმისა, რომ ი. მაისურაძის მოყვანილი აზრი გაზიარებულია ცნობილი ონომასტიკისის, პროფესიონალი იაკობ ახუაშვილის მიერ (იხ. ახუაშვილი, 1994:422), იგი საზოგადოება „გვარიშვილობის“ მიერ გამოცემულ მაისურაძებისადმი მიძლვნილ კალენდარში წერს: „მაისურაძეთა წინაპრები აზნაური დიდიძენი ყოფილან, ცნობილი და სახელოვანი მეომრები, მათ შორის, ერთ-ერთი შესანიშნავი სილამაზისა და გარეგნობის პიროვნება, უებრო მებრძოლი და გულადი. იგი მეფეს გამორჩეულად ყვარებია. დედოფალი გამიჯნურებია. მეფეს მისი ჩამოცილება განუზრახავს, სახალხოდ ბოდიში მოუხდევინებია, ლაშქრის წინაშე მაისურის ამარა დაუტოვებია და უპრანებია: „ჩამომირთმევია შენთვის აზნაურის წოდება, გვარი დიდიძეობა და მაისურაძეობა მომიციაო“. მ. ბერიძის აზრით, ეს ეტიმოლოგია, რადგან კომენტარის გარეშეა, იმას ნიშნავს, რომ ავტორი მას იზიარებს. მაისური არაფერ შუაშია მაისურაძეთა გვართან დაკავშირებით. იგი რუსული მაკვის კალკირებული თარგმანია და დამკვიდრებულია ქართულში, ამიტომ მეფის წინაშე „მაიკის“ ანაბრად ვერ გამოვიდოდა დიდიძე-მაისურაძე.

**მაისურას** ანარმოებს **-ურ-ა** რთული სუფიქსი, განსხვავებით ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან. ისინი დაბოლოებულია -ა სუფიქსზე: **მარტ-ა, იანვარ-ა, პრილ-ა**. ამავე რიგისაა მაისში დაბადებულის სახელი მაის-ა, რომელიც გვხვდება გვარში - მაისაშვილი. ამგვარად, საკუთარი სახელი თუ მეტსახელი მაისურა,

რომელიც უდევს საფუძვლად გვარს - მაისურაძე, განსხვავებული სტრუქტურისაა და, სავარაუდებელია, -ურ-ა სუფიქსის დანიშნულებაც სხვა იყო. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში სუფიქსი აღნიშნავდა ქალის დაბადებას, ისევე, როგორც აქარულ და სამცხე-ჯავახურ დიალექტებში -ურ-ა სუფიქსი მიუთითებს გათხოვილი ქალის წარმომავლობას. ჩუნჩხიდან გამოთხოვილი ქალი არის ჩუნჩხულა, ზველიდან - ზველულა და სხვა (მ. ბერიძე, 2013:117).

**მელიქიძე:** სახელადქცეული თანამდებობის ტერმინი მელიქი (კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველი, გამგებელი); არაბულად მელიქი ნიშნავს მფლობელს, გამგებელს, მეფეს, მონარქს... XIII-XVIII სს. ამიერკავკასიაში ტერმინი „მელიქი“ ფეოდალის ტიტულსა და თანამდებობას აღნიშნავდა. მომდევნო პერიოდში ენოდებოდა სოფლის მოხელეს (მამასახლისს) და ძვ. დიდგვაროვანი ფეოდალთა მემკვიდრეს - სამფლობელოს მეთაურს, როგორც შაჰზე იყო დამოკიდებული. მსგავსი ფუძისგან ნაწარმოები გვარებია: მელიქიშვილი, მელიქაშვილი. (ი.ახუაშვილი, 2005:515). მელიქიძეებიც 1 კომლია აგარაში და გადმოსახლებულები არიან სოფ. ტოლოშიდან.

**სამხარაძე:** ამ გვარის პატრონი დასიძებულია სოფ. აგარაში და მხოლოდ 1 კომლია. გვარი, ჩვენი აზრით, ნაწარმოებია რიცხვითი სახელისგან „სამი“ და ადამიანის სხეულის ნაწილისგან „მხარი“. მხარის სიგრძით გამორჩეული ადამიანის მეტსახელი შეიძლება ყოფილიყო სამმხარა. შეიძლება დავუკავშიროთ სდახელი აგრეთვე სამხარს. სამ და მხარ შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი. ვფიქრობ, ამ გვარის მეპატრონეს კუზი უნდა ჰქონდა და ხალხმა ირონიული თვალსაზრისით მესამე მხარად ჩათვალა და აქედან წამოვიდა ამ გვარის არსებობა.

**ზაზაძე:** ამირან ქიმერიძის განმარტებით ზაზაძეები გადმოსახლეს ჯავახეთის სოფელ თმოგვიდან. ზაზაძე საკუთარი სახელის-გან „ზაზა“ არის წარმოქმნილი და დამატებულია გვარის მანარმოებელი -ძე ფორმანტი. ზაზაძეების 2 კომლი ცხოვრობს აგარაში.

**სარიშვილი:** შდრ. თურქ., ყვითელი, სარი ქერა, ამავე ძირისაა: სარია, სარიაშვილი, სარუაშვილი. სარი (სპ.) - აღმოსავლეთ ქვეყნებში (ინდოეთში და სხვაგან); ქალის გრძელი სამოსია. სარი ვაზზე შესადგომი ხე (ჯოხი). იგივეა რაც კვიპროსი. საროსტანი (პოეტ.).

იტყვიან მოხდენილ წერწეტა ტანზე. საინტერესო მასალას გვაწვდის გიგი ხორნაული აღნიშნულ გვარებთან დაკავშირებით: „სარიშვილი არის ქართული გვარი. ამ გვარის კაცი უთულდ „სართან“ (ლობიოს სარი) დააკავშირებს. შეიძლება ისიც გვითხრას, ჩვენი წინაპარი სარივით მაღალი და ხმელი კაცი ყოფილაო, არავინ იცის, შესაძლოა ასეც იყოს. მაგრამ აქ, ერთია საყურადღებო, თურქულად სარი - ყვითელს ნიშნავს, საიდანაც მესხურში შემოსულია „ქერას“ მნიშვნელობით, ამდენად, შესაძლებელია ქერა კაცისთვის მეტსახელად შეერქვათ სარი, საიდანაც გაფორმდა გვარები: სარიშვილი, სარიაშვილი, სარია. (ი. ახუაშვილი, 2005:602). აგარაში ცხოვრობს სარიშვილების 1 ოჯახი.

**ინდუაშვილი:** ამირან ქიმერიძის თქმით, ინდუაშვილები გადმოსახლებულები არიან ქარელის რაიონის სოფ. რუისიდან ლუბრუმაში, ლუბრუმიდან კი აგარაში. გვარი **ინდუაშვილი** კაცის სახელიდან ინდო — ინდუა წარმოდგება. ქართლში გავრცელებული სახელი ყოფილა. ძველ წყაროებში გვხვდება ამ სახელის და გვარის წარმომადგენლები. მაგალითად ინდუა გამყრელიძე. შემდეგ სახელი გვარად გადაიქცა. ძველ ისტორიულ მასალებში ვხვდებით ამ გვარს (ც. ინდუაშვილი). ამ წლის მონაცემებით, ინდუაშვილების 9 კომლი ცხოვრობს აგარაში.

**ხაბელაშვილი:** მანანა ხაბელაშვილის თქმით, ხაბელაშვილები ლუბრუმიდან არიან წარმოშობით, მაგრამ მათი გვარის უმეტესობა ოსიაურშია დასახლებული. ხაბელაშვილიც საკუთარი სახელისგან „ხაბელა“ არის ნაწარმოები.

**დალალიშვილი:** ტერმინი დალალი მეწვრილმანე, ვაჭარს ნიშნავს ი. მაისურაძის განმარტებით. ჩვენი აზრით, გვარი მომდინარეობს სიტყვა „დალალი“-სგან. ხშირად მსმენია ტალლოვანი გრძელი თმის პატრონს ეტყვიან, თუ როგორი დალალები აქვს. ვფიქრობ, ამ გვარის პატრონს ტალლოვანი დალალა თმა ჰქონდა და გვარიც სწორედ აქედან მოდის. დალალიშვილების 1 ოჯახია აგარაში ამჟამად.

ჩემი სოფლის გვარების დახასიათებისას გვხვდება მხოლოდ ძე-სა და შვილ-ზე დამთავრებული გვარები, რომლებიც ნაწარმოებია, როგორც ტოპონიმებისგან, ასევე მცენარეების და საკუთარი სახელებისგან. უმეტესად კი საკუთარი სახელებისგან ნაწარმოები გვარები გვხვდება. ამ სოფელში ძირითადად შიდა ქართლიდან

არიან გადმოსახლებულები. ჩემს სოფელში მცხოვრებთა გვარებზე მუშაობის პროცესში მივხვდით, რომ მათი ძიებისას ვეხებოდით არა მხოლოდ გვარების წარმომავლობას, არამედ ჩვენს წარსულსა და ისტორიასაც, რომლის ცოდნაც ყველა ქართველის ვალია.

### **დამოწმებული ლიტერატურა:**

**ახუაშვილი, 1994** – ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, თბ., 1994 წ.

**ახუაშვილი, 2005** – ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, თბ., 2005 წ.

**ბერიძე, 2011** – მ. ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ, თბ., 2011 წ.

**ბერიძე, 2012** – მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, ერთი სოფლის ტოპონიმია I, ახალციხე, 2012 წ.

**ინდუაშვილი, 2017** – ც. ინდუაშვილი, ჩემი ბავშვობის სოფელი, თბ., 2017 წ.

**მაისურაძე, 1990** – ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები) თბ., 1990 წ.

**სილაგაძე, თოთაძე, 1997** – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997 წ.

**ქეგლი, 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, თბ., 1962 წ.

([http://evpatori.ge/?do=view\\_news&news\\_id=3075](http://evpatori.ge/?do=view_news&news_id=3075)

([www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge))

# სტრუქტურული განვითარების მარებელაშვილი

## მიზნიდან შედეგამდე

სკოლაში ხუთი წლისა შევეძი. დაწყებითი კლასის ოთხი წელი ადგენის რაიონის სოფელ უნწის დაწყებით სკოლაში ვისწავლე, ხოლო სრული თერთმეტწლიანი განათლება სოფელ ბენარის საჯარო სკოლაში მივიღე. თუმცა მეშვიდე კლასიდან მეცხრე კლასის ჩათვლით ქალაქ ახალციხის №5 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. ახალციხის სკოლაში სასწავლებლად გადავეძი ინგლისური ენის გამო, რადგან ბენარის სკოლაში გერმანული ენა ისწავლებოდა. ფრიადოსანი მოსწავლე ვიყავი, ამიტომ გერმანულსაც ვსწავლობდი და პარალელურად ინგლისურშიც ვემზადებოდი რეპეტიტორთან. ქალაქის სკოლაში გადასვლით ინგლისური ენის ცოდნის დონე კიდევ უფრო გავიღორმავე, ხოლო, როდესაც მივხვდი, რომ უკვე ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას ჩემივე დამოუკიდებელი მეცადინეობით შევძლებდი, ყოველგვარი რეპეტიტორის დახმარების გარეშე, გადავწყვიტე ბენარის სკოლაში დაბრუნება.

სამივე სკოლაში საქმაოდ ბევრი მეგობარი მყავდა, რომლებთანაც დღესაც ვკონტაქტობ, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის სიშორისა. სკოლის წლები დღესაც ძალიან სასიამოვნო მოსაგონარია.

2008 წელს ჩავირიცხე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. მესამე კურსიდან კი ავირჩიე დამატებით სპეციალობად თურქული ენა და ლიტერატურა. უნივერსიტეტმა საკმაოდ კარგი ცოდნა შემძინა. უნივერსიტეტის წლები სასიამოვნოდ მაგონდება ყოველთვის,



ამიტომ არის, რომ ჩემ მიერ განვლილ წლებს განსაკუთრებულ ეტაპებად ვყოფუ. პირველი ეტაპი სკოლის პერიოდი იყო, ხოლო მეორე - უნივერსიტეტისა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩემი ცხოვრების ყველაზე მთავარ ეტაპზე დავიწყე ფიქრი. ეს ეტაპი იყო სამუშაოს დაწყება, ჩემი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და საკუთარი ფინანსების გამომუშავება.

სამსახური დავიწყე ჩემი სახლიდან საკმაოდ შორს, წალკის რაიონში, სოფელ გუმბათში, ინგლისური ენის პედაგოგად. სოფელი გუმბათი საკმაოდ დიდი სოფელია. მისი მოსახლეობა 300 კომლს შეადგენს. სოფელი გუმბათი ადრე ბერძნების სოფელი ყოფილა. ეს სახელი სწორედ მათ დაუკრქმევიათ. შემდეგ კი როდესაც ბერძნების მიგრაცია მოხდა, სოფელ გუმბათში ეკო-მიგრანტი აჭარლები ჩამოსახლებულან და აქ დასახლებულან. თუმცა ბერძნების 4-5 ოჯახი კიდევ ცხოვრობს აქ. გამიმართლა, რადგან არაჩვეულებრივი პედოლექტივი დამხვდა. ასაკით ყველაზე პატარა პედაგოგი ვიყავი, ამიტომ ყველა ხელის გულზე მატარებდა და პატივისცემით მეპყრობოდა. ოჯახი, სადაც ვცხოვრობდი, მართლაც შვილივით თავს მევლებოდა. ბავშვები მეტნაკლებად მონდომებულები იყვნენ სწავლისთვის.

სოფელ გუმბათში სამი წელი ვიმუშავე - 2013 — 2016 წლებში. ლაშქრობებზე და მათთან ერთად ვათვალიერებდი გუმბათის ულამაზეს ხედებს, ტაძრებს, რომლებიც იყო როგორც სოფელში, ასევე სოფლის გარეთ საძოვრებზე, რომლებსაც ირგვლივ ღელე ჩამოუდიოდა. სწორედ ამ ადგილებში იყო ბევრი ტაძარი. სოფელს ამშვენებდა ასევე ბერძნების მიერ გაშენებული ხელოვნური ტყე. წალკა ძალიან ცივი მხარეა. სოფელში ყოველთვის დიდი ზამთარი იცის, გაზაფული თითქმის არც იგრძნობა, ხოლო ზაფხული მხოლოდ ორი თვეა.

ტაძრები დაკეტილი იყო ხოლმე, ამიტომ სანთლის დანთება თუ მომინდებაოდა, აუცილებლად უნდა მიმერთა იქ მცხოვრები დარაჯისთვის, რომელსაც ტაძრის გასაღები ჰქონდა. გიორგი მოხუცი კაცი იყო, სამწუხაროდ გვარი აღარ მახსოვს. გუმბათში ბატონი გიორგი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ. ერთხელ ბატონ გიორგის გუმბათის სახელთან დაკავშირებით ვკითხე. მან კი მიპასუხა: „გუმბათი ჩვენი დარქმეული სახელია, ქართველებს მისთვის სახელი აღარ შეუცვლიათ. „გიუმბათი“ ნიშნავს „მზის

ჩასვლას“, მართლაც ლამაზად ჩადის და ამოდის ჩვენს გუმბათში მზე.“ მართალია, გუმბათის მნიშვნელობა განმარტა ბატონმა გიორგიმ, მაგრამ არ უთქვამს რა ენაზე ნიშნავდა „მზის ჩასვლას“.

ამ სოფელში ერთი მეჩეთი იყო, რომელსაც ჯამეს ეძახდნენ. ამ ჯამეში კი თურქულის პედაგოგობა შემომთავაზეს. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ასე რომ, გუმბათში ინგლისურის გარდა თურქულის ცოდნაც გამომადგა. ამ სოფელში გატარებული სამი წელი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. თუმცა დადგა სოფელ გუმბათის დატოვების დროც.

2016 წლის შემოდგომას ერთი მთავანი სოფლიდან - გუმბათიდან მეორე მთავან სოფელში - ჭვინტაში გადავინაცვლე. სამსახური წალკიდან საკმაოდ შორს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინტაში, ინგლისური ენის პედაგოგად დავიწყე. ჭვინტა ახალციხიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ჭვინტის მოსახლეობა 70 კომლს შეადგენს. სოფელი გუმბათი და სოფელი ჭვინტა ერთმანეთს ძალიან ჰყავს სილამაზითა და კლიმატური პირობებით, დიდ თოვლობით. ეს ორი სოფელი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ გუმბათის გარშემო ხელოვნური ტყე აკრავს, ხოლო ჭვინტას - ბუნებრივი. რაც შეეხება მოსახლეობას, გუმბათში მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ, ხოლო ჭვინტაში - მართლმადიდებელი ქრისტიანები. სამსახურში აქაც გამიმართლა, რადგან არჩევულებრივ ხალხში მოვხვდი, მეგობრულ ოჯახში და პედკოლექტივში. დამხვდა მეგობრული გარემო და იდეალური სიტუაცია.

ჩემმა თავდადებულმა შრომამ შედეგი გამოიღო. სკოლაში ჩამოვაყალიბე „ინგლისური კითხვის კლუბი“, რომელსაც კვირაში ერთხელ ვატარებ, გაკვეთილების შემდეგ. კლუბში გაერთიანებული მყავს რამდენიმე კლასი. ვიყენებთ დამატებით წიგნებს, რომლებიც ბავშვების დონეზეა მორგებული. ვუყურობთ ინგლისურ ფილმებს, ვთამაშობთ ინგლისურენოვან თამაშებს. კლუბში ხშირად ვაწყობთ გასართობ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, რომელზე დასწრებაც შეუძლია ყველას, ვისაც სურვილი აქვს. კლუბი საკმაოდ წარმატებული და შედეგიანი აღმოჩნდა.

როგორც სასკოლო, საპროგრამო სწავლებისათვის, ასევე კლუბისათვის მიწევს უამრავი რესურსისა და თვალსაჩინოების მომზა-

დება. ვცდილობ, დავაინტერესო და ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში ჩემი მოსწავლეები. უკვე სამი წელია, რაც ჭვინტის საჯარო სკოლაში ვმუშაობ, ამიტომ სამუშაო წლებთან ერთად გამოცდილებაც ბევრი დამიგროვდა, წინსვლის სურვიც უფრო და უფრო მიღრმავდება. წელს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მონიჭებას ველოდები. ვთვლი, რომ ჩემს სფეროში საკმაოდ წარმატებული ვარ.

სკოლაში პირველ-მეორე ცვლაში ვმუშაობ, ამიტომ ცოტა დამღლელია გონიერივად, რადგან სკოლის შემდეგ სასკოლო საკითხების გარდა სამაგისტრო საგნებიც დასამუშავებელია. სკოლის პარალელურად უკვე მეორე წელია მაგისტრატურაში ვსწავლობ ქართველური ენათმეცნიერების განხრით. მაგისტრატურაში 2017 წელს ჩავირიცხე, უკვე დამამთავრებელ კურსზე ვარ. თავიდან ძალიან გამიჭირდა, შევგუებოდი პროგრამას, რადგან ჩემი სპეციალობიდან სულ სხვა განხრით მიწევდა სწავლის გაგრძელება. დროთა განმავლობაში შევეჩვიი და ახლა ძალიან მომწონს ჩემი სპეციალობა. მომწონს საკვლევი მასალის შეგროვება, ჩანაწერების გაკეთება და საველე სამუშაოებზე სიარული. უკვე სამაგისტრო ნაშრომზე ვმუშაობ. ვიკვლევ ადიგენის რაიონის სოფლების: უნის, ბენარისა და ჭვინტის ანთროპონიმიასა და ტოპონიმიას.

ჩემთვის თითოეული წელი: სკოლის, უნივერსიტეტის, სხვადასხვა სოფელში მუშაობის წლები ცალ-ცალკე ეტპებად, ცხოვრებისეულ გამოცდილებად იყოფა, მიუხედავად დამლელი შრომისა. სიახლეებისა და გამოწვევების დროს ვცდილობ, ჩემი დაუღალავი შრომით შედეგზე გავიდე. სკოლაში მუშაობის წლებმა გამოცდილებასთან ერთად მეტი გამბედაობა, საკუთარი თავისადმი რწმენა და წინსვლის სურვილი შემმატა.

## სარჩევი

<b>მერაბ ბერიძე</b>	
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
(ქრონიკები 1990)	3
<b>ერიშტონის პოზიტი</b>	
ლიკა ხარჭაძე -ათენი	52
<b>ინტერციუ</b>	
მარინა ზედელაშვილი	65
<b>პოზიტი</b>	
მზია ხეთაგური	78
<b>პროცეს</b>	
ვასილ ბერიძე	
ამერიკული ღიმილი (მებაჟის ჩანაწერები)	84
<b>პრიზისტოზი</b>	
ლიკ ზაზაშვილი	
ერთი ადამიანის ინიციატივით დაწყებული საქმის გამოყენება	90
<b>ჩრდილოეთი აინდონეზი</b>	
ნანა მიქელაძე	
ეპისტოლარული კანონისა აღვანოს ხითარიშვილის ცერილების მიხედვით	95
<b>ლიტერატურული</b>	
ოსებ გიქოშვილი	
ისტორიული ნარსული გიორგი შატჩერაშვილის პრიზაში	104
<b>ატოლის პრიტლები</b>	
ლელა თელიაშვილი	
სკოლა და უნივერსიტეტი ჩემს ცხოვრებაში, ანუ გზა მოსხავლეობიდან აედაგობობამდე	115

**ԾԵՌԱԿՆԵՐՆԵՐՆԵՐՆԵՐ**  
Ենթակա վարչություն  
ՍՐՑԵԼ ԱԺԱԽՈՍ ՑՎԱՐԱՑՈՒ

120

**ԾԲԾԱՀԱՆՑ ԱՌՂԲԸՆՎԹՅԱՅԻ**  
մարդկան բարգայլաժշուղու  
մունքացան պետքածածու

127

ქ. Ախալցիք, რუստավյան ქ. №106,  
ֆլու: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ეլ. ფոսტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)